ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 3 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 229 (2272)

დღიური

— შეტაკება ფაშისტებსა და მუშებს შორის ბერლინში.
— ჩეხო-სლოვაკიის მუშები გაფიცვისათვის ემზადებიან.
— შვეციაში შესდგა კონსერვატიული მთავრობა.
— პეკინში გაიფიცენ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეები.
— გერმანია - რუმინეთის მოლაპარაკების გართულება.
— ინგლისის პროფკავშირთა გენსაბჭოს თავმჯდომარედ ბენტილეტი აირჩიეს.

დღეს, 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრების და კანდიდატებისათვის სავალდებულოა
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

კომუნისტი
გრძელდება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ხელი შეუწყოთ შინამრეწველობის განვითარებას

საკავშ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების გამო

შინამრეწველობის როლი ჩვენს სამეურნეო აღმშენებლობაში უკვე საკმაოდ გარკვეულია პარტიისა და ხელისუფლების ავტორიტეტულ ორგანოების დადგენილებებით. პრინციპიალური კამათი შინამრეწველობის განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. შინამრეწველობას თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენს ეკონომიკაში. მისი განვითარება არ ეწინააღმდეგება იმ საერთო ხაზს, რომელიც აღებული გვაქვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ შინამრეწველობას პარტიული და სათანადო სამეურნეო ორგანიზაციები ჯეროვანი ყურადღებით ეკიდებიან.

საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილებაში (იხ. „კომუნისტი" №223) ეს ნაკლი ხაზგასმით არის აღნიშნული. შინამრეწველობის მნიშვნელობა სათანადოთ არა აქვთ გათვალისწინებული ადგილობრივ ორგანოებს. ხშირად ავიწყდებათ, რომ შინამრეწველობის წარმატებით წინსვლა ნიშნავს საქონლის კრიზისის შესუსტებას, რომ შინამრეწველობა იკვებება მეტნაწილად გლეხის მეურნეობის პროდუქციით, რომ ის აფერხებს უმუშევარ მუშა-ხელის ზრდას სოფლად და სხვა. უმთავრესად ამით თუ აიხსნება, რომ შინამრეწველობის საკითხები ბევრგან მიჩნეულია მეორეხარისხოვან ამოცანად, რასაც სათანადო უარყოფითი შედეგები მოსდევს.

მთავარი ნაკლი, რომელიც მეურნეობის ამ დარგის სპეციფიურ პირობებისაგან გამომდინარეობს, ესაა შინამრეწველთა დაქსაქსულობა. ეს კი ფართო ასპარეზს ქმნის კერძო და უმთავრესად მევახშე კაპიტალისათვის შინამრეწველობაში გაბატონებისათვის. სწორედ ამიტომ შინამრეწველთა კოოპერატიულად დარაზმვას უაღრესი მნიშვნელობა ეძლევა. საკავშირო კომპარტიის ცეკას დადგენილება განსაკუთრებით აღნიშნავს ამას.

მდგომარეობა ამ მხრივ დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში დიდი ხანია ღებულობენ ზომებს შინამრეწველთა კოოპერატიულად შეკავშირებისათვის, მიღწევები არც თუ ისე თვალსაჩინოა. შინამრეწველთა დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ სარეწაო კოოპერაციის გარეთაა დარჩენილი. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სოფლად მომუშავე შინამრეწველებზე. გარდა ამისა ვერც იმას ვიტყვით, რომ შინამრეწველთა არსებული გაერთიანებანი თავიანთ სოციალური შემადგენლობით და მუშაობის ხასიათით ყოველთვის აკმაყოფილებენ საბჭოთა კოოპერაციის მოთხოვნილებებს. ამრიგად შინამრეწველთა რაც შეიძლება ფართოდ შეკავშირებისათვის საჭიროა, ერთი მხრივ გაცხოველებულ მუშაობის წარმოება კოოპერაციის გარედ მყოფ შინამრეწველების მასიურად გაერთიანებისათვის და მეორე მხრივ არსებულ გაერთიანებათა სოციალური შემადგენლობის და მუშაობის შინაარსის გაჯანსაღებაზე ზრუნვა.

ეს საქმე მხოლოდ მაშინ წავა წარმატებით წინ, როცა შინამრეწველთა მასა საქმით დაინახავს, რომ კოოპერატიულად გაერთიანება მისთვის ყოველმხრივ ხელსაყრელია. თავისთავად ცხადია, აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკრედიტო დახმარებას. სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანოებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ შინამრეწველობას, მათ ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი სარეწაო კოოპერაციის მატერიალური საფუძვლის განმტკიცებას. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. აუცილებელია თვით შინამრეწველთა კოოპერატიულმა გაერთიანებამ გამოიჩინოს მეტი ცხოველმყოფელობა. საჭიროა სარეწაო კოოპერაციის ორგანიზაციული და კულტურული მუშაობის გაღრმავება. ნედლეულის მიწოდების, პროდუქციისათვის ბაზრის მოძებნის, შინამრეწველთა უფლებრივად დაცვის და მათ კულტურულად დაწინაურებისათვის მუშაობა დღემდე სუსტად მიმდინარეობს. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ღარიბი და მცირე შეძლების შინამრეწველები. სარეწაო კოოპერაციის მთავარი ყურადღება შინამრეწველთა სწორედ ამ ფენებს უნდა მიექცეს, სადაც კერძო კაპიტალს უფრო მაგრად აქვს ფესვები გამდგარი.

ყველა ამ ამოცანების შესრულებას იმ შემთხვევაში შესძლებს შინამრეწველობის კოოპერაცია, როცა მას მეტი ყურადღებით მოეკიდებიან პარტიული და სამეურნეო მუშაკები. ეს ყურადღება კი არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტო იდეურ-ორგანიზაციული ზედამხედველობით, ამასთან ერთად საჭიროა შინამრეწველობის გაერთიანებათა აქტიური მუშაკებით გამაგრება და ამ გაერთიანებათა მატერიალურ და უფლებრივ პირობების გაუმჯობესებისათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა.

იუზეფსკის ავანტიურისტულ სიტყვის შემდეგ

ვოლინის ვოევოდას იუზეფსკის გამოსვლას ისეთი შედეგები მოჰყვა, რომლებსაც, ალბად, არ მოელოდნენ თვით ვოევოდა და მთავრობის ბლოკის დეპუტატები, რომელთაც მისი სიტყვა მოისმინეს და მოიწონეს. ამ სიტყვამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმ ქვეყანაში, რომლის წინააღმდეგაც შემოტევას ამზადებენ ბატონი იუზეფსკი და კამპანია და რომლის დამოუკიდებლობასა და მთლიანობაზე აპირებენ ისინი თავდასხმას იმ მრისხანე პროტესტით, რომელიც განაცხადეს საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა, ხოლო პირველ რიგში უკრაინის მშრომელებმა, თითქოს ნათლად უნდა ეგრძნობინებია იმპერიალისტებისათვის, თუ რამდენად რადიკალური წინააღმდეგობა ელოდება ყოველ მათ ცდას განახორციელონ გეგმები პოლონეთზე დამოკიდებული უკრაინის შექმნის შესახებ. ამ პროტესტის ტალღას თითქოს უნდა ეგრძნობინებია მათთვის, თუ რამდენად უაზროა მათი ოცნება და კომბინაციები „ვარშავა—კიევი".

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პოლონეთის მთავრობა შესძლებდა ანგარიში გაეწია იმისათვის, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლონეთისათვის საერთაშორისო ვალდებულებათა ლოიალურად დაცვას; შეიძლებოდა გვეფიქრნა, რომ პოლონეთის მთავრობა მიიღებდა ზომებს, რათა გამიჯნოდა თავის უტიფარ და ბრძოლის გუნებაზე დამდგარ ვოევოდას, აშკარად დაჰგმობდა მის გამოსვლას და გამოარკვევდა თავის დამოკიდებულებას იმ ფაქტისადმი, რომ პოლონეთის ადმინისტრაციის პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა დაარღვია პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ხელშეკრულება. ზედმეტია მაგალითების მოყვანა, რომ რომელიმე ქვეყნის გუბერნატორს მსგავსი სიტყვის წარმოთქმისათვის დაუყოვნებლივ სხნიდნენ ადგილიდან და პასუხისგებაში აძლევდნენ.

როგორ მოიქცა პოლონეთის მთავრობა? ვოლინის ვოევოდას სიტყვასთან დაკავშირებით მან გამოსცა ოფიციალური კომუნიკე, რომელშიაც აცხადებდა, რომ იუზეფსკის სიტყვის ტექსტი სწორად არ გამოაქვეყნა პრესამ და რომ თვით სიტყვა არაფერს აგრესიულს არ შეიცავდა. ამ გამომწვევმა კომუნიკემ თვალსაჩინოთ დაამტკიცა, რომ პოლონეთის მთავრობას არა თუ განზრახვა არა აქვს დაჰგმოს თავისი ვოევოდა, არამედ აშკარა თანაგრძნობასაც კი უცხადებს მას.

იუზეფსკი არა თუ არ გადააყენეს ამ გამოსვლისათვის, არამედ პოლონეთის მთავრობა შეეცადა საჩქაროდ ხაზგასმით აღენიშნა, რომ ნდობას უცხადებს მას. ვოევოდების ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში ვარშავაში მოხდა, იუზეფსკიმ, მთავრობის დავალებით, გააკეთა მოხსენება ნაციონალურ საკითხზე. ისწავლეთ, ბატონო ვოევოდებო, იუზეფსკისაგან, თუ როგორ უნდა აწარმოოთ პოლიტიკა! ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ იუზეფსკის პოლიტიკა სინამდვილეში პოლონეთის მთავრობის პოლიტიკაა. პოლონეთის კომიუნიკე ამტკიცებს—იუზეფსკის სიტყვის გამოქვეყნებული ტექსტი სწორი არ არისო. მაგრამ იმ თათბირის თავმჯდომარე, რომელზედაც წარმოსთქვა იუზეფსკიმ სიტყვა, მთავრობის ბლოკის დეპუტატი ვოლოშინოვსკი, გარკვევით ადასტურებს იუზეფსკის გამოსვლის ხასიათს. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ სიტყვა პირველად დაიბეჭდა თვით ვოევოდას ორგანოს „პშეგლონდ ვოლინსკი"-ში, და რომ ოფიციოზმა „გლოს პრავდი"-მ აშკარად გამოუცხადა თანაგრძნობა ამ გამოსვლას.

იუზეფსკის გამოსვლა წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ, მართალია, განსაკუთრებით დამახასიათებელ გამოხატულებას იმ აგრესიულ პოლიტიკისას, რომელსაც დაადგნენ უკანასკნელ დროს პოლონეთის მმართველი წრეები საბჭოთა კავშირის მიმართ. ასეთი დამოკიდებულების განვითარება პოლონეთის შიგნით ერთის მხრივ იწვევს რევოლიუციონური განწყობილების ზრდას პროლეტარიატისა და გლეხობის მასებში, ხოლო მეორეს მხრივ იმას, რომ კიდევ უფრო ძლიერდება პოლონეთის მილიტარისტების უკიდურესი ავანტიურისტული ფრთის გავლენა მთავრობაზე. პოლონეთის ფაშიზმს უფრო და უფრო ძლიერი წინააღმდეგობა ელობება თავისი ქვეყნის შიგნით, ამიტომ ის დღის წესრიგში აყენებს აშკარა სამხედრო დიქტატურის საკითხს და საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურებში ეძიებს თავის ხსნას.

მთავრობის პარტიის კრებებზე აშკარად ისმება საკითხი მონარქიისა და მისი განსაკუთრებით მებრძოლი ფორმის, „კეისარიზმის" შესახებ. თვით მომავალი კეისრის კანდიდატი რუმინეთში აწარმოებს მოლაპარაკებას პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კონვენციის გაფართოების შესახებ, ხოლო რუმინეთის მთავრობის ოფიციოზი აცხადებს—რუმინეთი და პოლონეთი თავიანთი არმიის შემცირებაზე არ დათანხმდებიანო. არანაკლებ „პაციფისტური" ამოცანები ჰქონდა, ალბად, დასახული საფრანგეთის გენერალის ლერონდის მისიასაც ვარშავასა და ბუქარესტში. უყურადღებოთ არ არის დატოვებული აგრეთვე ანტისაბჭოთა ფრონტის მეორე ფლანგი—ბალტიის სახელმწიფოები. საჭიროა აღინიშნოს ანტისაბჭოთა დემონსტრაცია კრესლავკაში, დაზვერვის განყოფილებათა თათბირი რიგაში, რეველის სამხედრო თათბირი და პოლონეთის სამხედრო დელეგაციის ამასწინად მომხდარი მოგზაურობა ბალტიის სახელმწიფოებში. ამ დელეგაციაში შედიოდა 10 პოლონელი ოფიცერი და მას მეთაურობდა პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწე.

ასეთია პოლონეთის მილიტარისტების მუშაობა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მათი აგრესიულობა მხოლოდ მათ სისუსტეს მოწმობს. პოლონეთის იმპერიალიზმი მზად არის დაადგეს ავანტიურების მოლიპულ გზას იმიტომ კი არა, რომ ის დარწმუნებულია თავის ძლიერებაში, არამედ იმიტომ, რომ ამ გზით ის იმედოვნებს მოსპოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, ტერორით გაუსწორდეს რევოლიუციონურ მოძრაობას თავის ქვეყნის შიგნით და შეაკავშიროს თავისი მერყევი და დაშლის გზაზე შემდგარი რიგები.

მაგრამ პოლონეთის მილიტარისტების გეგმები ერთხელ უკვე დაჰგმო ისტორიამ: 1920 წელს, როდესაც პოლონეთის არმია კიევში შედიოდა და მათი ოცნება თითქოს განხორციელებას უახლოვდებოდა, კიევის ავანტიურის მარცხი ამავე დროს მომაკვდინებელი ლახვარი იყო პოლონეთის იმპერიალიზმის ყველა ფედერალისტური ზრახვებისათვის".

ამჟამად ბატონი იუზეფსკები ცდილობენ მკვდრეთით აღადგინონ 1920 წ. იდეები. მაგრამ მათი გამოსვლები თვით პოლონეთისათვის იქნება საზარალო. ბატონი იუზეფსკი თავის სიტყვაში ისეთ საკითხებს შეეხო, რომელთა წამოყენება, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნა პოლონეთის ვოევოდებისათვის. იუზეფსკის ორგანო „პშეგლონდ ვოლინსკი" პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს კომუნიკეს შემდეგაც, თითქოს ამ კომუნიკეს ჭეშმარიტი ხასიათის დასადასტურებლად სწერდა შემდეგს: „უკრაინის ხალხს ისე, როგორც ყველა სხვას, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლება და ადრე თუ გვიან, იგი განახორციელებს ამ უფლებას—უკრაინა იარსებებს"-ო. (!?)

ამ სიტყვებით იუზეფსკის ორგანოს საბჭოთა უკრაინა ჰქონდა ნიშანში ამოღებული, რამდენად სიტყვებში „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა" ის გულისხმობს მემამულეთა და კაპიტალისტების ძალა-უფლების რესტავრაციას, და თვით იუზეფსკის, როგორც პეტლიურას მინისტრის, ხელისუფლების აღდგენას. უკრაინის მუშებმა და გლეხებმა კარგად იციან, რომ უკრაინის ხალხის დამოუკიდებლობა და თავისუფალი არსებობა განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლებასთან. თავისი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ იუზეფსკი საჩქაროდ შეუდგა უკრაინელთა კულტურული დაწესებულებებისა და ექვსი ეკონომიური ორგანიზაციის დაშლას თავის სავოევოდოში და ამრიგად თვალსაჩინოდ დაამტკიცა, თუ რას ნიშნავენ სიტყვები „უკრაინა იარსებებს". ბატონ იუზეფსკების გამოსვლები საბაბს მისცემენ დასავლეთ უკრაინის მშრომელთ, რომლებიც გმინავენ პოლონეთის ფაშიზმის უღელ ქვეშ, შეადარონ თავიანთი მდგომარეობა საბჭოთა უკრაინის მშრომელთა მდგომარეობას. ასეთი შედარება ხელსაყრელი არ იქნება პოლონეთის მთავრობისათვის.

რათა თვალსაჩინოდ გვიჩვენოს, თუ როგორ ესმის პოლონეთის მთავრობას ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი, „პშეგლონდ ვოლინსკი" სწერს: „იდეა მომავალი უკრაინისა, რომელიც ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს, საუკეთესოდ ეგუება უკრაინული მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ასიმილიაციას ვილნოში, პოლონეთის ფარგლებში". ფაშისტურ მტაცებელთა ეს უტიფარი განცხადებანი არავითარ კომენტარიებს არ საჭიროებენ.

თუმცა პოლონეთის იმპერიალისტების გეგმებს აუცილებლად სამარცხვინო კრახი მოელით, მაგრამ მათ მაინც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. აგრესიული ტენდენციების ზრდა პოლონეთში საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობიანობისათვის აღმოსავლეთ ევროპაში. პოლონეთის იმპერიალისტები მზად არიან გამოვიდნენ დიდი კაპიტალისტური მტაცებლების ლაქიებად და პირველ აგენტებად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პოლონეთის მუშათა და გლეხთა მასები და პოლონეთის იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული ხალხები ყოველ ღონეს იხმარებენ, რომ საშუალება არ მისცენ პოლონეთის ფაშიზმს განახორციელოს თავისი აგრესიული გეგმები. თუ პოლონეთის იმპერიალისტებმა გაბედეს ახალი ავანტიურების დაწყება, მათ წინ გადაეღობება მშრომელი მასების მთლიანი ფრონტი. ბატონ იუზეფსკების ზრახვების განხორციელების ცდა პოლონეთის ფაშიზმის აღსასრული იქნება.

„პრავდა", 2 ოქტომბერი.

გაიხსნა ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ლენსბერიმ უგნურება უწოდა ურთიერთობის გაწყვეტას საბჭოთა კავშირთან

გაფიცვები გერმანიაში.--გემების საალმშენებლო სახელოსნოებში გაფიცულია 50.000 კაცი

ავსტრიის მუშები ემზადებიან ფაშისტური დემონსტრაციის ჩასაშლელად 7 ოქტომბერს

ინგლისის მუშათა პარტიის ყრილობა

ლენსბერის სიტყვა

ბირმინგამი, 1 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ოცდამერვე ყოველწლიური ყრილობა ბირმინგამში 1-ლ ოქტომბერს დილით გაიხსნა.

ყრილობისადმი მიმართვა პარტიის თავმჯდომარემ ლენსბერიმ დაიწყო მოწოდებით პარტიის საარჩევნო ფონდისათვის შემოწირულების გაღების შესახებ. ლენსბერიმ სინანული გამოსთქვა იმის გამო, რომ პარტიაში არ არის მთლიანობა და განაცხადა, რომ ის არაა მომხრე უმცირესობისადმი უსამართლო მოპყრობისა, მაგრამ დემოკრატიულ მოძრაობაში უნდა მართავდეს უმრავლესობა. ლენსბერიმ მიმართა მუშათა პარტიის გამორიცხულ განყოფილებებს, მოწოდებით — გადასინჯონ თავიანთი პოზიცია.

„მე მწამს, — სთქვა შემდეგ ლენსბერიმ,— რომ წინადადებები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ტრედიუნიონთა ყრილობაზე და შეეხებიან მუშათა პარტიის გაერთიანებულ ნაციონალურ საბჭოსა და კოოპერატივებს, განხორციელებული იქნებიან ახლო მომავალში. მუშათა პარტიამ აღთქმა დასდო იმუშაოს სოციალიზმისათვის, ვინაიდან კაპიტალიზმმა გამოცდას ვერ გაუძლო. კაპიტალიზმი პასუხისმგებელია უმუშევრობის უდიდეს არმიისათვის და მილიონების სიღატაკისათვის. ამის გამო ყოველივე ცდა ლიბერალიზმის ნაშთებთან ჩვენი ძალების გაერთიანებისა წინდაწინვე განწირულია. მათთან შეუძლებელია და არ იქნება არც კოალიცია და არც კომბინაცია".

როდესაც შეეხო უმუშევრობას, ლენსბერიმ სხვათა შორის მხარი დაუჭირა ბენ ტერნერის წინადადებას თვით ინგლისში ფერმერთა კოლონიების მოწყობის შესახებ.

შემდეგ ლენსბერი გადავიდა საგარეო პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ „კონსერვატიული მთავრობის დანაშაულებრივმა უგუნურებამ თითქმის სრულიად დახურა ინგლისის ვაჭრობისათვის სამი დიდი ბაზარი — ინდოეთისა, ჩინეთისა და რუსეთისა". დასავლეთის ხალხები აღმოსავლეთში შექმნილ პირობებს უნდა მიუდგნენ სრულიად ახალის თვალსაზრისით და ჩინეთს უნდა მოეპყრან ისე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მთავრობის უარი, რომ რუსეთისთვის სავაჭრო შეღავათები მიენიჭებინათ უგუნური იყო. ლენსბერიმ დაუმატა, რომ რუსეთის რევოლიუცია — უდიდესი და მასთან მეტად დადებითი მოვლენაა, როგორსაც როდესმე მსოფლიო ისტორიაში ჰქონია ადგილიო.

„ამ უდიდესი ერის მუშები და გლეხები გარემოცულნი არიან დაუნდობელის მტრებით, რომლებიც განუწყვეტლივ აწყობენ ინტრიგებსა და შეთქმულებებს და მუშაობენ ცარიზმის აღსადგენად. თუმცა მუშათა პარტია სრულებით არ ეთანხმება ბოლშევიკების მეთოდებს, მაგრამ იგი, როდესაც ძალაუფლებას აიღებს, კვლავ გაუწოდებს სამეგობრო ხელს რუსეთის ხალხთ და გააკეთებს ყველაფერს, რომ მათთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა, ორივე მხარისათვის საპატიო".

მშვიდობიანობის შესახებ ლენსბერიმ განაცხადა, რომ ერთად-ერთი გზა მის მისაღწევად გამოიხატება სიტყვებში: „დაჰყარეთ იარაღი". შემდეგ იგი მიესალმა საბჭოთა მოთხოვნას განიარაღების შესახებ. (ადს)

მემარცხენეებთან ბრძოლის ნიშნის ქვეშ

ბირმინგამი, 1 ოქტომბერი. ლენსბერის მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა გამოაქვეყნა რეგლამენტი.

მანჩესტერის ორგანიზაციის დელეგატმა უტმა გაილაშქრა რეგლამენტის წინააღმდეგ. მან განაცხადა — რეგლამენტი დემოკრატიული არ არის, ვინაიდან პროგრამის პროექტში შესწორებების შეტანას კრძალავსო. უტის წინადადება, იმის შესახებ, რომ დაშვებული ყოფილიყო პროექტში შესწორებათა შეტანა, ყრილობამ ხმის დიდი უმრავლესობით უარჰყო.

შემდეგ ყრილობა შეუდგა აღმასკომის მოხსენების განხილვას. მუშათა პარტიის ბატერსის ორგანიზაციის დელეგატმა მოსკოვიჩმა შეიტანა წინადადება, რომ ყრილობას უარეყო მოხსენების ის ნაწილი, რომელშიაც ლაპარაკია ეჯბესტონისა და მოლეის ადგილობრივი ორგანიზაციების გამორიცხვის შესახებ, მოსკოვიჩმა აღნიშნა, რომ ამჟამად ყველას, ვინც კი გაბედავს აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ გამოსვლას, დაუფიქრებლად აძევებენ მუშათა პარტიიდანო. მოსკოვიჩის წინადადება უარყოფილ იქნა კენჭისყრით.

ვინაიდან ბეზვინმა მხარი დაუჭირა მრავალი დელეგატის მოთხოვნილებას ახალგაზრდობის ნაციონალური კონფერენციის მოწვევის შესახებ, აღმასკომი დათანხმდა შეეტანა მოხსენებაში სათანადო შესწორება.

პარტიის აღმასკომმა ყრილობაზე შეიტანა ვრცელი რეზოლიუცია, რომელიც ეხება პარტიული „ლოიალობის" საკითხს. ბურჟუაზიული პრესა აღტაცებით ესალმება რეზოლიუციას და უწოდებს მას ისეთ საშუალებას „რომელიც საბოლოოდ ამთავრებს მუშათა პარტიის გაწმენდას კომუნისტებისაგან". რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მუშათა პარტიაში შესვლა წინასწარ განსაზღვრავს სათანადო ორგანიზაციებისა და პირების ლოიალობას პარტიის ყველა ყრილობის გადაწყვეტილებების მიმართ. პარტიის შემადგენელ ორგანიზაციებს და მათ განყოფილებებს უფლება არა აქვთ წამოაყენონ კანდიდატები (ან მხარი დაუჭირონ მათ) საზოგადოებრივ თანამდებობაზე მუშათა პარტიის ოფიციალური კანდიდატების წინააღმდეგ. ყველა ორგანიზაცია, რომელიც მუშათა პარტიაში შედის, თავის მუშაობაში უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ყრილობებისა და აღმასკომის გადაწყვეტილებებით.

ყველა ორგანიზაციის წესდებაში შეტანილ უნდა იქნას მუხლი იმის შესახებ, რომ ორგანიზაციამ თავის რიგებში არ უნდა მიიღოს იმ პოლიტიკური პარტიების წევრები, რომლებიც მუშათა პარტიაში არ არიან დაშვებულნი. რეზოლიუციის ამ ნაწილში ცალკე აღნიშნულია, რომ ეს ეხება კომპარტიის წევრებს (ინგლისის კომპარტიის წევრები დღემდე შედიოდნენ მუშათა პარტიის შემადგენლობაში).

უმცირესობის მოძრაობის ლიდერმა გოსიპმა (ავეჯეულობის მუშათა კავშირის გენერალური მდივანი) შეიტანა წინადადება რეზოლიუციის უარყოფის შესახებ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ რეზოლიუციას განხეთქილება შეაქვს ინგლისის მუშათა მოძრაობაშიო. გოსიპმა განაცხადა—ორგანიზაცია, რომელმაც მე გამომგზავნა თავის წარმომადგენლად ყრილობაზე, არავის უფლებას არ მისცემს წინასწარ გადასწყვიტოს ის საკითხი თუ ვინ არ უნდა გამოგზავნონ ყრილობაზე ამ ორგანიზაციამ. თუ ყრილობა ამ რეზოლიუციას მიიღებს, ამით ის დაამთავრებს მუშათა მოძრაობის გათიშვასო.

გოსიპის წინადადება ხმის დიდი უმრავლესობით უარყოფილ იქნა.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის მდივანმა ბროკუეიმ შეიტანა წინადადება აღმასკომის მოხსენების იმ ნაწილის უარყოფის შესახებ, რომელშიაც ლაპარაკია საიმონის კომისიაზე. წინადადებას მხარი დაუჭირა გოსიპმა. პასუხისათვის სიტყვა აიღო მაკდონალდმა, რომელსაც დელეგატებმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს.

მაკდონალდმა განაცხადა,—მე გამოვდივარ პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სახელით.

„საპარლამენტო ფრაქციის კომიტეტისა და მთავრობის ხანგრძლივ მოლაპარაკებას—სთქვა მაკდონალდმა,—საკმაოდ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოჰყვა, რამაც უფლება მისცა საპარლამენტო ფრაქციას ეთხოვა პარტიისათვის ამ შედეგების მიღებაო".

მაკდონალდის შემდეგ გამოვიდა თემთა პალატის წევრი ტერნერი, რომელმაც მხარი დაუჭირა ბროკუეის წინადადებას. მან განაცხადა—ინდოეთის საზოგადოებრივი აზრი საიმონის კომისიას ზიზღითა და ირონიით შეხვდაო.

თემთა პალატის წევრი უილკი შეეკამათა მაკდონალდს და განაცხადა—სიმართლეს არ შეეფერება მაკდონალდის განცხადება, თითქოს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქცია ერთსულოვნად მხარს უჭერს საიმონის კომისიასო.

უილკიმ მოაგონა მაკდონალდს, რომ მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის წევრთა თვალსაჩინო ნაწილმა ამ საკითხში პარტიის ხაზის წინააღმდეგ მისცა ხმა.

ბროკუეის წინადადება უარყოფილია 2.958 ათასი ხმით 150.000-ის წინააღმდეგ. (ადს).

ბრეისფორდის გამოსვლა

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ბირმინგამში ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენციის გახსნასთან ერთად ამერიკის ჟურნალ „ფორენ აფერს"-ში დაიბეჭდა დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ცნობილი მოღვაწის ბრეისფორდის წერილი. ბრეისფორდის აზრით, პარლამენტში სამი პარტიიდან მუშათა პარტია ყველაზე უფრო ძლიერი იქნება, მაგრამ ის მთავრობის ორგანიზაციის დროს ლიბერალების დახმარების გარეშე ვერ დარჩება. ბრეისფორდი წინადადებას იძლევა, რომ მუშათა პარტიამ კაბინეტში რამდენიმე ადგილი დაუთმოს ლიბერალურ პარტიას.

ბრეისფორდის წერილი სავსებით ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ოფიციალურ ხაზს, მაგრამ, პოლიტიკური წრეების აზრით, პარტია მას ამისთვის არ დასჯის. (ადს).

ინგლისის კომპარტიის განცხადება

ლონდონი, 1 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის ბირმინგამის ყრილობისათვის წარდგენილი პროგრამა ამთავრებს მუშათა პარტიის საბოლოოდ გადასვლას კაპიტალისტურ ბანაკში.

„ინგლისში—ნათქვამია განცხადებაში დარჩა მუშათა კლასის ერთად-ერთი პარტია,—ინგლისის კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს ბრძოლას პროლეტარიატის კლასობრივი მტრების წინააღმდეგ" (ადს).

გაფიცვები გერმანიაში

ბერლინი, 1 ოქტომბერი. მოლაპარაკების ჩაშლის გამო, აუცილებელია გემთსაშენებელთა მუშების გაფიცვა ბერლინსა, ბრემენსა, კილსა, შტეტინსა და დანციგში. მოსალოდნელია 50.000 კაცის გაფიცვა. ჰამბურგის და კილის გემთსაშენებელთა მუშები უკვე გაიფიცნენ. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„პროფკავშირების მოწოდების გამო, გაიფიცნენ ჰამბურგისა და კილის ყველა გემთსაშენებლის მუშები. დანარჩენ გემთსაშენებლებში გაფიცვა დაიწყება 2 ოქტომბერს" (ადს).

ბერლინი, 1 ოქტომბერი. ჰამბურგისა და კილის გემთსაშენებლების მუშების გაფიცვის შემდეგ გაიფიცნენ გემთსაშენებლების მუშები ბრემენსა და შტეტინში. ამრიგად, მუშაობა შეჩერდა გერმანიის ყველა მსხვილ გემთსაშენებელში. გაფიცულია 50.000 მუშა (ადს).

ასოთამწყობთა გაფიცვა

ბერლინი, 1 ოქტომბერი. საარის ოლქის სტამბების ასოთ-ამწყობებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაზეთები, გარდა გერმანიის კომპარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოებისა, რეგულიარულად არ გამოდიან (ადს).

შეტაკება ბერლინში

ბერლინი, 1 ოქტომბერი. ბერლინში გაიმართა ეროვნულ-სოციალისტური დემონსტრაცია. იმავე დროს მემარცხენე მუშათა მასებმა მოაწყვეს კონტრ-დემონსტრაცია. მოხდა შეტაკება. რამდენიმე ნაციონალ-სოციალისტი დაიჭრა. დაპატიმრებულია 20 ახალგაზრდა მუშა (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ფოსტელების გაფიცვა

პეკინი, 1 ოქტომბერი. ფოსტის სამმართველოს მოსამსახურეებმა და მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვენ ფოსტის კომისრის მოადგილის ლიუ იაო-ტინის დათხოვნას, რომელიც კვლავ მუშაობს, თუმცა ფოსტელების პროფკავშირმა რეზოლიუცია გამოიტანა მისი გადაყენების შესახებ. ფოსტელების პროფკავშირის მოთხოვნილება შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია: ჩინეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ბოიკოტი გამოუცხადეს იაპონელთა ორგანოს „შუნ-ტიან-შიბაოს", ლიუ იაო-ტინი კი, წინააღმდეგ ამ გადაწყვეტილებისა, ხელს უწყობდა გაზეთის დაგზავნას ფოსტით.

ლოძის ფეიქრები გაფიცვისათვის ემზადებიან

ვარშავა, 1 ოქტომბერი. როგორც მოსალოდნელი იყო, პოლონეთის სოციალისტების მიერ ლოძის გაფიცვის ჩაშლის შემდეგ, მრეწველებმა გადაჭრით უარჰყვეს ფეიქარი მუშების მოთხოვნილება ხელფასის 20 პროცენტით გადიდების შესახებ. მრეწველები თავიანთ პოზიციას ასაბუთებენ იმით, რომ ფეიქართა ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან ამჟამად ისინი კვირაში 6 დღეს მუშაობენ წინანდელი 3 დღის ნაცვლად. მაგრამ მთავრობის კომისიის ამ დღეებში გამოქვეყნებული მოხსენება აღნიშნავს, რომ **ლოძელი ფეიქრების რეალური ხელფასი შემცირდა და ხელფასის გადიდება კვალდაკვალ ვერ მისდევს სიძვირის ზრდას.** ამის გამო, ფეიქართა პროფკავშირი, რომელსაც პოლონეთის სოციალისტთა პარტია ხელმძღვანელობს, იძულებული გახდა საწარმოთა პატრონების პოზიცია პროვოკაციულ პოზიციად ეცნო. ამიტომ მან **დადგენილება გამოიტანა იმის შესახებ, რომ გაფიცვა გამოცხადდეს ლოძის საფეიქრო მრეწველობაში.** საკითხი საბოლოოდ გადასწყდება სამშაბათს საფაბრიკო დელეგატთა თათბირზე. მაგრამ პროფკავშირთა ბიუროკრატები მთავრობას სთხოვენ—აცილოს თავიდან გაფიცვა. ისინი თანახმანი არიან ყოველგვარ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე, რადგან ეშინიათ, გაფიცვის ხელმძღვანელობა კომუნისტების ხელში არ გადავიდეს (ადს).

შვეციის მთავრობა

სტოკჰოლმი, 1 ოქტომბერი. შვეციის ახალი მთავრობის სათავეში, რომელიც კონსერვატიულმა პარტიამ შეადგინა, სდგას კონტრ-ადმირალი ლინდმანი, წინად პრემიერად ნამყოფი. საგარეო საქმეთა მინისტრად ტრიუგერია (ადს).

ავსტრიის კომპარტიის სადელეგატო კონფერენცია

ვენა, 1 ოქტომბერი. ბადენში გაიმართა ავსტრიის კომპარტიის სადელეგატო კონფერენცია, რომელზედაც განხილულ იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ ფაშისტების გამოსვლას 7 ოქტომბერს წინააღმდეგობა გაეწიოს. **კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 223 დელეგატმა.** ავსტრიის კომპარტიის მდივანმა **კოპლენიგმა** განაცხადა, რომ **ვერავითარი აკრძალვა კომპარტიას და რევოლიუციონურ მუშებს ხელს ვერ შეუშლის გამართონ მსვლელობა „ვინერ ჰეუშტადტ"-ში. „ჰეიმვერერის** (ფაშისტების თავდაცვის ორგანიზაციები) **საზეიმო გამოსვლის ჩაშლა,—განაცხადა კოპლენიგმა,—შეიძლება მასების გამოსვლით და რკინის გზებზე გაფიცვის გამართვით,** რადგან 7 ოქტომბერი უნდა გადაიქცეს ფაშიზმის წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის დასაწყისს თარიღად. ამ მიზნით კომპარტია იწვევს საერთო სახელმწიფო კონფერენციას".

კონფერენციამ ერთხმად ამოირჩია დროებითი კომიტეტი ფაშისტებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ქვემო ავსტრიის საოლქო მთავრობამ აკრძალა სოციალ - დემოკრატიული პროცესია „ვინერ ჰეუშტადტ"-ში. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიმართა საერთო სახელმწიფო მთავრობას.

გრაცში ბურგომისტრმა სოციალ-დემოკრატმა ზეიცმა განაცხადა, რომ უნდა გამოვძებნოთ ისეთი კომპრომისი, რომელიც შესაძლებელს გახდის ბურჟუაზიულ პარტიებთან თანაცხოვრებას, რადგან ჩვენ იძულებული ვართ მათთან ვცხოვროთო.

პანგერმანული გაზეთი „ვინერი ჰეუსტე ნახრიხტენ"-ი ქებით იხსენიებს ზეიცს ამ განცხადებას და აღნიშნავს, რომ კომპრომისი შესაძლებელიაო. იგი ურჩევს სოციალ-დემოკრატებს, არ აჰყვნენ „კომუნისტების წაქეზებას", და წინადადებას აძლევს ზეიცს გაატაროს თავისი თვალსაზრისი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში (ადს).

პოლონელი მენშევიკები „ოპოზიციაში" გადავიდნენ

ვარშავა, 1 ოქტომბერი. პოლონეთის სოციალისტთა პარტიის უმაღლესმა საბჭომ ხმის უმეტესობით მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ადასტურებს წინანდელ დადგენილებას მთავრობის წინააღმდეგ ოპოზიციური მოქმედების გაძლიერების შესახებ. (ადს).

ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ

ბერლინი, 1 ოქტომბერი. შესდგა კონფერენცია საფაბრიკო - სარაიონო კომიტეტებისა ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ საყოველთაო კენჭის ყრის მოსამზადებლად. კონფერენციაზე გამოირკვა, რომ მოძრაობა საყოველთაო კენჭის ყრის სასარგებლოდ თანდათან ფართოვდება. უკანასკნელი კვირის განმავლობაში საყოველთაო კენჭის ყრის მოსამზადებელ კომიტეტს ბევრი ახალი მასიური ორგანიზაცია შეუერთდა. მათი რიცხვი 36-ს აღწევს (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას

პრაღა, 1 ოქტომბერი. მოლაპარაკებას მრეწველებსა და მემაღაროებს შორის კლადნოში ვერავითარი შეთანხმება ვერ მოჰყვა. მოლაპარაკება დაიწყო მას შემდეგ, როცა კოლექტიური ხელშეკრულება დაირღვა. მრეწველები თანახმანი იყვნენ გაედიდებინათ ხელფასი 5 პროცენტით. მუშებმა, რომელთაც ხელმძღვანელობს საკავშირთაშორისო საბჭო, მოითხოვეს 15 პროცენტი. კლადნოში მოხდა სადელეგატო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო კლადნოს პროფკავშირების, მათ შორის რეფორმისტული პროფკავშირების, 200 წარმომადგენელმა. **კონფერენციამ უარჰყო მრეწველთა წინადადება, როგორც პროვოკაცია და გამოაცხადა მემაღაროეთა გაფიცვა. გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 9.000 კაცი. მორავის რაიონის** (ეს რაიონი კლადნოს რაიონს აკრავს) **მუშებს შორის გაძლიერდა მოძრაობა, სოლიდარობის ნიშნად, დაუყოვნებელი გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ (ადს).**

უკანასკნელი ცნობები

პილსუდსკის „მუშაობა" რუმინეთში

ვენა, 2 ოქტომბერი. 29 სექტემბერს პილსუდსკი ბუქარესტში ჩავიდა. გუშინ პილსუდსკის ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა რუმინეთის პრემიერ ბრატიანუსთან და რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრ არჟეტოიანუსთან. თათბირი შეეხებოდა პოლონეთსა და რუმინეთს შორის ხელშეკრულებითი სისტემის დამუშავების შესაძლებლობას. პილსუდსკის ხანგრძლივი თათბირი ექნება რუმინეთის სამხედრო სამინისტროში. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო მინისტრი ანგელესკუ, რუმინეთის გენერალური შტაბის უფროსი საზიონოვიჩი და პოლონეთის სამხედრო ატაშე ლიუდვიგი. როგორც იუწყებიან პილსუდსკის პოლიტიკური მოლაპარაკების მიზანია საბერძნეთის ჩაბმა პოლონეთ-რუმინეთის კავშირის ფარგლებში, მაგრამ მცირე ანტანტის გაუფართოებლად. მოლაპარაკების მიზანია აგრეთვე პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კავშირისა და პოლონეთ-რუმინეთის თავდაცვის სისტემის გაფართოება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შავი ზღვის ნაპირამდე. (ადს).

ფეიქართა გაფიცვა ნიუ-ბედფორდში გრძელდება

ნიუ-იორკი, 2 ოქტომბერი. ნიუ-ბედფორდის საფეიქრო წარმოებათა მეპატრონეებმა წინადადება მისცეს გაფიცულ ფეიქრებს შესწყვიტონ გაფიცვა, რისთვისაც ისინი აღუთქვამენ მუშებს, რომ ხელფასს შეამცირებენ მხოლოდ ხუთი პროცენტით, და არა ათით, როგორც ამას პირველად მოითხოვდნენ მრეწველნი. მემარცხენე ფრთის ლიდერებმა გაილაშქრეს ამ კომპრომისული წინადადების მიღების წინააღმდეგ. მემარჯვენე ფრთამ მხოლოდ წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ ეს საკითხი გაფიცულთა რეფერენდუმით გადაწყდეს. მწარმოებელთა წინადადება უარყოფილია ხმის დიდი უმრავლესობით, ამრიგად, გაფიცვა, რომელიც 17 აპრილს დაიწყო, კიდევ გაგრძელდება. (ადს).

ქვემო სილეზიის მემაღაროეთა გაფიცვა

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ქვემო სილეზიის მემაღაროეთა კავშირის სადელეგატო კონფერენციამ დაადგინა დღეიდან გამოაცხადოს გაფიცვა იმის გამო, რომ მწარმოებლებმა უარი სთქვეს დაეკმაყოფილებიათ მუშების მოთხოვნილება ხელფასის 5 პროცენტით გადიდების შესახებ. სულ გაიფიცება 27.000 მუშა. (ადს).

მოწოდება — მზად იყვნენ გაფიცვისათვის

პარიზი, 1 ოქტომბერი. პარიზის რაიონის პროფკავშირთა გაერთიანებამ გამოაქვეყნა მიმართვა. ამ მიმართვაში იგი მოუწოდებს პარიზის პროლეტარიატს—წინააღმდეგობა გაუწიოს საფეიქრო კაპიტალს, რომელიც მთავრობის დახმარებით სარგებლობს, შეაგროვოს შემოწირულებანი გაფიცულთა სასარგებლოდ და მზად იყოს მიემხროს გაფიცულებს, როცა საჭირო იქნება. (ადს).

კომუნისტური დემონსტრაციის გაფანტვა

მექსიკო, 1 ოქტომბერი. ვერა-კრუცში პოლიციამ გაჰფანტა კომუნისტური დემონსტრაცია, რომელიც მოეწყო განათლების გაფიცულ მუშაკებისათვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. (ადს).

ფეხბურთელების შეჯიბრება

ვენა, 1 ოქტომბერი. შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის გუნდისა შტირიის მუშა-ფეხბურთელთა ნაკრებ ჯგუფთან დამთავრდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებით. (ადს).

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა

ტოკიო, 2 ოქტომბერი. როგორც იაპონიის სააგენტო იუწყება, მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ტანაკამ განაცხადა, რომ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა კომპრომისის მიმართულებით ვითარდებაო. მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დაიწყოს ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკება ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ, აგრეთვე ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

როგორც იტყობინებიან, ტანაკამ განაცხადა, რომ უცილდას და კელოგის საუბარის შედეგად ამერიკის მთავრობამ „სავსებით გაიგო" იაპონიის პოლიტიკა ჩინეთში და ამან გამოაკეთა ატმოსფერა. (ადს).

„კრასინი" ბალტიის ზღვაში

ყინულისმჭრელი „კრასინი", 2 ოქტომბერი. გამოვცდით ბორნჰოლმს. მივდივართ ბალტიის ზღვაზე 16 კვანძის სისწრაფით. ბორნჰოლმთან შევხვდით „სოვტორგფლოტ"-ის გემებს „დეკაბრისტ"-სა და „კამო"-ს, ერთმანეთს მივესალმეთ. (ადს).

—:—

ამხ. ნ. ტაგიევის ჩამოსვლა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ამ.-კავკ. ს. ს. რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელი საკავშირო მთავრობასთან ამხ. ნასირ ტაგიევი.

ინგლისის მთავრობის ოფიციალური ცნობა

ლონდონი, 2 ოქტომბერი. მთავრობამ მოისმინა გარეშე საქმეთა სამინისტროს და საზღვაო სამინისტროს მოხსენებები იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ამერიკის პასუხის შემდეგ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისის შესახებ. ლონდონში გამოქვეყნებულია შემდეგი ოფიციალური ცნობა:

„ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებმა ვაშინგტონის მთავრობას მიაწოდეს ის მიწერ-მოწერა, რომელიც შეეხებოდა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას".

გაზეთი „დეილი ნიუს" სწერს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან საფრანგეთის მთავრობამ, რათა გაეფანტა ამერიკის ეჭვები, მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინად გადასცა ამერიკის ელჩს თავისი მიწერ-მოწერა ამ საკითხზე. „ამრიგად—სწერს გაზეთი—ინგლისის ცნობა წარმოადგენს მხოლოდ „დაგვიანებულ მანევრს", რომელიც უფრო შესანიშნავია ყველა ფოკუსზე, რაც კი ოდესმე ჩაუდენია ინგლისის მთავრობას. (ადს).

გერმანია-რუმინეთის მოლაპარაკება ჩიხში მოექცა

ბერლინი, 1 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით, ისევ ჩიხში მოექცა გერმანია-რუმინეთის მოლაპარაკება ორივე ქვეყნის სადაო ეკონომიური საკითხების გადაჭრის შესახებ. გაზეთი აღნიშნავს, რომ წინასწარ მოლაპარაკებას აგვისტოში დადებითი შედეგები მოჰყვა: გერმანია დასთანხმდა გადაეხადოს რუმინეთს 55 მილიონი ოქროს მარკა რუმინეთის ყველა პრეტენზიის საბოლოოდ დასაკმაყოფილებლად. რუმინეთი დასთანხმდა უარი ეთქვა ვერსალის ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებაზე, რომლის მიხედვითაც მას შეუძლია მოახდინოს გერმანიის ქონების ლიკვიდაცია რუმინეთში და აუნაზღაუროს გერმანიის ქვეშევრდომებს ქონების ლიკვიდაციის დროს მიყენებული ზარალი. რუმინეთის დელეგაცია ბუქარესტში გაემგზავრა შემდგომი ინსტრუქციებისათვის. დელეგაცია ბერლინში დაბრუნდა 24 სექტემბერს და წარუდგინა გერმანიას ახალი მოთხოვნილებანი, კერძოდ, 80 მილიონ ოქროს მარკამდე გადიდება იმ თანხისა, რომელიც რუმინეთს ერგება.

საფრანგეთის რევოლიუც. მემაღაროთა კონგრესი

პარიზი, 1 ოქტომბერი. საფრანგეთის უნიტარულ მემაღაროეთა კონგრესზე სენტ-ეტიენში მოსმენილ იქნა მოხსენება ომის საფრთხის შესახებ. მოხსენება ილაშქრებს რეფორმისტების ლიდერების წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უწყობენ ბურჟუაზიას ომის მომზადებაში. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი მიილტვის გულწრფელად მშვიდობიანობისა და განიარაღებისაკენ. მოხსენებაში დაწვრილებით გადმოცემულია საბჭოთა კავშირის საყოველთაო განიარაღების პროექტი, ამასთან აღნიშნულია ჟუოსა და ბონკურის გამოსვლები პროექტის წინააღმდეგ (ადს).

თეთრგვარდიელები დააბრუნეს

ვარშავა, 1 ოქტომბერი. აღმოსავლეთის სააგენტოს ცნობით, ვილნოდან ასახლებენ ორ თეთრგვარდიელს, მეფის არმიის ყოფილ ოფიცერს—პალკატჩიკოვს და შიპკოვს. ორივეს წინადადება მიეცა, დასტოვონ პოლონეთი 1-ლ ნოემბრისათვის. როგორც ემიგრანტების გაზეთი „ზა სვობოდუ" იუწყება, ემიგრანტები აბრამეშკო, იხაკოვი და სობჩუკი, დანციგში 40 დღის ყოფნის შემდეგ, პოლიციის განკარგულებით ისევ პოლონეთში დააბრუნეს (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭო საქართველოს კოლმეურნეობათა შესახებ

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. კოლექტიურ მეურნეობათა საკავშირო საბჭო თავის დასკვნაში საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა შესახებ აღნიშნავს შემდეგს:

საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სამანქანო ამხანაგობათა რიცხვის ზრდა. ადგილი აქვს ამასთანავე კოლექტიურ მეურნეობათა განმტკიცებას ცალკე შემთხვევებში. საქართველოს სოფლის კოლექტიურად მოწყობის შემდგომ განვითარებას ძლიერ აბრკოლებს მიწადმოწყობის ჩაუტარებლობა. არა ნაკლებ უარყოფით დაღს აჩენს კოლექტიურ მეურნეობათა წარმატების საქმეზე ის გარემოება, რომ საქართველოს კოლექტიურ მეურნეობებს არ გააჩნიათ საკმაო რაოდენობით მომზადებულ პრაქტიკულ მუშაკთა კადრები. სუსტად არის აგრეთვე მოწყობილი აგროდახმარების საქმე. დიდათ აფერხებს არსებულ კოლექტიურ მეურნეობათა მუშაობას ინვენტარის მეტად საგრძნობი სიმცირე.

აუცილებლად საჭიროა, რომ სახელმწიფომ მეტი დახმარება აღმოუჩინოს კოლექტიურ მეურნეობებს საქართველოში. გარდა ამისა, აგროდახმარების გასაძლიერებლად უნდა შეიქმნას კოლმეურნეობის საკუთარი აგრონომია. საჭიროა დიდი ყურადღება დაეთმოს აგრეთვე კონტრაქტაციის გაძლიერებას საქართველოში.

„პირველი კორნეტი სტრეშნიოვი" მოსკოვში.

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. ამ დღეებში აქ დანიშნული იყო საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათის „პირველი კორნეტი სტრეშნიოვი"-ს საზოგადო განხილვა, რომელსაც დაესწრო დიდძალი საზოგადოება და მათ შორის კინო-საქმის სპეციალისტები. სურათის საზოგადო განხილვამ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

პრესაში უკვე მოთავსებულია რეცენზიები აღნიშნულ სურათის შესახებ. გაზეთები აცხადებენ, რომ „პირველი კორნეტი სტრეშნიოვ"-ი მაჩვენებელია მნიშვნელოვანი გარდატეხის საქართველოს სახკინმრეწვის შემოქმედებაში. ზოგიერთ რეცენზენტების სიტყვით საქართველოს სახკინმრეწვის ეს ახალი სურათი თამამად შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან საფეხურად საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიაში.

ამ დღეებში „პირველ კორნეტ სტრეშნიოვ"-ს აჩვენებენ მოსკოვის სამ უდიდეს კინოში.

[illegible]ის ცეკას სამდივნო მეიერხოლდის თეატრის შესახებ

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. ლენინურ ახალგაზრდათა კომკავშირის საკავშირო ცეკას სამდივნო და კომკავშირის მთელი რიგი დიდი ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ მეიერხოლდის თეატრი არ იქნას დაშლილი.

მუშ-გლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობის საკითხები

მ. ი. ულიანოვას მოხსენება

რედაქტორთა სრულიად საკავშირო თათბირზე

მასიური მუშაობა

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. მ. ი. ულიანოვას მოხსენება რედაქტორთა სრულიად საკავშირო თათბირზე ეხებოდა მუშგლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელობას. თავდაპირველად მ. ი. ულიანოვამ ხაზი გაუსვა იმ მნიშვნელობას, რომელიც მუშგლეხკორთა მოძრაობამ მოიპოვა თვითკრიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ამ მოძრაობის ძირითად ამოცანებზე.

„მუშგლეხკორთა მოძრაობის უახლოესი დროის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს გადაჭრით გადასვლა მასიურობაზე. ჩვენ უნდა ავამოძრავოთ მუშებისა და გლეხების ახალი, ჯერ ხელუხლებელი ფენები და გაზეთის მეშვეობით ჩავაბათ ისინი ჩვენს მშენებლობაში. მაგრამ ამისთვის, ახალი მასების მოსაზიდად და გაზეთის შემწეობით მათი აქტიურად ასამუშავებლად, საჭიროა ჩვენი ქვედა პრესის გაუმჯობესება და გაშინაარსიანება".

კავშირი უცხოეთის მუშებთან

ერთ-ერთ ძირითად ამოცანად ამ პერიოდში მომხსენებელს მიაჩნია აგრეთვე გაძლიერება საერთაშორისო კავშირისა კაპიტალისტური ქვეყნების მუშებთან. ეს კავშირი, გარდა იმისა, რომ მოგვცემს გაზეთისთვის მასალას საზღვარგარეთელი მუშების ცხოვრებიდან, ხელსაც შეუწყობს საერთაშორისო სოლიდარობას სხვადასხვა ქვეყნის მუშებს შორის.

შემდეგ ამხ. ულიანოვამ დაახასიათა მუშგლეხკორთა მოძრაობის მდგომარეობა ამჟამად და აღნიშნა ამ მოძრაობის ზრდა და განვითარება ყველგან (მუშგლეხკორთა რიცხვის გამრავლება, გამრავლება მუშგლეხკორთა იმ წრეებისა, რომლებსაც რედაქციები ღებულობენ).

ჩვენი მიღწევები

იმ ახალი მეთოდების წყალობით, რომლებსაც მიმართეს რედაქციებმა (საწარმოო დათვალიერება, კონკურსები, კონფერენციები, გამოძახება, საუბრები), გაზეთმა შესძლო მშრომელთა ახალი მასების მიზიდვა. საწარმოო დათვალიერების დროს ტვერში აქტიურ მუშაობაში ჩაბმულ იქნა ქარხნის მუშების 75 პროცენტი, „ლუგანსკაია პრავდა"-ს მიერ მოწყობილ გამოძახებაში მონაწილეობა მიიღო 10.000 მუშამ, ამასთან შეტანილ იქნა 7.000 წინადადებაზე მეტი.

ამავე დროს გაუმჯობესდა მუშგლეხკორთა პროდუქცია. მუშგლეხკორებმა იწყეს უფრო მხურვალე მონაწილეობის მიღება ყოველგვარ კამპანიაში, რომლებსაც პარტია ატარებს. გლეხკორთა ჯგუფები და სოფლის კედლის გაზეთები ზოგიერთ შემთხვევაში მოწინავე მებრძოლნი არიან ახალი სოფლის შექმნის საქმეში—ისინი იბრძვიან კოლექტივიზაციაზე გადასვლისთვის, კულაკური ელემენტების ოინების წინააღმდეგ და სხვ.

აქა-იქ მათ მონაწილეობა მიიღეს პურის დამზადების საქმეშიაც—უშვებდნენ არა მარტო კედლის გაზეთებს, ბიულეტენებსაც.

იმ მიღწევებს, რომლებსაც ადგილი აქვს მუშგლეხკორთა მოძრაობაში,—სთქვა ამხ. ულიანოვამ,—უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ქარხნების ნაბეჭდი. გაზეთების ზრდა და გაუმჯობესება. ჩვენ მოგვეპოვება ეხლა 200-ზე მეტი ნაბეჭდი გაზეთი. ნაბეჭდი გაზეთი კედლის გაზეთზე ბევრად უფრო მეტად გასწევს მასების ორგანიზატორობას. ისინი მხნედ ებრძვიან ყოველგვარ ბოროტებას და ნაკლს. ბევრმა ჩვენმა ნაბეჭდმა საქარხნო გაზეთმა ჩაატარა დათვალიერება, მიაღწია კონკრეტულ შედეგებს და შესძლო მშრომელთა ფართო მასების შემოკრება თავის გარშემო.

როგორც ერთ-ერთი მიღწევა, უნდა აღინიშნოს სამხკორთა მოძრაობის ზრდა. სამხკორთა მოძრაობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს, როდესაც ერთ-ერთ ჩვენ მთავარ ამოცანას შეადგენს მოსახლეობის გასამხედროება. საჭიროა, რომ ეს მოძრაობა ხელი-ხელ გადაკიდებული მიდიოდეს მუშგლეხკორთა მოძრაობასთან.

მიღწევებთან ერთად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი თვალსაჩინო ნაკლულოვანებანიც. მაგალითად, 165 გაზეთის გამოკვლევამ მოსკოვში დაგვანახვა, რომ საქარხნო გაზეთები ყოველთვის არ არიან მასების ფართე თვითშემოქმედების გამომხატველი ორგანოები.

ბევრმა გაზეთმა დღემდე ვერ შესძლო თავის გარშემო მშრომელთა ფართო მასების შემოკრება. მრავალ შემთხვევაში კედლის გაზეთში სწერს მხოლოდ თითო-ოროლა მშრომელი.

კედლის გაზეთების შესახებ

ძირითად დეფექტად მომხსენებელი სთვლის კედლის გაზეთების მოწყვეტილობას იმ ქარხნისა და ამქრის მუშებისაგან, სადაც გაზეთი გამოდის. მაგალითად, დონის როსტოვის ერთ ქარხანაში, გამომუშავების ნორმის შემცირებასთან დაკავშირებით, მუშები ღელავდნენ და გაფიცვაც კი მზადდებოდა. ქარხნის გაზეთმა ეს ამბავი შეიტყო მხოლოდ საოლქო გაზეთის „მოლოტ"-იდან. მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე თვითკრიტიკის სუსტ განვითარებას კედლის გაზეთებში.

„ყველა ეს დეფექტი,—სთქვა მან,—ხშირად გამოწვეულია იმით, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრები, რომელნიც მუშაობენ კედლის გაზეთზე, მეტად დატვირთულნი არიან სხვა მუშაობით. ჩვენ კიდევ ვერ შევსძელით, რომ კვირაში რამდენიმე საათით მაინც გავანთავისუფლოთ ერთ-ერთი რედაქტორი ან თავმჯდომარე, როგორც ბევრგან უწოდებენ მას. რათა ფართოდ გადაშალოს მუშაობა კედლის გაზეთში. კედლის გაზეთების განვითარებას აბრკოლებს მატერიალური სახსრების უქონლობა. ამ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი განსაზღვრული ნორმა. ძალიან ხშირად იძულებულნი არიან პროფკავშირებს სთხოვონ სახსარი კედლის გაზეთის გამოსაცემად. ეს დახმარება უაღრესად უმნიშვნელოა—სულ ერთი, სამი ან ოთხი მანეთი. უნდა მოვახერხოთ, რომ სარედაქციო კოლეგიის ერთი მუშაკი მაინც განთავისუფლდეს წარმოებაში მუშაობისაგან, რათა მას შეეძლოს მეტი ყურადღება მიაქციოს კედლის გაზეთს. საჭიროა აგრეთვე, რომ პროფორგანიზაციებმა გაიღონ ხოლმე განსაზღვრული პროცენტი კულტანარიცხებიდან ქვედა პრესისათვის.

საჭიროა აგრეთვე რომ რედკოლეგიებს ირჩევდნენ არა მუშკორების წრეებში, როგორც დღემდე ხდება, არამედ მუშკორებისა და გაზეთის მკითხველთა უფრო ფართო კრებებზე".

ყურადღება მუშკორთა შენიშვნებს

„მუშკორები,—სთქვა შემდეგ მ. ი. ულიანოვამ,—სწერენ იმისათვის, რომ ებრძოლონ რამე კონკრეტულ ბოროტებას ან გაასწორონ რამე დეფექტი. მაგრამ როცა მათ შენიშვნებს უყურადღებოდ სტოვებენ მრავალი თვის განმავლობაში, როცა არავითარ ზომას არ ღებულობენ—მუშებს წერის ხალისი ეკარგებათ. ჩვენში კი სწორედ ამ მხრივ მოიკოჭლებს საქმე, მოუხედავად ამ საკითხის გამო გამოტანილ სხვადასხვა დადგენილებისა, სამეურნეო მუშაკები ან სდუმან ან მიწერ-მოწერით ათავებენ საქმეს. პასუხების მხრივ სასოფლო-სამეურნეო ბანკმა მოსკოვში რეკორდი დაამყარა: შენიშვნის უარსაყოფად მან გამოგზავნა პასუხი, რომელიც შეიცავდა 32.000 ბეჭდვით ნიშანს, ლენინის ციტატებს, არსებითად კი სრულებით არ შეეხო შენიშვნას. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ვერავითარი კარგი სიტყვა და მხურვალე წერილი ფართო მასების მონაწილეობის შესახებ მუშსოფკორების მოძრაობაში ვერ მიაღწევს მიზანს; თუ არ მოვახდინეთ გარდატეხა იმ მხრივ, რომ მუშსოფკორების შენიშვნებს ყურადღება მიექცეს".

ბრძოლა მუშკორთა დევნასთან

შემდეგ ამხ. ულიანოვა გადავიდა მუშკორების დევნის საკითხზე და აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს სულ ახლად გაძლიერდა მუშათა და უმთავრესად სოფლის კორესპონდენტთა დევნა, თუ შარშან მთელი წლის განმავლობაში მოჰკლეს 18 გლეხკორი, წრეულს მარტო რვა თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა 32 ასეთ შემთხვევას. გლეხკორების მკვლელობასთან ერთად, ადგილი აქვს მათი სახლებისა და ზვინების დაწვას, მათ ცემას და დევნის სხვა ფორმებს. დევნა სწარმოებს ქალაქებშიაც, ფაბრიკებში, მაგრამ აქ მეტად შემთხვევაში დევნა „კულტურულ" ხასიათს ატარებს. ქალაქში, მაგალითად, ხდება შემცირება.

მუშგლეხკორების დევნასთან ბრძოლას ჯერ ვერ აწარმოებენ საკმაო ენერგიით. ამიტომ საჭიროა მივიღოთ უაღრესად გადამწყვეტი ზომები მდევნელებთან საბრძოლველად, მოვაწყოთ საჩვენებელი პროცესები და სხვა. ამასთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვისაც, რომ მუშგლეხკორების რიგებში არ ხვდებოდნენ უცხო ელემენტები, რომელნიც თავიანთ მდგომარეობას იყენებენ პირადი მიზნებისათვის.

მუშკორთა შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის

იმისათვის, რომ მუშგლეხკორთა რიგები გავსწმინდოთ უცხო, უვარგისი ელემენტებისაგან, საჭიროა უკეთ ვიცნობდეთ ჩვენს მუშგლეხკორების შემადგენლობას. უკეთესი ხელმძღვანელობა საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ისეთი მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ზოგგან, როდესაც მუშკორები და გლეხკორები პარტიის უპირისპირებენ თავიანთ თავს, არ უწევენ მას ანგარიშს, თავიანთ წარმომადგენლებს ასახელებენ არჩევნებზე და სხვ.

ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მუშგლეხკორების წრეებში და კედლის გაზეთების რედაქციებში მეტი უპარტიო იყოს. უპარტიოთა რიცხვი მცირეა თითქმის ყველგან. უნდა ვეცადოთ იმასაც, რომ საქარხნო-გაზეთების სარედაქციო კოლეგიებში ნაკლები მოსამსახურე იყოს. მასალებიდან სჩანს, რომ დღემდე მრავალ სარედაქციო კოლეგიაში 50 პროცენტზე მეტს მოსამსახურენი შეადგენენ".

პარტხელმძღვანელობის სისუსტე

ამხ. ულიანოვას მოხსენების შემდეგი ნაწილი ეხებოდა მუშგლეხკორების მოძრაობის ხელმძღვანელობას პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

„ხელმძღვანელობის მხრივ საქმე მეტად მოისუსტებს,—სთქვა მომხსენებელმა და ამის საილუსტრაციოდ მოიყვანა მრავალი მაგალითი.—მე მგონია, არ შეიძლება დავასახელოთ არც ერთი პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც თვითონ თავის საკუთარ ანგარიშებში და დადგენილებებში ეთქვას რამე სანუგეშო ამ მხრივ. პარტორგანიზაციების უმეტესობა აღიარებს, რომ მუშგლეხკორების მოძრაობას არ ჰქონდა მიქცეული სათანადო ყურადღება, არ ჰქონია ადგილი იმის შემოწმებას—აწარმოებენ თუ არა ქვედა უჯრედები რამე მუშაობას მუშგლეხკორებთან.

ამასთან ერთად ადგილი აქვს მრავალ გადამახინჯებას და მრავალ ისეთ შემთხვევას, როდესაც ხელმძღვანელობის ადგილს იჭერს ბრძანება, ადმინისტრატიული ზომა, რედკოლეგიების დანიშვნა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიული ხელმძღვანელობა ნამდვილად იდგეს თავის სიმაღლეზე, რომ აქ მოხდეს გადამწყვეტი გარდატეხა გაუმჯობესებისაკენ. საჭიროა, რომ ქვედა ორგანიზაციების მდივნებმა კარგად იცოდნენ მუშგლეხკორთა მოძრაობის პრინციპები და მეთოდები, რომ მათ ისწავლონ მოხერხებული და ფხიზელი მიდგომა მოძრაობის ხელმძღვანელობისადმი, ვინაიდან მრავალ შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მუშგლეხკორთა მოძრაობას სთვლიან რაღაც განსაკუთრებულ, პარტორგანიზაციების წევრებისათვის რაღაც უცხო საქმედ.

რედაქციები და მუშკორები

დამაკმაყოფილებელი არ არის აგრეთვე მუშსოფკორული მოძრაობის ხელმძღვანელობა გაზეთების მხრივ. აქ, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის; რომ მრავალი რედაქცია სცდილობს რაც შეიძლება მეტად გამოიყენოს მუშგლეხკორები. ისინი მხოლოდ იმ თვალსაზრისით აფასებენ მუშსოფკორებს, რომ მიიღონ მათგან განსაზღვრული მასალა გაზეთის სათანადო ნომერში მოსათავსებლად, არ სცდილობენ განავითარონ ეს მოძრაობა, როგორც მასიური მოძრაობა, და ამის შესაფერისად გაუწიონ მას ხელმძღვანელობა.

გაზეთების რედაქტორებს ნაკლებათ აინტერესებთ მოძრაობა. მრავალ შემთხვევაში ისინი თავიდან იცილებენ ამ მუშაობას და მას მთლიად მუშსოფკორთა განყოფილების გამგეს აკისრებენ. ამ მხრივაც საჭიროა მოვახდინოთ გარდატეხა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ რედაქციაში არსებობდეს მუშგლეხკორთა განყოფილება. ამასთან მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მუშსოფკორთა განყოფილებების გადაქცევა მასიურ მუშაობის განყოფილებებად, რადგან ერთ-ერთ ჩვენ ძირითად ამოცანას მოძრაობის მასიურობა წარმოადგენს.

შემდეგ, საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშგლეხკორთა ჟურნალებს. ჩვენ გვყავს ხელმძღვანელი ორგანო. უმჯობესია მეტი ყურადღება მიექცეს ჩვენს ხელმძღვანელ ჟურნალს „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტ"-ს ჩვენი გეზი მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ უფრო ფართოდ გავავრცელოთ ეს ჟურნალი და შევამციროთ მცირე ტირაჟიანი ჟურნალები, რომლებიც ძვირად გვიჯდება.

მზადება მუშკორთა საკავშირო თათბირისათვის

დასასრულ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მუშგლეხკორთა სრულიად საკავშირო თათბირის მოწვევას; თათბირის მოწვევა განზრახულია ამ უახლოეს დროში. მუშაობა, რომელიც სწარმოებს ამ მხრივ, საკმაო არ არის. აქ ჩვენ ვხედავთ ფრიად ჭრელ სურათს; ზოგიერთმა ორგანიზაციამ ფართოდ გადაშალა მუშაობა, შესძლო ამ მზადების ნიადაგზე გაეცხოველებინა მოძრაობა და ჩაება მასში მასები. სხვა ორგანიზაციები მხოლოდ ეხლა იწყებენ გამოფხიზლებას, და ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ისინი ვერ შესძლებენ ჩაატარონ დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა ამ თათბირის მოსამზადებლად და მუშაობის გასაცხოველებლად. ვერ მოასწრებენ განიხილონ თათბირის საკითხები, რომლებიც დამუშავებულ უნდა იქნენ ნამდვილად მუშათა ფართო მასების მიერ. მე ვფიქრობ, რომ მეოთხე საკავშირო თათბირი დიდ როლს ითამაშებს მოძრაობის განვითარებისა და გაცხოველებისათვის.

მზადება ამ თათბირისათვის გაზეთების რედაქციების მხრივ უნდა სწარმოებდეს უფრო სწრაფი ტემპით, იგი უფრო გაღრმავებული და უფრო სერიოზული უნდა იყოს, ვიდრე ეს ხდებოდა დღემდე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევსძლებთ ნამდვილად განვახორციელოთ ის პროგრამა, რომელიც დავისახეთ ამ თათბირისათვის.

დაწვრილებითი ცნობები „სოვეტსკი სევერ"-ის ავარიის შესახებ

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა - ავიაქიმის პრეზიდიუმმა გემ „სტავროპოლი"-დან „სოვეტსკი სევერ"-ის ექსპედიციის უფროსის ამხ. კრასინსკისაგან მიიღო მოხსენება დაწვრილებითი ცნობებით „სოვეტსკი სევერ"-ის ავარიის შესახებ. ამხ. კრასინსკი იუწყება, რომ ავარია გამოიწვიეს სტიქიონის განსაკუთრებულმა პირობებმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევცვალოთ ჩვენი პოზიცია ჩრდილოეთის მიმართ.

„კაცობრიობის ყოველ ახალ საქმეს, — სწერს ამხ. კრასინსკი, — ყოველთვის თანასდევს მსხვერპლი. არქტიკის არეთა გამოყენების პრობლემა კვლავ რეალურ პრობლემად რჩება. პირველ მარცხს შეუძლია მხოლოდ ამ პრობლემის განხორციელების შენელება და შეჩერება".

მოხსენების საპასუხოთ ავიაქიმის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. უნშლიხტმა ამხ. კრასინსკის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„მოგესალმებით და სიხარულს გამოვსთქვამთ საბჭოთა მთელი საზოგადოებრიობის სახელით. დროებითი მარცხი, თუნდაც ისეთი, რომელმაც დიდი ზიანი მოგვაყენა, ვერ შეასუსტებს მუშათა და გლეხთა მასების ნებისყოფას — განაგრძოს ჩვენს ჩრდილოეთში ის მუშაობა, რაც ასე დაჟინებით და თავგამოდებით დაიწყეთ თქვენ და თქვენმა ამხანაგებმა, რომელთაც მხოლოდ დაბრკოლება სტიქიაში ჰპოვეს" (ადს)

შემოდგომის თესვის კამპანიის ძირითადი ამოცანები

რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების დროს?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ პურეულის ყოველწლიური დანაკლისი საქართველოსათვის დაახლოებით უდრის რვა მილიონ ფუთ ხორბლეულს. დანაკლისს განიცდის არა მარტო ქალაქის მოსახლეობა, არამედ სოფელიც. უკანასკნელ დროში პურეულის დეფიციტის შევსება მეტად გაძნელდა და ეს გარემოება იძულებულს გვხდის შიგნით გამოვსძებნოთ ამ მხრივ საჭირო საშუალებანი.

გარდა ამისა, ჩვენი სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობა საერთოდ და პურეულობისა კერძოთ ფრიად დაბალია. ამავე დროს კი არის პირობები და შესაძლებლობა, რომ ეს მოსავლიანობა საგრძნობლად გადიდდეს.

ბოლოს, ჩვენი სოფლის მეურნეობა განიცდის დიდ გაჭირვებას ძირითად და საბრუნავ თანხების სიმცირის გამო, რაც მეტად აფერხებს ყოველ ოპერაციის ჯეროვანათ ჩატარებას. ყველა ზემოთ ნათქვამი განსაზღვრავს თესვის კამპანიის ამოცანებს.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევენ თესვის კამპანიას და ღებულობენ სათანადო ღონისძიებებს მის ჯეროვანად ჩატარებისათვის. ნათესების ფართობის გადიდება, ტექნიკურ კულტურების შენახვით, და მოსავლიანობის აწევა ჩვენი მორიგი ამოცანაა.

წლიურად შემოდგომის ნათესების ფართობი უდრის დაახლოებით 260 ათას დესეტინას. ამასთან, მიწის საგრძნობი რაოდენობა რჩება დასასვენებლად, რაც ჩვენი მცირემიწიანობის პირობებში მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. მიწის ფართობი დაუთესავი რჩება აგრეთვე გლეხთა ზოგიერთ ფენებს ხელმოკლეობის გამო და სხვა.

ასეთ პირობებში შემოდგომის ნათესების **ფართობი ჩვენ მაქსიმუმამდე უნდა გავადიდოთ** და ავიყვანოთ იგი 300.000 ჰექტარამდე. მაშასადამე, ჩვენი პირველი ამოცანა იქნება შემოდგომის პურეულის ბაზის გამაგრება და მასთან ერთად გადიდებაც. დაუთესავი არ უნდა დარჩეს არც ერთი მტკაველი მიწა—ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის გლეხობის **გაუმჯობესებული უზრუნველყოფა თესლით**. მთელი 300.000 ჰექტარის ერთბაშად უზრუნველყოფა გაუმჯობესებული თესლით შეუძლებელი იქნება, რადგან ამ რაოდენობით იგი არ მოიპოვება. ჩვენ დაგვჭირდებოდა დაახლოებით დაგვემზადებინა 660 ათასი ფუთი სათესლე მასალა მარტო კოლექტიურ და ხელმოკლე მეურნეთათვის. ცხადია, რომ ეს თესლი უნდა იყოს ადგილობრივი, რადგან შემოტანილი თესლით სარგებლობა ცოტად თუ ბევრად სათუო ხდება და მასთანავე ის დიდ [illegible] უნდა იქნეს შეძენილი.

ფართობის გადიდებასა და სათესლე მასალის მომარაგებასთან დაკავშირებით სდგება საკითხი **მუშა საქონლის და მის გამოკვების შესახებ**. ჩვენს განკარგულებაში არსებულ ცნობების მიხედვით, ღარიბ მოსახლეობის და კოლმეურნეობების უზრუნველსაყოფად ამ შემოდგომას საჭირო არის 1.700 სული მუშა საქონელი და აგრეთვე საკვები მასალის საგრძნობი რაოდენობა.

კამპანიის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **მანქანა იარაღებით და ტრაქტორებით სოფლის უზრუნველყოფის საკითხს**. ჩვენ აქ არ აღვნუსხავთ იმ მანქანა-იარაღებს, რომლებიც სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული არის, ვიტყვით მხოლოდ, რომ მათი საერთო ღირებულება გეგმით უდრის 1.140.625 მან. აქვე აღვნიშნავთ, რომ უნდა მოეწყოს ახალი სარემონტო სახელოსნოები.

უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანი თესვის კამპანიის საქმეში არის **აგრო-კულტურული ღონისძიებათა ჯეროვანად გატარება**. პირველ რიგში საჭიროა გასაქირავებელ და სარკვევ პუნქტების შევსება და მათი რიცხვის გადიდება. ამჟამად საქართველოში არის 56 გასაქირავებელი სადგური და 8 პურის სარკვევი სადგური. საჭირო არის გაიხსნას ამ თავითვე რამდენიმე ახალი გასაქირავებელი და საწმენდი სადგურები. ამ სადგურებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ნაყოფიერება.

უნდა მოეწყოს **საჩვენებელი ნაკვეთები**, სადაც თვალსაჩინო მაგალითებით ნაჩვენები იქნება მიწის დამუშავების და მოსავლის მოვლის გაუმჯობესებული წესები, სასუქების ხმარების სარგებლობა და სხ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე **სარწყავ წყლების სისტემის მოწესრიგების და მიწათმოწყობას კოლმეურნეობაში, რაც დაკვრითი წესით მიმდინარეობს**.

ყველა ამ ღონისძიებების განსახორციელებლად თავისთავად ცხადია, **საჭიროა სახსრები**. საერთოდ შემოდგომის თესვის კამპანიის ჯეროვანად ჩასატარებლად საჭირო არის 8.722.125 მანეთი, რომლის სხვადასხვა საჭიროებისათვის დანაწილებას ჩვენ აქ არ მოვიყვანთ.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო მომენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს საერთოდ თესვის საქმეში. ეს არის **მუდმივი სათესლე ფონდის დაარსება**.

ამ ფონდის დაარსებას გვიკარნახებს არა თუ ყოველწლიური მოუსავლიანობა და სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ნათესების დაზარალება, არამედ თესვის საქმის გეგმიან საფუძველზე დაყენების მიზნებიც, რომ მოუსავლიანობის დროს მუდმივ არ გვიხდებოდეს განსაკუთრებულ ზომების გამონახვა და ამით მთლიან სახელმწიფოებრივ მშენებლობის გეგმის დარღვევა.

საფუძვლად ამ ფონდის დაარსებას უნდა დაედვას თესვის კამპანიის დროს გაცემული სესხი, სახელმწიფოს დახმარება და უმთავრესად კი თვით მოსახლეობის ინიციატივა. მოსახლეობამ უნდა შემოიღოს წესად ამ შემთხვევისათვის თვითდაბეგვრის პრინციპი ნატურით ან ფულად მიწის ფართობის ერთეულზე ან და მოსავლიანობის განსაზღვრულ რაოდენობაზე.

კერძოთ საჭიროა შეიქმნას **გაუმჯობესებულ თესლის წარმოების მსხვილი მეურნეობანი**, რომელნიც გადაიქცევიან წყაროდ ამ ფონდების გაუმჯობესებულ თესლით უზრუნველყოფისათვის. ამ მიზნით გაფართოებულ უნდა იქნეს ჩვენი სახალხო მამულების მემინდვრეობის ჯგუფის მამულებში ყარაიას, სადახლო, ყულარი და გეურარხი) თესლის დამზადების საქმე.

ასეთია ის ამოცანები, რომლებიც სდგას ჩვენს წინაშე თესვის კამპანიის საქმეში და რომლების განხორციელებასაც უნდა ვცდილობდეთ ამ უახლოეს ხანაში.

ვინ უნდა ჩაებას შემოდგომის თესვის კამპანიაში და რომელ ორგანიზაციებს ევალება ამ ამოცანების განხორციელებაზე ზრუნვა?

იმ უდიდეს მნიშვნელობის გამო, რომელიც ეძლევა თესვის კამპანიას, ამ საქმის გარშემო თავმოყრილი უნდა იქნეს მთელი **მშრომელთა საზოგადოებრიობა** და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

კერძოთ თესლის დამზადება, მუშა-საქონლის შეძენა და მანქანა-იარაღების მომარაგება და მათი განაწილება ეკისრება **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას** და მის ძირითად ქსელს. ჩვენ აქ ხაზი უნდა გაუსვათ შემდეგ გარემოებას. საერთოდ სოფლის მეურნეობას და კერძოთ თესვას ახასიათებს სეზონობა—საქმის თავის დროზე გაკეთებას აქ უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რამდენიმე დღის დახანებას მუშაობის სეზონური ხასიათი ვერ ითმენს. თუ შესაფერის დროს არ დასთესე, შემდეგ ათი და ოცი დღის თესვაც ვერას უშველის. ამიტომ რაც გასაკეთებელია, უნდა გაკეთდეს თავის დროზე. ეს კარგად უნდა ახსოვდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და მის აპარატს.

ასევე თავის დროზე უნდა მიაწოდონ სოფელს მანქანა-იარაღები, ფურაჟი და კრედიტი იმ დაწესებულებებმა, რომლებსაც სახელმწიფო ავალებს ამას. კერძოთ: „**ზაკსელმაშმა**" უნდა დროზე მოიმარაგოს და განაწილოს მანქანა-იარაღები; ამიერ-კავკ. **მებამბეობის კომიტეტმა** და „**ხლებოპროდუქტმა**" დროზე უნდა შეასრულონ ფურაჟის მომარაგება და მიწოდება; **სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დროზე უნდა გაიღოს კრედიტები** და სხ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა თესვის კამპანიაში ეძლევა თვით გლეხობას, როგორც ამ ოპერაციის უშუალო შემსრულებელს. გლეხმა აქ თავისი მოვალეობა მთელი 100 პროცენტით უნდა შეასრულოს. ეს ჯერ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს მისი პირადი ინტერესები და მეორეს იმიტომ, რომ ეს აუცილებელია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების განსამტკიცებლად. სხვა არა იყოს რა, გლეხი პურის მოწევით კავშირს ჰქმნის ქალაქის პროლეტარიატთან, რომელიც ამის სანაცვლოდ მისთვის ამზადებს მანუფაქტურას, მანქანა-იარაღებს და საერთოდ პირველ საჭიროების სამრეწველო საგნებს.

მეტად მნიშვნელოვანია თესვის კამპანიის ჩატარების საქმეში მეურნეობის **სოციალისტური სექტორის ინიციატივა და მოქმედება**. ულარიბესი გლეხობა თანდათან იგებს გაერთიანებულ შრომის მნიშვნელობას და კავშირდება კომუნებში, არტელებში, ამხანაგობებში და სხ. სახელმწიფო ყოველწლიურ დახმარებას უწევს ასეთ გაერთიანებებს თესვის კამპანიაშიაც, როგორც დანარჩენ საქმეებში, სახელმწიფო ყველა ღონისძიებებს ატარებს უმთავრესად კოლმეურნეობათა ხაზით და ამიტომ ისინი უფრო მეტი ვალდებულნი არიან აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიაში, რომ იგი წარმატებით დასრულდეს.

დასასრულ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, **ადგილობრივ ხელისუფლების და მის ორგანოების როლი ამ საქმეში**.

თესვის გეგმის დაწვრილები დამუშავებაში და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებაში დიდი ვალდებულება აწევთ ადგილობრივ აღმასკომებს, საბჭოებს და სხ. თვითეული მათგანი მოვალეა განმარტოს ფართე მასების წინაშე ამ საქმის ღრმა მნიშვნელობა. ყოველგვარად შეუწყოს ხელი გეგმის ნამდვილად გატარებას.

განსაკუთრებული მოვალეობა ამ საქმეში აწევს **სამიწათმოქმედო განყოფილებებს და მათ აპარატს—აგროორგანიზაციას**, როგორც ამ საქმესთან ყველაზე ახლო მდგომ ორგანიზაციას. აგროორგანიზაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უნდა გახდეს სული და გული საქმის ადგილობრივ ღირსეულად ჩატარებისათვის და, გარდა თავისი ოფიციალური პასუხისმგებლობისა, უნდა აიღოს ზნეობრივი მოვალეობა ამ საქმის წესიერად მოგვარებისათვის. აგრონომს არ უნდა გამორჩეს არც ერთი კუთხე, არც ერთი საჭიროება, რომელიც დაკავშირებულია თესვის კამპანიის ამოცანებთან. აგროპროპაგანდა, საჩვენებელი მეთოდები, ბოლოს უშუალო დახმარება მეურნეთათვის (აგროპუნქტები და სხ.),—აი ის მძლავრი იარაღები, რომლებიც აგრონომის ხელში არის და რომლებითაც მას შეუძლია შესაფერისად წარმართოს თესვის საქმე. მან სოფლად უნდა იმუშაოს კოლექტივებსა, სასოფლო-სამეურნეო წრეებსა, პარტიულ და საბჭოთა დაწესებულებებსა, გლეხკომებსა და სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

თვითეულმა ჩვენთაგანმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ თესვის კამპანიის ჯეროვანად ჩატარება **არის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე**, რომელზედაც დამოკიდებულია მოსახლეობის პურით უზრუნველყოფა და სახელმწიფო მშენებლობის მტკიცე ნიადაგზე დაყენება. ამიტომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მთელი მშრომელი მასა აქტიურად უნდა ჩაებან ამ კამპანიის გატარებაში.

მ. ძამანაშვილი.

გეოლოგთა საკავშირო ყრილობის ექსკურსია

აშხაბადი, 2 ოქტომბერი. ჩამოვიდა გეოლოგთა სრულიად საკავშირო ყრილობის ექსკურსია, ექსკურსიის შემადგენლობაშია საბჭოთა 26 მსწავლული-გეოლოგი, ყრილობის თავმჯდომარის პროფ. ობრუჩევის მეთაურობით. ექსკურსია გაემგზავრება კუნძულ ჩელეკენზე, სადაც გაეცნობა კუნძულის მიწის სიღრმეთა სიმდიდრეს და მოახდენს მთელ რიგ გამოკვლევებს. (ადს).

პროფ. მუშკეტოვი
საკავშირო გეოლოგიური კომიტეტისა და გეოლოგთა საკავშირო ყრილობის თავმ—რე.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაცია

მოსკოვი, 2 ოქტომბერი. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინასწარი და არასრული ცნობებით, მთელს კავშირში ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერამ მიაღწია 337.121.500 მანეთს. ამ ჯამიდან რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაზე მოდის 245 მილ. მან., უკრაინის ს. ს. რესპუბლიკაზე—63.614.000 მან., ბელორუსიის ს. ს. რესპუბლიკაზე—7.090.000 მან., ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაზე—10.200.000 მან., უზბეკ. ს. ს. რესპუბლიკაზე—8.987.000 მან., თურქმენისტანის ს. ს. რესპუბლიკაზე—2.230.000 მან. ხელის მოწერის უმთავრესი ნაწილი მიდის ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიურ ხელის მოწერაზე. (ადს).

ტერიტორიალური ნაწილები მანევრებზე

ჯავშან-მატარებელზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

— მიმართულება ხრისაკენ. ნელი სვლა. უფროსმა გასცა განკარგულება და ჯავშანმატარებელი გაუდგა გზას.

— ჩქარი სვლა!—ისმის უფროსის რიხიანი ხმა და ვატყობთ, რომ მატარებელი შეურდულივით მიჰქრის.

სათვალთვალო ოთახში ჩამოცხა. ოფლში ვცურავთ, გვიძნელდება სუნთქვა. მაგრამ ასეთ მდგომარეობას ძალა-უნებურად უნდა შევურიგდეთ, რადგან გზა სახიფათოა, „მტერი" წინ არის და მთელი ყურადღება უნდა მივაპყროთ არე-მარეს და გზის დათვალიერებას.

შეიძლება „მტერი" ჩასაფრებულია გზის პირას, ან გზა გაფუჭებულია.

წინასწარ გაგზავნილი არიან მზვერავნი, რომლებსაც დავალებული აქვთ შეიტყონ „მტრის" ზრახვები, გასინჯონ გზა და ლიანდაგის მდგომარეობა.

ჯერ-ჯერობით სახიფათო არაფერია.

ლიანდაგის მარცხენა მხარეს მიდიან დივიზიის ნაწილები, წინ მოსჩანან გაფანტულნი მზვერავნი, რომლებიც გაფაციცებით ზვერავენ არე-მარეს, სინჯავენ ყოველივე ბუჩქს, გორაკს და ეძებენ დაუპატიჟებელ „მტერს".

ჯავშან-მატარებლის გამოჩენა გულს უკეთებს ყველას: „მტერი" ვერ გაბედავს დაცემას, როდესაც ასე ახლოა რამოდენიმე შორს მსროლელი ზარბაზანი და ტყვიამფრქვევები.

მატარებლის უფროსმა მოიმარჯვა ბინოკლი და მიაჩერდა ერთ წერტილს.

— სდექ!—დაიძახა მან და მატარებელიც გაქვავდა ერთ ადგილზე.

ვიხედებით სათვალთვალოდან, ვეძებთ „მტერს", მაგრამ ვერაფერი გვიპოვნია.

— იარაღი, მარჯვეთ, ხიდი „გაფუჭებულია"—იძახის უფროსი და რამოდენიმე არმიელი მიჰქრის „გაფუჭებული" ხიდის გასაკეთებლად, უფროსის მახვილმა თვალმა შორიდანვე შეამჩნია წითელი დროშა—პირობითი ნიშანი, რომელიც ნიშნავს, რომ ხიდი გაფუჭებულია და საჭიროა მისი შეკეთება.

მატარებელი კვლავ მიდის წინ. დივიზიის ნაწილები დაგვრჩა უკან. მოსჩანან მხოლოდ მოწინავე რაზმები.

ეხლა კი შესაძლებელია, რომ „მტერი" ახლოს იყვეს.

— ზარბაზნები სამხრეთისაკენ! იყავით მზად!—იძლევა განკარგულებას უფროსი და რამოდენიმე ზარბაზნის ლულა მიზანში იღებს ჯერედ უჩინარ მტერს.

— ნელი სვლა!—კვლავ განკარგულება და მატარებელიც მიდის ნელი ნაბიჯით.

„მტერი" არსადა სჩანს, ვერ ბედავს გამოჩენას ჯავშნიან მატარებლის შიშით.

— მიმართულება გორისაკენ! ჩქარი სვლა! —მატარებელი ბრუნდება უკან.

პატარა ფანჯრებიდან კვლავ ვზვერავთ არე-მარეს.

შემოღობილ ვენახიდან გამოხტა რამოდენიმე ცხენოსანი და გაექანა გზაზე მიმავალ ქვეითი ნაწილისაკენ. ეჭვი არ არის, რომ ცხენოსნები ეკუთვნიან პარტიზანულ რაზმს და სურთ დაცემა ქვეითი ჯარზე. თუ მატარებელმა დროზე არ მიუსწრო, პარტიზანები მათ ზარალს მიაყენებენ. დაყოვნება შეუძლებელია.

— სწრაფი სვლა!—გაისმა განკარგულება.

— ზარბაზნები ცხენოსნებისაკენ!—ისმის შემდეგი განკარგულება.

პარტიზანები ვერ ამჩნევენ მატარებლის მოახლოებას.

— სდექ!—ცეცხლი!—დაიქუხა ზარბაზანმა, მას მოჰყვა მეორე. ზარბაზნებს ხმა მისცეს ტყვიამფრქვევებმა. პარტიზანებმა იკადრეს უკან გაქცევა. ბრძოლის ველზე მათ დასტოვეს რამოდენიმე „დაჭრილ-დახოცილი".

— ნელი სვლა! წინ!—მატარებელი გაუდგა გზას ფრთხილი ნაბიჯით.

ი. ხუციშვილი.

ჯავშანმატარებელი
სკრა—ქარელი.

მანევრების მსვლელობა

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ქარელიდან—არადეთამდე

1-ლ ოქტომბერს, ღამით, „წითლები" გადავიდნენ მტკვარზე ნავტიკების ხიდით და გაემგზავრნენ არადეთისაკენ.

გზაში რამდენჯერმე მოუხდათ შეტაკება „ლურჯების" პარტიზანულ რაზმებთან, რომლებიც გაფანტულნი იყვნენ მინდვრად.

პარტიზანებს მოქმედების დროს ხელს უწყობდა სიბნელე და ამიტომ ყოველი მათი „თავდასხმა" ზიანს აყენებდა ამა თუ იმ ნაწილს.

პარტიზანების „თარეში" გრძელდებოდა მთელი ღამის განმავლობაში.

შეხვედრითი ბრძოლა

როგორც „წითლები", ისე „ლურჯები" გაცხოველებით ემზადებიან შეხვედრითი ბრძოლისათვის, რომელიც ჩატარდება სოფ. რუისის ჩრდილოეთით მდებარე მაღლობებზე.

შეხვედრითი ბრძოლის მიზანია გამორკვევა იმის, თუ როგორ აქვთ შეთვისებული ტერიტორიალურ ნაწილებს ტაქტიკისა და სტრატეგიის ძირითადი ელემენტები.

„წითლების" ბანაკში

ქარელიდან გასვლის შემდეგ „წითლები" დაბანაკდნენ სოფ. არადეთის, საღოლაშენის და წვერის მიდამოებში.

სოფ. საღოლაშენში მოთავსდა მანევრების მთავარი ხელმძღვანელი აპარატი.

აგიტ-ფურგონებმა გაშალეს კულტურული მუშაობა.

გამართა კინო-სეანსი, რომელსაც დაესწრო მრავალი გლეხობა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქაური გლეხობა მეორედ ხედავდა კინო-სურათს. პირველად კინო-აპარატი მოუტანიათ მანევრებზე გამოსულ ჯარის ნაწილს 1926 წ.

რადიო მანევრებზე

დივიზიას თან დააქვს ერთი რადიო მიმღები და ორი ხმა-მაღალი მოლაპარაკე. სოფ. არადეთში მოეწყო რადიო-სეანსი, მოსმენილ იქნა თბილისიდან მოხსენება მე-2 ქართულ მსროლელ დივიზიის მანევრებზე და კონცერტი, მოსკოვიდან—მოხსენება შემოდგომის თესვაზე, ბუდაპეშტიდან—კონცერტი.

გლეხობას აეხსნა რადიოს მოწყობა და მისი მნიშვნელობა.

ეს პირველი შემთხვევა იყო არადეთში რადიო-სეანსის მოწყობისა.

ი. ხუციშვილი.

1-ლი ოქტომბერი.

პოლიტმუშაობა მანევრებზე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ტერიტორიალურ ნაწილების მანევრები ტარდება ისეთ პირობებში, რომლებიც უახლოვდებიან ბრძოლის გარემოება-პირობებს.

დივიზიის ნაწილების მთელი შემადგენლობა მანევრების საშუალებით ეცნობა ბრძოლის წარმოებას და იძენს ისეთ ცოდნას, რომელიც საჭიროა ომის დროს.

მანევრები დიდათ განსხვავდებიან ყაზარმულ ჩვეულებრივ ცხოვრებისაგან. მანევრებზე როგორც მეთაურმა, ისე ყოველმა წითელ არმიელმა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი უნარიანობა, საქმის ცოდნა, გამჭრიახობა, რომ მიცემული ამოცანა შეასრულოს ზედმიწევნით, უშეცდომოთ და ამით ხელი შეუწყოს საერთო გეგმის განხორციელებას.

პოლიტმუშაობა და პარტორგანიზაციის საქმიანობა მანევრებზე შეგუებულია საბრძოლო პირობებთან.

პოლიტმუშაობის გეგმის შედგენის დროს მიღებულია მხედველობაში მანევრების ოპერატიული გეგმა.

პარტიზანული ომი მოითხოვს განსაკუთრებულ ხასიათის მუშაობას. ამასთან შეფარდებით შემოკლებულია პარტიზანული ომის დროს კრებების და თათბირების რიცხვი. სიმძიმის ცენტრი გადატანილია პარტწევრების და კომკავშირელების ინდივიდუალურ ინსტრუქტაჟზე, ყოველ პარტწევრს და კომკავშირელს ეძლევა ინდივიდუალური დავალება, მითითება.

მანევრების დროს არ არის დავიწყებული პოლიტმუშაობის წარმოება წითელ არმიელთა შორის. დასვენების დროს სწარმოებს საუბრები მიმდინარე მომენტზე, მანევრების ამოცანებზე, წითელ არმიელის მოვალეობაზე ბრძოლის დროს და სხვა.

ყოველდღიურათ ხდება გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა, რათა წითელ არმიელებს ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობა-პოლიტიკაზე.

დიდი ყურადღება ექცევა მუშაობას მოსახლეობის შორის.

იმ სოფლებში, სადაც ბანაკდებიან ნაწილები, ეწყობა გლეხობის საერთო კრებები, რომლებზედაც კეთდება მოხსენებები მიმდინარე მომენტზე. ამას გარდა წითელი არმიელები აწარმოებენ საუბრებს იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც აინტერესებენ გლეხობას.

სპეციალურად გამოყოფილი ამხანაგები აწარმოებენ სამკითხველოების და სამხედრო კუთხეების მუშაობის გამოკვლევას, აძლევენ რჩევა-დარიგებას სოფლად კულტურულ დარგში მომუშავე ამხანაგებს.

ყოველ ნაწილს თან აქვს მოძრავი კინოაპარატი და რადიო. სოფლად იმართება კინოსეანსები, იდგმება ხმა-მაღალი რადიო-მოლაპარაკე.

დიდ კულტურულ მუშაობას აწარმოებენ აგიტ-ფურგონები, რომლებიც მომარაგებულნი არიან დიდძალი ლიტერატურით და ჟურნალ-გაზეთებით.

ი. ხუციშვილი.

სოფ. რუისი, 2 ოქტომბერი.

ნავტიკების ხიდი მტკვარზე

წითელ-არმიელები ბანაკად

საქ. პროფსაბჭოს მერვე პლენუმი

გუშინ საღამოს შრომის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მორიგი (მე-8) პლენუმი. პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება შრომის სასამართლოს დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ, 2) სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობის მოწვევის შესახებ, 3) კერძო წარმოებებში პროფმუშაობის შესახებ.

შრომის სასამართლოს დადგენილებათა გატარება ცხოვრებაში

(მომხ. ამხ. შავიშვილი)

შრ სასამართლოს გადაწყვეტილებათა სისრულეში მოსაყვანათ,—ამბობს მომხსენებელი,—თბილისში მუშაობს ორი სასამართლოს აღმასრულებელი. გასული თვის უკანასკნელ რიცხვებში იუსტიციის სახალხო კომისარიატმა თავისი ინსტრუქტორების საშუალებით გამოიკვლია მათი მუშაობა და აღმოაჩინა შემდეგი:

შრომის სასამართლოს დადგენილებათა გატარება ცხოვრებაში ვერ არის სათანადოთ მოწესრიგებული. დადგენილების სისრულეში მოყვანას აგვიანდება რამდენიმე თვე და ხშირად რამოდენიმე წელიწადი. აქ მომხსენებელს მოჰყავს რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითი, რომლიდანაც ირკვევა, რომ დადგენილების სისრულეში მოყვანა ხშირად იმდენ ხანს გრძელდება, რომ გადამხდევინებელს სარჩელის ამოღების ხალისი ეკარგება. განსაკუთრებით დიდ ხანს აგვიანდება წვრილი თანხების გადამხდევინებლების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღმასრულებელნი დაინტერესებულნი არიან პირველ ყოვლისა ამოიგონ დიდ თანხიანი სარჩელი, რომლიდანაც მათ შედარებით მეტი პრემიალური ჯილდო ერგებათ. დადგენილებას ცხოვრებაში გატარებას აფერხებს ის გარემოებაც, რომ ხშირად აღმასრ. ფურცელში სისწორით ან სრულებით არ არის მომჩივანის ან მოპასუხის სრული ვინაობა და მისამართი რის გამოც აღმასრულებელს ბევრი დრო და ენერგია ეკარგება ამის გამოსარკვევად. არა იშვიათად აღმასრულებლის მხრით ადგილი აქვს უყურადღებობას მშრომელთა ინტერესებისადმი,—არ ატარებენ რეგისტრაციაში აღმასრულებელ ფურცლებს, ხშირად კარგავენ მათ და სხვა. დადგენილებათა სისრულეში მოყვანას არა ნაკლებ აფერხებს აგრეთვე უკვე გაცემულ ფურცლის ასრულების უთავბოლო შეჩერება თვით შრომის სასამართლოს ან პროკურატურის მიერ. გარდა ამისა, სახელმწიფო დაწესებულებები ძალიან ხშირად აჭიანურებენ სასამართლოს წესით მისჯილ თანხების გადახდას, აღმასრულებელნი უძლური არიან რაიმე ზომები მიიღონ მათ წინააღმდეგ.

დეფექტების თავიდან ასაცილებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია საკანცელარიო მუშაობის ტექნიკის გამარტივება და მასში შესწორების შეტანა იმ მხრივ, რომ ნათელი გახდეს საქმის მოძრაობის სურათი და აგრეთვე აღმასრულებელ ფურცლის შემოსავლის ნამდვილი დრო დაექვემდებაროს ტექნიკურ კონტროლს.

კამათი

მოხსენებამ გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ შრომის სასამართლოებმა ამ უკანასკნელ ხანებში გამოასწორეს თავისი ძირითადი ნაკლი—საქმის ძალზე გაჭიანურება. ამჟამად საქმეების გარჩევას შრომის სასამართლოებში იმდენათ არ აგვიანდება, მაგრამ შრომის სასამართლოს დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას ჯერ კიდევ თვეები და ხშირად წლები სჭირდება.

ამ გარემოების მიზეზი არის არა მარტო აღმასრულებლის მიერ საქმისადმი ბიუროკრატიული მიდგომა, მათი უყურადღებობა მშრომელთა ინტერესებისადმი, არამედ ზოგიერთი დაწესებულების ურჩობა და ჯიუტობა იმ შემთხვევაში, როცა მათ ევალებათ დაემორჩილონ სასამართლოს დადგენილებას. ამხანაგების აზრით,—სასამართლოს აღმასრულებელნი დღემდე დაქვემდებარებულნი არ არიან რეგულიარულ ზედამხედველობაზე, რის გამოც შეუძლებელი ხდება მათ მუშაობაზე კონტროლის გაწევა.

ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ აღმასრულებელთა მუშაობაში მეტი სიმარტივის შეტანა და რეგულიარული მეთვალყურეობის შემოღება სასამართლოს განაჩენების აღსრულებაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ამხანაგებმა. ამიროვმა, გოგორიშვილმა, შესტოვმა, ჩხუბიაშვილმა, შიშინაშვილმა, დიმიტრიევმა, რევიამ და გოდაბრელიძემ.

რეზოლიუცია

კამათის დასასრულ პლენუმმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „პროფკავშირთა საბჭოს პლენუმი ადასტურებს, რომ შრომის საქმეთა აღმასრულებლების მუშაობაში, ადგილი აქვს: 1) საქმისადმი ბიუროკრატიულ მიდგომას, 2) ცალკე შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებების რამოდენიმე წლით დაყოვნებას, 3) უყურადღებობას მშრომელთა ინტერესებისადმი (აღმასრულებელ ფურცლის დაკარგვა და სხვა) 4) პრემიალურ სისტემის ბოროტად გამოყენებას, 5) ფულად ანგარიშების უწესრიგობას.

სასამართლოს აღმასრულებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევის მხრით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობაზე არავითარი მეთვალყურეობა არ არსებობს. მიუხედავათ იმისა, რომ იუსტიციის სახკომისარიატმა რამოდენიმე ხნის წინათ ჩაატარა სასამართლოს აღმას. რევიზია, მან ვერ აღმოაჩინა ძირითადი დეფექტი, სახელდობრ სასამართლოს აღმასრულებლის, მუშაობაზე კონტროლის გაწევის შეუძლებლობა.

ამისდამიხედვით პლენუმი ადგენს: 1) დაუყოვნებლივ იქნეს გადახალისებული შრომის სასამართლოს აღმასრულებელთა შემადგენლობა, ამავე დროს გაგრძელდეს რევიზია აღმასრულებლების მიერ წარმოებულ ფულად ოპერაციების დარგში, 2) ეთხოვოს იუსტსახკომს სასამართლოს აღმასრულებელთა მუშაობაში შეიტანოს მეტი სიმარტივე და შექმნას ისეთი პირობები, რომ შეიძლებოდეს მათ მუშაობაზე კონტროლის გაწევა, 3) დაევალოს შრომის საქმეთა პროკურატურას გამოიმუშაოს შრ. სასამ. განაჩენების სისრულეში მოყვანაზე მეთვალყურეობის წარმოების განსაზღვრული ფორმა, 4) ეთხოვოს იუსტ. სახკომისარიატს დასვას სათანადო ორგანიზაციების წინაშე საკითხი ამის შესახებ და განსაზღვროს იმ გადასახდევინებელ თანხის მაქსიმალური რაოდენობა, რისთვისაც საგაზეთო პუბლიკაცია სავალდებულოა.

—:—

პლენუმის შემდეგი სხდომა შესდგება დღეს საღამოს.

პარტიული ცხოვრება

ვემზადოთ ბიუროების გადარჩევისათვის

ს. კ. პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ყველა რაიკომებს, უჯრედებს და პარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს.

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თანახმად, ამა წლის 15 ოქტომბრიდან დაიწყება უჯრედთა ბიუროების არჩევნები.

მომავალი საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის ლოზუნგს უნდა შეადგენდეს ფართო პარტიული მასების თვითკრიტიკის კიდევ უფრო მეტად განვითარება იმ მიზნით, რომ გამოაშკარავდეს ყველა ჩვენი დეფექტი და მიღწევა და ყოველნაირად გაუმჯობესდეს მუშაობის ღირსება.

თბილისის ორგანიზაციამ ბოლო მოუღო ტროცკისტული ოპოზიციის გამხრწნელ მუშაობას და შეამჭიდროვა რიგები ლენინური ც. კ.-ის გარშემო. ამჟამად კი მის წინაშე სდგას პარტიული და სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული საკითხები.

უჯრედთა ბიუროების საარჩევნო კამპანიის ძირითად ამოცანებს შეადგენს ამ მუშაობის შეჯამება უაღრესად თამამი თვითკრიტიკის პირობებში და ახალი გზების დასახვა პარტიის იმ ძირითად დირექტივების უფრო უკეთესად განხორციელებისათვის, რომლებიც განვლილ პერიოდში იყო მოცემული.

თბილისის კომიტეტი აღნიშნავს, რომ შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ განვითარება გულისხმობს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, ამიტომ პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებმა ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭირონ უჯრედების ბიუროების საარჩევნო კამპანიაში.

უჯრედების ბიუროების არჩევნების დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პარტმუშაობის ძირითად საკითხებს; როგორიცაა:

1. მასიური მუშაობა, რომლის სწორ დაყენებაზე თვალსაჩინოდ არის დამოკიდებული მუშათა პოლიტიკური დონის საერთო ზრდა და მათი სისწორით გარკვევა მთელს შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებში.
2. წარმოების რაციონალიზაცია და უჯრედების ხელმძღვანელობა საწარმოთა და დაწესებულებათა სამეურნეო მუშაობაში.
3. თვითკრიტიკის გატარება და გადამწყვეტი ბრძოლა ყველა ავადმყოფურ მოვლენასთან როგორც პარტიის წევრთა და კანდიდატთა შორის, ისე უპარტიოთა შორის.
4. ბიუროკრატიზმთან, პროტექციონიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლა, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირება, დაწინაურების საქმე, სახელმწიფო აპარატის გამუშურება, გამარტივება და გაიაფება.
5. კოოპერატიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობა და ხელმძღვანელობა მათი ფრაქციების მუშაობისადმი.
6. უჯრედის მუშაობის შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესება, ხელმძღვანელობის დაახლოება ფართო პარტიული მასების მოთხოვნილებებთან.

უჯრედების მუშაობის უკეთესი და ყოველმხრივი შესწავლის მიზნით, თბილისის კომიტეტი, წარსული კამპანიების მაგალითის მიხედვით, წინადადებას იძლევა გამოყოფილ იქნას უჯრედების საერთო კრებებზე თვითშემმოწმებელი კომისიები.

თვითშემმოწმებელ კომისიებს ეკისრებათ უჯრედის მუშაობის წინასწარი გამოკვლევა პარტიის ძირითადი დირექტივებისა და უჯრედების გადაწყვეტილებათა შესრულების თვალსაზრისით, აგრეთვე პრაქტიკულ წინადადებათა შემუშავება უჯრედთა ბიუროების ანგარიშის გარშემო.

თვითშემმოწმებელი კომისიის მიერ დამუშავებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს განიხილავენ უჯრედთა ბიუროების სხდომები, სადაც მოწვეული იქნება საუჯრ. აქტივიც. თუ ღონისძიებები განხილვის დროს კომისიასა და ბიუროს შორის თავს იჩენს აზრთა სხვადასხვაობა, თვითშემმოწმებელი კომისია საერთო კრებაზე თანამოხსენებას გააკეთებს უთანხმოების გამომწვევ საკითხების შესახებ.

საარჩევნო კრებების დღის წესრიგში უნდა დაისვას მხოლოდ შემდეგი საკითხები:

1. უჯრედის ბიუროს ანგარიში,
2. სარევიზიო კომისიის თანამოხსენება,
3. ბიუროს წევრთა არჩევნები და სარაიონო პარტკონფერენციის დელეგატების არჩევა.

შენიშვნა: რაიკომს უფლება აქვს აღნიშნულს გარდა წამოაყენოს სხვა საკითხებიც, მაგრამ არა უმეტეს ერთი საკითხისა.

თბილისის კომიტეტი მოუწოდებს თბილისის ორგანიზაციას, უზრუნველჰყოს დღის წესრიგში დასმული საკითხების საქმიანი განხილვა, ადგილი არ უნდა ექნეს აჩქარებას, საარჩევნო კრების ჩატარებისადმი ზერელე და ფორმალურ მიდგომას. თუ საჭიროება მოითხოვს, კრება გადადებულ უნდა იქნას შემდეგი დღისათვის.

ბიუროს ახალი შემადგენლობის კანდიდატთა დასახელების დროს საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს საქმიანი, მტკიცე და მუშაობაში შემოწმებული პარტიულების შერჩევას; ამავე დროს გეზი იქით უნდა იქნას აღებული, რომ ბიუროებისა და რაიკომების შემადგენლობაში გადიდდეს დაზგის მუშების პროცენტი გასულ წელთან შედარებით.

შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ განვითარებასთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნას სრული საარჩევნო პრინციპი. პარტიის წევრებს უნდა მიეცეს უჯრედების ბიუროებისა და რაიკომების მუშაობის საქმიანი კრიტიკის სრული შესაძლებლობა და აგრეთვე იმ ამხანაგების კრიტიკის, რომლებიც მუშაობაში ბრძანებლობის, დაშინების, არაამხანაგური დამოკიდებულების და სხვ. ამგვარ მეთოდებს იყენებენ.

უჯრედების ბიუროების საარჩევნო კამპანია დაწყებულ იქნას ამა წლის ოქტომბრის 15 და დამთავრდეს 5 ნოემბერს.

სარაიონო კონფერენციები ჩატარებულ იქნას ნოემბრის 5-დან ნოემბრის 25-მდე.

რაიონულ კონფერენციებისათვის დაწესებულ იქნას წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები:

პარტიის 15 წევრისაგან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით;

პარტიის 25 კანდიდატისაგან—1 დელეგატი სათათბირო ხმით;

თბილისის კონფერენციისათვის:

პარტიის 30 წევრისაგან—1 დელეგატი გადამწყვეტი ხმით;

პარტიის 35 კანდიდატისაგან—1 დელეგატი სათათბირო ხმით.

ვინაიდან ჩატარებული კამპანიის აღრიცხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა უჯრედებს თავის დროზე მოაწოდონ მას დაწვრილებითი ინფორმაცია კამპანიის მსვლელობის და შედეგების შესახებ. ინფორმაცია უნდა შედგენილ იქნეს დაწესებული ფორმების მიხედვით, რომლებიც დაეგზავნება ადგილებს. საინფორმაციო მუშაობაში ჩაბმულ იქნან საუჯრედო ინფორმატორები და პარტიის ცალკე წევრები.

თბილისის კომიტეტის მდივანი
სუხიშვილი.
საორგანიზაციო-განმანაწ. განყოფილების გამგე შოგირაძე.

კომკავშირში

ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა მიმართვა ახალგაზრდათა კომინტერნს

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ყოფილ ხელმძღვანელ წევრთა ჯგუფმა, შემდეგი განცხადებით მიმართა ახალგაზრდათა კომინტერნს:

„საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების წევრთა ყრილობამ 1923—24 წ. მიიღო მესამე კომუნისტური ინტერნაციონალისა და ახალგაზრდათა კომინტერნის პლატფორმა და გაუქმებულად გამოაცხადა ახალ. მარქ. ორგანიზაციები.

ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ყრილობამ გაუქმებულად გამოაცხადა აგრეთვე საქ. ახ. მარქ. ორგანიზაციების იმ წარმომადგენლობის მანდატები, რომლებიც ახალგაზრდათა სოც. ინტ-ლში შედიოდნენ.

ზემოაღნიშნულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო დელეგატების სახით 95 პროც. ახ. მარქ. ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდობისა, ამის შემდეგ ორი-სამი წლის განმავლობაში, ორგანიზაციები დასტოვა ახალგაზრდათა დარჩენილმა ნაწილმა. ამრიგად 1926—27 წლისათვის ეს ორგანიზაციები სავსებით გაუქმებული იქნა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პირები, კიდევ ჩემობენ საქართველოში არარსებულ ორგანიზაციების წარმომადგენლობას და ახალგაზრდობის სოც. ინტ-ლის კონგრესებზე აკეთებენ სიყალბეზე და სიცრუეზე აშენებულ მოხსენებებს საბჭოთა საქართველოს შესახებ.

გაუწყებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ თქვენი ევროპიელი სექციების საშუალებით გააცნოთ იქაურ მუშა-ახალგაზრდობას, რომ საქ. ყოფ. ახ. მარქ. ორგანიზაციების ყოფ. წევრები მთელი თავისი ენერგიით, კომკავშირის ორგანიზაციებთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან სოციალისტურ სამშობლოს კულტურულ ეკონომიურ აღორძინებისათვის და საბჭოთა ხელისუფლების საბოლოო განმტკიცებისათვის.

გამოვსთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ევროპის მუშათა ახალგაზრდობა აიძულებს სოც. ინტერნაციონალის ბიუროს, დაეყრდნოს სრულუფლებიან ყრილობის დადგენილებებს და არ სცნოს ამიერიდან საქართველოში თითქმის არსებულ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების არავითარი მანდატი".

ამ განცხადებაზე ხელს აწერენ:

ვლადიმერ ფირცხალავა (ყოფ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრ. კომიტეტის ყოფ. თავმჯდომარე), არტემ ჩიჩუა (ყოფ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრ. კომიტეტის ყოფ. წევრი და თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე), ნიკო ჯუღელი (ახ. მარქ. ორგ. ცენტრ. კომიტეტის ყოფ. წევრი), დიომიდე როდონაია (ცეკასთან არსებულ სააგიტ.-საპროპაგანდო ბიუროს ყოფ. თავმჯდომარე), ლომჯარია ნიკო (ბათომის საოლქო კომიტეტის ყოფ. წევრი), შარაშიძე შოშია (ბათომის საოლქო კომიტ. ყოფ. წევრი), მენაბდე შოთა (გურიის კომიტეტის ყოფ. წევრი), შალამბერიძე აბესალომ (ცენტრ. საკონტროლო კომისიის ყოფ. წევრი), შავგულიძე ანტონ (თბილისის კომიტეტის ყოფ. წევრი), ოქროპირიძე შაქრო (თბილისის კომ. ყოფ. წევრი), კეკელია გრიგოლ, (თბილისის კომიტეტის ყოფ. წევრი), ორჯონიკიძე იოსებ (ხაშურის რაიონულ კომიტეტის ყოფ. თავმჯდომარე) და სხვები.

საქ. ახ. ლენინ. კომკავშირის თბილის კომიტეტი
იუწყება, რომ დღეს, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე,
სახელმწიფო ოპერის შენობაში მოწვეულია
საქ. ახ. ლენინელთა კომკავშირის თბ. ორგანიზაციის

აქტივის საერთო საქალაქო სხდომა

დღის წესრიგშია: ახალგაზ. კომინტერნის აღმასკომის გენერალური მდივნის ამხ. ხითაროვის მოხსენება ახალგ. კომინტერნის მე-5 კონგრესის შედეგების შესახებ.

სრულ. საკავშირო ახ. ლენინ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისა, ც. კ-სა, თბილისის კ-სა და სარევ. კომისიის წევრები კრებაზე შედიან თავისი მანდატებით; დანარჩენები—იმ ბილეთებით, რომლებიც დარიგდება სათანადო სარაიონო კომიტეტებში.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილ. კომ. პასუხისმგებელი მდივანი
აზარაშვილი

საბჭოთა საქართველო

წერილები

რთველის მოლოდინში

(წერილი კახეთიდან)

ღვინის მოსავალი წელს კახეთში, სადაც ვენახები არ დაზარალებულა სეტყვისა და ფილოქსერისაგან დაახლოვებით საშუალოზე მეტია. ამ ზაფხულზე დრო გამოშვებით ავდარი ხელს უწყობდა მარცვლის დასხვილებას.

ყურძენი უკვე იწევა, მაგრამ დასრულებული კი არ არის. მიუხედავად ამისა, ბევრ სოფელში უკვე დაიწყეს კრეფა. რთველს იწყებენ, მაგრამ არსად ანგარიშს არ უწევენ მოსულია თუ არა ყურძენი. ამის გამოა, რომ ნაქები კახური ღვინო ზოგს მეტად მდარე თვისებისა უდგება და ადრეც ფუჭდება. ზოგის-კი, ვინც ყურძნის დამწიფებას უცდის, მაღალ ღირსების ღვინო მოსდის და კარგ ფასებშიც ჰყიდის.

სამწუხაროდ ამ გარემოებას არსად ყურადღება არ ექცევა. ეხლა კახეთში იშვიათია ისეთი რაიონი, სადაც აგრონომი არ ჰყავდეთ და კარგი იქნება ყველგან მოხდეს ყურძნის სიტკბოს შემოწმება და მიეცეთ გლეხებს რჩევა-დარიგება ამის შესახებ, აგრონომების რჩევას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება.

რთველის მოლოდინში წინედ სოფლად ჩნდებოდენ ჩარჩ-ვაჭრები და გაჭირვებულ გლეხებიდან ჩალის ფასად იკვეთავდენ ტკბილს და მაჭარს.

წელს როგორც სჩანს, მათი მოქმედება აილაგმება. როგორც სახალხო მამულები, ისე საკრედ. ამხანაგობები აწარმოებენ ყურძნის და ღვინის შესყიდვას, ყურძენს ფუთ 3 მანეთად, ტკბილს 3 მან. და 50 კაპ. ზოგი საკრედიტო ამხანაგობა ყურძენს არ იღებს, ეს სწორი არ არის. როგორც განკარგულებაა ცენტრიდან, ამხანაგობებმა უნდა შეისყიდონ როგორც ყურძენი, ისე ტკბილი, მხოლოდ თუ იმისი ეშინიათ, რომ დაუმწიფებელი არ დაკრიფონ, ამ შემთხვევაში საჭიროა როგორც ზევით აღვნიშნე, აგრონომების ჩარევა ამ საქმეში და წინდაწინვე გლეხების გაფრთხილება, რომ დაუმწიფებელი ყურძენი არ იქნება მიღებული.

ვან—ლი.

—:—

ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირება

ბაშკიჩეთი, ბორჩალოს მაზრა

ამჟამად სოფლის მეურნეობის აღორძინებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ამოცანს შეადგენს, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობის ჩაბმა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას, ხელს უშლის ერთის მხრივ კოოპერაციის სარგებლიანობის არ ცოდნა გლეხების მიერ, ხოლო მეორეს მხრივ ღარიბების ნივთიერი ხელმოკლეობა.

ღარიბი გლეხების კოოპერაციაში გაერთიანების საკითხი ჯერ კიდევ ორი წლის წინად იყო პარტიის უმაღლესი ორგანოების მიერ დადგენილი, მაგრამ ბაშკიჩეთში და მის რაიონში აქამდისაც ვერ მოხერხდა მისი ცხოვრებაში გატარება.

დღეს კოოპერატიული ორგანიზაციების წმინდა მოგებიდან ათი პროცენტის გადადებით შეიქნა სპეციალური ფონდი ღარიბების კოოპერაციაში შესაკავშირებლად. კოოპერატიული შეღავათები ღარიბებზე შემდეგნაირად ვრცელდება: სათანადო ორგანოების მიერ აღრიცხვაზე აყვანილი ღარიბების სახელზე ამ ფონდიდან კოოპერატივის სალაროში შეაქვთ საწევრო პაის ნაწილი და კოოპერატივის საწევრო ურიგდებათ ღარიბებს.

ყველა ამას წინ უსწრებს სპეციალური კრებები, განმარტებებით იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღარიბების გაერთიანებას კოოპერაციაში.

ზემოხსენებული ფონდის შექმნის სახით ღარიბების მიმართ კოოპერატიული შეღავათი იმაში მდგომარეობს, რომ კოოპერატიულ ფონდიდან ღარიბებს აძლევენ საწევრო წიგნაკებს, ხდიან კოოპერატივების წევრებად, რასაკვირველია გრძელი ვადის განმავლობაში ღარიბებმა კოოპერატივის საწევრო წიგნაკის გამოსყიდვით უნდა აუნაზღაურონ გაწეული ხარჯი კოოპერატივის სალაროებს.

ქანელი.

გლეხობა კმაყოფილია

ნორიოს თემი, თბ. მაზრა

ნორიოს თემის მცხოვრებთა უმრავლესობა მისდევს სოფლის მეურნეობას (ხვნა-თესვას) და ნაწილობრივ მესაქონლეობას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში გლეხობას აღარ მოსდის საკმაო მოსავალი. მოუსავლიანობის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ძლიერი ქარი,— რითაც დაჯილდოებულია ეს თემი, და სეტყვა რომელსაც აქვს, თუმცა იშვიათი, მაგრამ განმანადგურებელი შემთხვევები.

სეტყვისაგან განსაკუთრებით მიმდინარე წელს დაზარალდა ადგილობრივი გლეხობა. მაგრამ აქ გამოჩნდა მისარჩლედ სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო, რომელსაც დაზღვეული ჰქონდა სავალდებულო საგანაკვეთო და (ნაწილობრივ კი ნებაყოფლობითი) დაზღვევით მთელი ნათესების სივრცე თემის მასშტაბით.

დასეტყვის შემდეგ მოხდა დაზარალებულ ნათესების დეტალური გამოკვლევა და შესდგა სათანადო აქტი, ხოლო 14 სექტემბერს სახ. დაზღვევის წარმომადგენელმა დაიწყო ზარალის ანაზღაურება. ნორიოს თემში დარიგდა დაახლოვებით 12 ათას მანეთამდე. დაზღვეულ ობიექტებიდან კი აკრეფილია მხოლოდ ხუთი ათას მანეთამდე. აქედან მეტი წილი მოდის მსხვილფეხა საქონლის დაზღვევიდან.

ამით გლეხობა დარწმუნდა, რომ საბჭოთა მთავრობა მუდამ მზად არის ხელი გაუწოდოს ჩამორჩენილ გლეხს და გამოიყვანოს იგი გაჭირვებულ მდგომარეობიდან.

გიორგი ბაქრაძე.

—:—

პროტექციამ გასჭრა

(წერილი მუხრანიდან)

გასული წლის შემოდგომაზე მუხრანის 4 წლ. შრომის სკოლაში მასწავლებლად გადმოგზავნეს თამარა ერქომაიშვილი, რომელმაც თავისი ცუდი ყოფა-ქცევით თავი მოაძულა როგორც მასწავლებლობას, აგრეთვე მთელ მოსახლეობას. ამის გამო მაზრის განათლების განყოფილებამ სამოსწავლო წლის დამთავრების შემდეგ ერქომაიშვილი მოხსნა სამსახურიდან. მის ალაგზე დანიშნეს ვინმე მგელაძე, მაგრამ თამარას პროტექციამ გასჭრა და თბილისის მაზრის განათლების განყოფილების ინსპექტორ კვირკველიამ ერქომაიშვილი კვლავ აღადგინა თავის თანამდებობაზე. ეს მოხდა იმ დროს, როცა ადგილობრივ ორგანოზ. აღძრული ჰქონდათ შუამდგომლობა მცხოვრებ ნინო ზეიკიძის შესახებ რომელმაც გასულ წელს დაამთავრა 9 წლედ. პედაგოგიური განხრით. შუამდგომლობა იყო აგრეთვე უღარიბესი გლეხის და მასთან ადგილობრივ უკვე ნამსახურ ქეთო მარინაშვილის დანიშვნის შესახებ. ეს უკანასკნელნი კი არ იქნენ მიღებულნი.

საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისდანაც ჯერ არს.

დევნილი.

—:—

მოგვაშორეთ უღირსი მასწავლებელი

(წერილი მთა-თუშეთიდან)

საბჭოთა ხელისუფლება მუდამ მთა-თუშეთსაც კი არ სტოვებს უყურადღებოთ, რომ ჩვენი ბავშვები არ დარჩენ უსწავლელნი. აქ გამოგზავნეს სამი მასწავლებელი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი არ უნდა ატარებდეს მასწავლებლის სახელწოდებას.

გამოგზავნილ მასწავლებელთა შორის არის შაქრო ბარძიმაშვილი, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ლოთობდა. როცა კარგად გაილეშებოდა ეს „კულტურის“ მქადაგებელი მასწავლებელი, შეჯდებოდა ცხენზე და დააჯირითებდა, ჯირითით გულის მოჯერების შემდეგ ქალებში არშიყობას მიჰყობდა ხელს. ასე რომ მოქ. ბარძიმაშვილის უმთავრესი საზრუნავი იყო ქეიფი, ჯირითი და ქალებში არშიყობა.

ყველას კარგად მოეხსენება მთა-თუშეთის ზნე-ჩვეულება, რომ მთის ხალხი ასეთ შეურაცყოფას ვერ მოითმენს და შეიძლება უბედური შემთხვევაც მოჰყვეს ბარძიმაშვილის ასეთ თავაშვებულობას.

ასეთი პიროვნება არ უნდა ატარებდეს მასწავლებლის სახელს, ის უნდა განიდევნოს მასწავლებელთა რიგებიდან.

კახელი.

მოქეიფე კომისია

ს. აკეთი, გურია

სოფ. აკეთის ინტელიგენციამ გადაწყვიტა 8 სექტემბერს მოეწყო საღამო-წარმოდგენა ადგილობრივ პროფსკოლის სასარგებლოდ. მართლაც დაიწყეს დიდი მზადება, ჩამოიარეს სოფლები და შეაგროვეს წიწილები, ქათმები, ყველი, კვერცხი და სხვა სანოვაგე. ამგვარად წარმოდგენა უკვე მზად იყო და ბუფეტი კიდევ უკეთესი. მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. წარმოდგენა გადაიდო მომავალ წლისათვის, ხოლო გაყიდული საპატიო ბილეთები გაუქმებულად გამოცხადდა. ამ ბილეთებიდან აღებული ფული, 80 მანეთი დაუმატეს შეგროვილ სანოვაგეს, მოუჯდა საღამოს მომწყობი კომისია სუფრას და სამი დღე და ღამე იქეიფა. მოქეიფენი ისე დაითვრენ, რომ ერთმანეთს ველარ სცნობდენ. ყველა ამას შორიდან შესცქეროდა გლეხობა და გაკვირვებული იყო.

დროა ბოლო მოეღოს ამგვარ სიმახინჯეს სოფლის კულტურულ ცხოვრებაში.

საჭამიასერელი.

—:—

ნატახტარის წყალსადენი და ს. ნატახტარი

ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ ეს დიდი წამოწყება. სპეციალისტების აზრი ნატახტარის წყალსადენის შესახებ ერთია: „საქმე კარგად არის მოფიქრებული და მუშაობაც სწორი გზით მიმდინარეობს“.

ნატახტარ-მუხრანის ველზე დილიდან საღამომდე დაფუსფუსებენ უნცროსი თანამშრომლები და ამოწმებენ „უკვდავების წყაროს“ მდგომარეობას ქვა-ბურღილებში, ვინ ფეხით დადის, ვინ ცხენით, რომ მოასწრონ ჩაბარებულ ჰების შემოვლა და წყალის დონის მომატება - დაწევის წიგნაკებში ჩანიშვნა.

რამდენიმე ადგილას წყალი თავისით ამოხეთქილა ზედაპირზე. წყალსადენის სამმართველოს მშვენივრად მოუწყვია ასეთი ადგილები, რის გამოც სოფ. ქალის თავის მცხოვრებნი და წილკნელები ქალაქელებზე ადრე იგრილებენ ყელს ანკარა წყაროს წყლით.

„თხის პატრონს აღარც თხის კუდიო“.— ასეთი ანდაზა ნაწილობრივ მიუდგება ს. ნატახტარის მდგომარეობას. აქ ამ ზაფხულსაც ძველებურად არაგვის წყლით იკმაყოფილებდნენ წყურვილს. არაგვი შედარებით სუფთაა, მაგრამ შორს ჩამოუდის სოფელს. სასმელი წყალი იქედან სარწყავი რუებით მოყავთ ხოლმე. გზაზე რუებში ხშირად გადის საქონელი და მეტად აბინძურებს მათ.

ნატახტარის მცხოვრებნი, უმთავრესად დედა-კაცები დიდად სწუხდნენ უწყლობით. ისინი საყვედურს გამოსთქვამდნენ, რომ ჩვენ სოფელში სკოლასთან არის ამოჭრილი, შიგ წყალი სდგას და სარგებლობა კი არ შეგვიძლიაო.

წყალსადენის აგების ხელმძღვანელნი დაჰპირდნენ სოფლელებს წყლის მიწოდებას, იმედია შემოდგომის ამღვრეული წყლის სმა მაინც აღარ მოუხდებათ ნატახტარის მცხოვრებთ. წყალის მოწყობის დაჩქარება წყალსადენის მოსამსახურეთათვისაც არის საჭირო, რადგან ისინი ცოლ-შვილით აქ სცხოვრობენ.

ლ. ცაგარელი.

—:—

წერილებიდან

ს. სირიაჩქონი (სენაკის მაზრა). ჩვენს სოფელში 178 კომლი გლეხობა სცხოვრობს, რომელთაც არა აქვთ კოოპერატივი. ამიტომ ისინი იძულებულია ზემო-ჭალადიდის კოოპერატივში იარონ 4 კილომეტრის მანძილზე, რასაც ჩვენ სოფელთან ყოფს მდ. რიონი. სოფელში კოოპერატივისათვის გვაქვს შენობა, შეგროვილია 450 მანეთიც. ამიტომ საჭიროა დროზე გაგვიხსნან კოოპერატივი.

ახ. მ—ზია.

წითელი ხევის თემი (ქუთ. მაზ). ჩვენს თემში დიდი აღმშენებლობა სწარმოებს. გაჰყავთ სატელეფონო ხაზი, ს. რონში აიგო ოთხწლედის შენობა, გაჰყავთ გზები, შეკეთდა ალმასკომის და სამკითხველოს შენობები. გადაწყვეტილია შვიდწლედის და საექიმო პუნქტის შენობების შეკეთება. გლეხობა მადლიერია თემ-ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ც. მიქაბერიძის საქმიანობით.

იალბუზი.

მუშათა ცხოვრება

გავაუმჯობესოთ რაციონალიზატორული მუშაობა

წარმოების რაციონალიზაცია და შრომის პირობების გაუმჯობესება დიდათ არის დამოკიდებული როგორც ადგილობრივ საწარმოო თათბირების სწორ და მიზანშეწონილ მუშაობაზე, ისე თვით მუშათა ფართო მასის აქტიურ მონაწილეობაზე რაციონალიზატორულ მუშაობაში.

თქმა არ უნდა, რომ ამ მხრივ ჩვენ საკმაოდ დიდი მიღწევები გვაქვს, ვერ ნახავთ ვერც ერთ თავისუფალ ორგანიზაციას წარმოებაში, რომელშიც მხურვალე მონაწილეობას არ ღებულობდენ მუშები. ეს ითქმის განსაკუთრებით ისეთ ორგანიზაციაზე, როგორიც არის საწარმოო თათბირი, მაგრამ თქმა იმისა, რომ მუშაობა რაციონალიზაციის დარგში სავსებით დამაკმაყოფილებელია, ეს არ იქნება მართალი. რაციონალიზაციის დარგში ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი გვაქვს, რომელიც ხელს უშლის წარმოების აყვავება-გამაგრებას.

დღემდე რაციონალიზატორულ მუშაობას აწარმოებდენ რაციონალიზაციის ბიუროები, რომლებიც მუშაობასაც მრავალ მიღწევებთან ერთად ნაკლიც ჰქონდა. მთავარი ნაკლი რაციონალიზაციის ბიუროებისა ის იყო, რომ უკანასკნელებს მუშათა ფართო მასასთან სუსტი კავშირი ჰქონდათ. მართალია ბიუროები, საწარმოო თათბირებთან ერთად აწარმოებდნენ მუშაობას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მუშები. რაცბიუროები ხშირად ისეთ ღონისძიებებს ატარებდნენ ცხოვრებაში, რომლებიც გაუმჯობესების მაგიერ აფერხებდნენ წარმოებას. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირი იყო ლითონტრესტში, თამბაქოს ქარხნებში და სხვა.

ამ ნაკლის სავსებით გამოსწორება და რაციონალიზატორულ მუშაობის გაუმჯობესება დამოკიდებულია სპეციალურ ორგანოების შექმნაზე წარმოებებში რაციონალიზატორულ მუშაობის საწარმოებლად. ამის შესახებ უკვე არსებობს სათანადო ცირკულიარი. საჭიროა ამ ცირკულიარის ცხოვრებაში გატარება და საკავშირო კომპარტიის ცეკას პლენუმის გადაწყვეტილების დაუმახინჯებლივ შესრულება რაციონალიზაციის დარგში.

როგორი უნდა იყოს ამ ორგანოების მუშაობა? მთავარი ამოცანა რაციონალიზაციის ორგანოებისა, ეს არის მუშაობის გეგმის შედგენა. ამ გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს რაციონალიზაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხები, როგორიც არის საწარმოო თათბირების მუშაობის გაუმჯობესება, ახალ გამოგონებათა დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, ნაწარმოების თვითღირებულების დაწევა, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება და სხვა.

გარდა ამისა ამ ორგანიზაციებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ რაციონალიზაციის დარგში მომუშავე მუშაკებს წარმოებებში და აწარმოონ აღრიცხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებების განხორციელებისა და მათ შედეგებისა. აღნიშნულ ორგანოებში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშათა ფართო მასებმა. მხოლოდ ასეთი საშუალებებით შევიძლებთ დავაყენოთ სათანადო სიმაღლეზე რაციონალიზატორული მუშაობა.

საწ. კომისიის წევრი.

მეტი ყურადღება ლითონტრესტს

ლითონის წარმოებას თვალსაჩინო ადგილი უკავია ჩვენს მრეწველობაში, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შედარებით წინანდელთან, დღეს ამ დარგში საკმაო ბევრი დაკვეთებია ლითონტრესტის მდგომარეობის გაუმჯობესებას საშველი მაინც არ დაადგა. მთავარი ნაკლი ლითონტრესტის საქმიანობაში ის არის, რომ ტრესტი ვერ აკმაყოფილებს დამკვეთელთა მოთხოვნილებას.

წარმოების რაციონალიზაციის მიზნით ლითონტრესტის გამგეობამ მოახდინა თბილისში არსებულ მეღითონეთა ქარხნების: 26 კომუნარების, სერგო ორჯონიკიძის სახელობის, „მ. ჩტა-სტროის“, კალინინის სახელობის მექანიკურ ქარხნის და სპილენძის სატკეც ქარხნების გაერთიანება. ამის შემდეგ თითქოს უნდა გაუმჯობესებულიყო მდგომარეობა, მაგრამ ეს არ მოხდა. ტრესტის მდგომარეობა ძველებრ დარჩა.

ტრესტი საბრუნავი თანხის უქონლობის გამო ვერ იღებს შეკვეთებს, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სახელმწიფო დაწესებულებები უფრო კერძო წარმოებას აძლევენ საქმეს, ვიდრე ტრესტს.

ზაჰესის მეტი წილი საქმე ერთ-ერთ ძველ ქარხნის მეპატრონე კარლინსკიმ დაამზადა. ამავე დროს, ლითონის ქარხნებში სამუშაოს უქონლობის გამო მუშები ცდებიან და ხელფასს კი ღებულობენ.

უკანასკნელად ტრესტის გამგეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ კონცენტრაციაქმნილი ქარხნები კვლავ უნდა გაცალკევდეს და წარმოება ძველებურად დაანაწილოს. ჩვენის აზრით ასეთი ნაბიჯი არ იქნება რაციონალური. ეს საქმეს უფრო შეაფერხებს და შეიძლება ტრესტიც დაღუპვის კარამდე მიიყვანოს. წარმოების გაუმჯობესებისათვის საჭიროა არა წარმოების დაქუცმაცება, არამედ მისი რაციონალიზაცია და საწარმოო საშუალებების გამოძებნა. ტრესტის გამგეობამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. აღსანიშნავია კიდევ ის გარემოება, რომ ჩვენი ქარხნები ამზადებენ საგოლებს, რომლებიც რამდენიმე ათასობით აწყვია საწყობებში. ამავე დროს კი ხარკოვის ქარხნის წარმომადგენლები აუარებელ საგოლებს ასაღებენ თბილისში.

რაც შეეხება მუშებს, უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან; ჯამაგირების დარიგებას ხშირად აგვიანებენ.

საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექცია ჩაერიოს ამ საქმეში და გამოიკვლიოს ლითონტრესტის მუშაობის საქმიანობა.

მუშა შ. სიმონიშვილი.

—:—

გამოარკვიეთ ეს საქმე

რკინის გზის მესამე სახანძრო უბნის ინსტრუქტორად ითვლება ვინმე პ. ეროშენკო. კაცი მეტად მოქნილი და გაიძვერა. თავისი გაიძვერობით ის დიდ ზარალს აყენებს რკინის გზის სალაროს.

მიმდინარე წლის პირველ აპრილს, რკინის გზის ხანძართა რაზმის შენობა დაანგრიეს და რაზმი, მეხანძრეებით და ხელსაწყო იარაღებით მოათავსეს ვაგონებში. რაზმის გვერდზე ვაგონებში სცხოვრობდა მოქ. ეროშენკო თავისი ცოლით,—როგორც ეს მიღებულია რკ. გზაზე,—მაგრამ თურმე ნუ იტყვით იგი ვერ დატია ერთ ვაგონში და მოითხოვა კიდევ ერთი ვაგონი, იმ საბუთით, რომ ვითომ გზის უფროსის მიერ მიცემული ვაგონები არ იყო საკმაო სახანძრო რაზმისათვის. გზათა უფროსმა დააკმაყოფილა ეროშენკოს მოთხოვნილება და რაზმს კიდევ ერთი ვაგონი მისცა. ეროშენკომ კი ეს ვაგონი მიუმატა თავისს ორ ვაგონს და მოეწყო შიგ ფართოდ. ამავე დროს ხანძართა რაზმი, კანცელარიით და ხელსაწყო იარაღით მოათავსა ორ ვაგონში. ეს გარემოება რასაკვირველია ხელს უშლიდა რაზმის ნორმალურ მუშაობას.

17 ივნისს მეხანძრეებისათვის ააგეს ახალი შენობა, სადაც გადასახლდა რაზმი. ორი ვაგონი დაცლილი იქნა, მაგრამ ისინი ეროშენკომ მაინც ვერ გაანთავისუფლა. მან ორივე ვაგონი დაიკავა, რაც დიდ ზარალს აყენებს რკინის გზას. ამ საქმეში სახანძრო დარგის უფროსის კელჩევსკისაც მიუძღვის ბრალი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს იცის დაწინაურებულმა მუშამ, ამხ. კესხიოვმაც, მაგრამ უკანასკნელი ხმასაც არ იღებს.

საჭიროა სათანადო ორგანოებმა გამოარკვიონ ეს საქმე.

№ 1928.

—:—

დაიცავით პურის საცხობებში მომუშავეთა შრომის პირობები

თბილისის მუშკოოპის პურის განყოფილებას თბილისში აქვს 220 ქართული პურის საცხობი თონე. ეს თონეები მუშკოოპის მიერ გაცემულია პროცენტებში. თონეში მუშაობს სამი კაცი. ერთი მათგანი ითვლება როგორც მოიჯარადრე. დანარჩენი ორი კაცი კი მოიჯარადრის მიერ დაქირავებულია. სწორედ აქედან იწყება მათი აუტანელი შრომა. მათთვის არ არსებობს რვა საათის სამუშაო დღე, ისინი მუშაობენ დღეში არა ნაკლებ 10—11 საათისა. თვიური ხელფასი კი არ აღემატება 10 მან. 35 მანეთს.

თონეებში უმეტესად მუშაობენ მცირე წლოვანი ახალგაზრდები. მათი დამქირავებლები, რომლებიც თვეში ღებულობენ არა ნაკლებ 300 მანეთისა, ადვილად ატყვილებენ ახალგაზრდა მცირეწლოვანთ და უმოწყალოდ ყვლეფენ. ისინი ზელავენ ნორმით დაწესებულზე უფრო ზედმეტ ფქვილს და თავდაყირა იკიდებიან გახურებულ თონეში.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს როგორც კავშირმა, ისე შრომის დაცვის კომისიამ და დაიცვას მცირე წლოვანთა შრომის პირობები.

ლენინის ქუჩაზე არსებულ თონეს № 146 მოიჯარადრედ ითვლება ვინმე ქვათაძე, მასთან მუშაობს მცირე წლოვანი ქველიძე, რომლისთვის ქვათაძეს ერთი წლის განმავლობაში ხელფასი არ მიუცია.

მუშკოოპი თონეების მოიჯარადრეებს ერთ ფუთ ფქვილზე აძლევს გამოსაცხობად 60 კაპ. მუშისთვის ფუთზე 14 კაპ. მოიჯარადრემ მუშკოოპს უნდა ჩააბაროს ერთი ფუთ ფქვილზე 11 ნახევარი გირვანქა ზედნაცხობი. გამოანგარიშებით კი ფუთი იძლევა ზედნაცხობს არა ნაკლებ 13 გირვანქისა. ყველაფერი ეს იმის დამადასტურებელია, რომ შეძლებულია, როგორც დაქირავებულთა შრომის პირობების დაცვა, ისე მოიჯარადრის საკმაო ხელფასით უზრუნველყოფა.

პროფკავშირი მიიღოს ამ საკითხის გამო სათანადო ზომები.

ხ. ნახომარისპირელი.

სახლების ყოფილ მეპატრონეთა ოინები

თბილისის საბჭოს მიერ მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული არსებული ბინის კრიზისის შესამსუბუქებლად.

მოუვლელ სახლების მუნიციპალიზაცია და არა მშრომელ ელემენტების შემჭიდროვება მიზნად ისახავს გააუმჯობესოს მუშა-მოსამსახურეების საბინაო პირობები.

მდგმურები და სახლის მეპატრონენი, ყოველ ზომას ხმარობენ თავიდან აიშორონ მოსალოდნელი შევიწროება და სხვადასხვა ხერხსა და საშუალებას მიმართავენ.

ამ უკანასკნელ დროს მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში მეტად გახშირდა სხვადასხვა საექვო წარწერები: ექიმი, კბილის ექიმი., ბებია ქალის კაბინეტი და სხვ. ასეთები. მანიკიურის კაბინეტი და სხ. ასეთები

ამგვარი წარწერები, უმთავრესად ამ ბოლო დროს შემოღებული, ემსახურება განსაკუთრებულ მიზანსა და დანიშნულებას.

ჩვენ რასაკვირველია, არაფერი გვაქვს ამ ექიმების, ვექილების და სხვა პროფესიის მქონე მოქალაქეთა საწინააღმდეგო, რომლებიც ემსახურებიან დღევანდელ საზოგადოებრიობას და მათთვის დებულებით კუთვნილ საცხოვრებელი ფართობის შეზღუდვას არც მოვითხოვთ, მაგრამ ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი „ექიმები“, რომლის კაბინეტში არასოდეს ავათმყოფი არ ყოფილა თვით „ექიმის“ გარდა, ისეთი ვექილი, რომლის კაბინეტში არავის შეუხედია თავისი ბედის მომჩივანი „ვექილის“ გარდა. ბებია-ქალების, მანიკიურის და მასაჟის კაბინეტებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საჭიროა ყოველივე ამას ფხიზელი ანგარიში გაეწიოს ბინების შემჭიდროვებაზე მომუშავე კომისიის მიერ.

არის ასეთი შემთხვევებიც; რომელიმე პროფესიის მქონე პიროვნებას აქვს საკუთარი სახლი. შეუძლია იქვე ჩაესახლოს. სცხოვრობს კი ნაქირავებ სახლებში. რატომ? თავისი სახლები გაქირავებული აქვს კარგ ქირებში, თვით კი ურჩევნია სხვა სახლში იდგეს და შეღავათიან პირობებით მინიჭებულ ქირას იხდიდეს.

ასეთები უნდა გადაბინავდნენ თავიანთ სახლებში.

უქმსა და ალმასკომთან არსებულმა იურიდიულმა ნაწილმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას.

ჯაფარ-ფაშა.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

უწყლობამ შეგვაწუხა. ზემო ვაკეს მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო. მართალია აქ სულ 15 მოსახლეა, მაგრამ ყველა მათგანი იმდენად ღარიბებია, რომ არა აქვთ საშუალება საკუთარი საშუალებებით მოიტანონ წყალი შორი მანძილიდან. ჯერ კიდევ ორი წლის წინად მცხოვრებლებმა განცხადება შეიტანეს ალმასკომში ამის შესახებ, მაგრამ დღემდე არაფერი შედეგი არა სჩანს.

ს. დონაძე.

საკანდიტროა თუ სალორე? ლენინის უბანში, ლოტკინის ქუჩაზე არსებობს მოქ. ა. დალაქიანის საკანდიტრო, რომელიც პირდაპირ სალორეს წარმოადგენს; რძის და მაწვნის ქურჭელი ისეთი ჭუჭყიანია, რომ გული აერევა კაცს.

ნაძალადეველი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

მერვე დღე

გუშინ დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. აკიმოვის მოხსენების გამო საგზაო-სატრანსპორტო კოოპერაციის მუშაობის შესახებ. კამათის დამთავრების შემდეგ მომხსენებელმა პასუხი გასცა შეკითხვებზე და წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა.

ამხ. აკიმოვის საბოლოო სიტყვა

ბევრი საყვედურები მოვისმინეთ იმის შესახებ, რომ ყურადღება არ ექცევა წევრთა მიერ შემოტანილ საჩივრებს, თუ ეს ხდება, ამის შესახებ საკითხი უნდა დაისვას სათანადო ორგანოში. შეიძლება კოოპერაციის ზოგიერთი მუშაკი მართლა არ ვარგა, არ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას, ასეთებს წინააღმდეგ უნდა მივიღოთ ზომები. ეს შესაძლებელია მხოლოდ წევრთა აქტივობის გაძლიერებით, მეტი თვითმოქმედებით. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციაში გვყავდეს ყველა კეთილსინდისიერი თანამშრომლები. თუ ადგილობრივ ჩვენს განყოფილებებში მომუშავენი და სადუქნო კომისიები არ ამოქმედნენ, უამისოდ ბოროტმოქმედებას აღმოფხვრა შეუძლებელია.

აქ ერთი ამხანაგი შეეხო პაის საკითხს და გაილაშქრა პაის გადიდების წინააღმდეგ. ასეთი მსჯელობა არაა სწორი. პაის გადიდების გარეშე ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ ნასესხი თანხებით ვაჭრობას, რაც ადიდებს საქონლის თვითღირებულებას.

ერთი მტკივნეული ნაკლი არის წევრთათვის ნისიათ საქონლის მიწოდება. ჩვენ არ შეგვიძლია თანხების სიმცირის გამო ეს საქმე ერთბაშათ განვახორციელოთ. საქონლის ნისიათ დარიგებისათვის სახელმწიფო ორგანოები კრედიტებს არ გვაძლევენ. საქონლის ნაწილობრივ ნისიად გაცემას ვაწარმოებთ საკუთარი თანხებით.

საქონლის და სურსათ-სანოვაგის დამზადების საქმეში დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს როგორც გზების გამგეობამ, ისე საგზაო კომიტეტმაც.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ნაკლის აღმოფხვრა, კოოპერაციის საქმიანობის გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ კოოპერაციის წევრთა აქტივობით და გამგეობის ნაყოფიერი მუშაობით. აქეთკენ უნდა იქნეს მიპყრობილი თვითეული ჩვენგანის ყურადღება.

—:—

ყრილობამ სატრანსპორტო კოოპერაციის გამგეობის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პრაქტიკული წინადადების გამომუშავება მიანდო ეკონომიურ სექციას.

ამავე სხდომაზე ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შავერდოვმა.

ა.-კ. რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობა

(ამხ. შავერდოვის მოხსენება)

ამიერ-კავკ. რკ. გზების 2.000 კილომეტრის მანძილზე დაზღვეულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 49 ათას კაცს, ხოლო ოჯახის წევრებთან ერთად 179 ათასს. ამიერ-კავკ. რკინის გზები ითვლება დამაკავშირებელ პუნქტად მთელ რიგ აღმოსავლეთ ქვეყნებთან, რომელთა კულტურული დონე ამიერ-კავკასიასთან შედარებით გაცილებით დაბალია. ამიტომ ჩვენ დიდი ყურადღება გვესაჭიროება, რომ გადამდები სენი არ შემოვიდეს ჩვენში ჩამორჩენილ ქვეყნებიდან. თვით ამიერ-კავკ. კლიმატიური პირობებიც სხვადასხვაგვარია, რაც კიდევ უფრო ართულებს ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. 2 ათასი კილომეტრის მანძილზე 733 კილომეტრი ძალზე მალარიანი ადგილია, 772 კილომეტრი-საშუალო, ხოლო 218 კილომეტრი კი ნაწილობრივ.

სპეციალური კომისიის საშუალებით ჩვენ მოვახდინეთ აბაშის რაიონის მალარიანი ადგილების გამოკვლევა. ეს რაიონი ძალზე ცუდ გავლენას ახდენს რკინისგზელების ჯანმრთელობაზე გარდა ამისა მალარიის მთავარ ბუდეთ ითვლება ევლახის რაიონი 70 კილომეტრის სიგრძესა და 40 კილომეტრის სიგანეზე. ჩვენ ვაწარმოებთ ჭაობიან რაიონების გაჯანსაღებას, კერძოთ ევლახის რაიონისათვის ამ მიზნით გადადებულია 165.000 მ. პირველად გადაწყვეტილი იყო მხოლოდ რკინის გზის ხაზის რაიონის გაჯანსაღება, მაგრამ ეს არაა მიზანშეწონილი. გაჯანსაღება უნდა მოხდეს მთელი რაიონის მასშტაბით, ამ მიზნით ჩვენ აღვძარით შუამდგომლობა ამიერ-კავკ. მთავრობის წინაშე, რომელმაც მოიწონა ეს ღონისძიება. ამჟამად ამ საქმის მოგვარებაში მონაწილეობას იღებს აზერბეიჯანის მთავრობა, მიწადმოქმედების კომისარიატის და ამიერ-კავკ. წყალთა მეურნეობის სამმართველო.

უნდა გაჯანსაღდეს აგრეთვე გორის, კარაკლისის და ხაჩმასის რაიონები, მაგრამ ეს არ მოითხოვს მაინცა და მაინც დიდ თანხებს.

ექიმობის საქმეს ართულებს აგრეთვე ენის საკითხი. ჩვენ რაიონებს უნდა მივაწოდოთ ისეთი ექიმები, რომლებსაც ესმით მოსახლეობის ენა. ხშირად კი ახლად კურსდამთავრებული ექიმებს ძალიან ეზარებათ ხაზზე მუშაობა და არჩევენ დიდ ქალაქებში დარჩენას. ეს შეეხება განსაკუთრებით აღმოსავლეთ უბანს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი. ჩვენ ამ მხრივაც ვიღებთ ზომებს. მაგალითად ორი წლის განმავლობაში რკინის გზის ხაზზე მომუშავე 250 ექიმიდან მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვ დიდ ქალაქებში გაიგზავნა ცოდნის შესაძენად 52 ექიმი. ეს მუშაობა მომავალ წელშიაც უნდა განვაგრძოთ.

რკინის გზაზე მომუშავე ექიმების როლი დიდად განსხვავდება სხვა დარგში მომუშავე ექიმისაგან. რკინის გზელები მუშაობენ მთელი დღეღამის განმავლობაში, მაშასადამე საექიმო დახმარებაც ყოველთვის აუცილებელია. რკ. გზელი ექიმები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ამასთან ერთად ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მუშაობაშიაც.

უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა ხშირად ექიმებს იწვევენ სახლებში ისეთი ავადმყოფისათვის, რომელთაც თავისუფლად შეუძლიათ ამბულატორიაში მისვლა და საექიმო დახმარების მიღება. ამით ზედმეტად იტვირთებიან ექიმები, რაც დაუშვებელია.

1925—26 წელში თითო დაზღვეულზე იხარჯებოდა 50 მანეთი, 26—27 წელში 49 მან., ხოლო 27—28 წელში კი—41 მანეთი. სულ ავადმყოფებზე ყოველწლიურად ვხარჯავთ 25—30 ათას მანეთამდე.

ნაწილობრივ მომჭირნეობის რეჟიმიც გავატარეთ და შევამცირეთ აპარატის შენახვის ხარჯები, რაციონალიზაციის გასატარებლადაც სწარმოებს სათანადო მუშაობა. ხარჯთაღრიცხვების შედგენაში ამჟამად მონაწილეობას იღებენ პროფორგანიზაციები, რაც უსათუოდ დადებით ნაყოფს გამოიღებს.

მიუხედავათ ჩვენი მცირე ბიუჯეტისა, აღმშენებლობის დარგში მაინც დიდი მიღწევები გვაქვს. თბილისსა და ბაქოში გავხსენით პედოლოგიური ინსტიტუტი, თბილისში ავაგეთ აფთიაქის შენობა და ღამის სანატორიუმი, ლენინაკანში მალე დამთავრდება საავადმყოფოს შენობა, ბაქოს საავადმყოფოსთან ავაგეთ პროზექტურისა და სამრეცხაოს შენობები და აგრეთვე ამბულატორიის შენობა, რომელიც 40 ათასი მანეთი დაჯდა. გამოთხოვილია განჯასა და ხაშურში საავადმყოფოს ასაგებათ 600 ათასი მანეთი მომავალი წლისათვის, ხოლო ამბულატორიის ასაგებად განჯაში 150 ათასი მანეთი. საერთოდ აღმშენებლობაზე დღემდის გაწეული ხარჯები უდრის ერთ მილიონ მანეთზე მეტს. დაწყებული შენობების დასამთავრებლად კიდევ საჭიროა 400 ათას მანეთამდე.

თუ როგორია საექიმო დახმარების საქმე ამას ნათელყოფენ შემდეგი ციფრები: 1926 წელში საავადმყოფოებში მწოლიარეთა რიცხვი უდრის 15 ათას კაცს, 1927 წელში — 17 ათასს. საშუალოდ 201 დაზღვეულზე მოდის თითო საწოლი, ხოლო ნორმალურათ კი უნდა მოდიოდეს 150 კაცზე. ამ ნორმის განსახორციელებლად საჭიროა კიდევ 450 საწოლის მომატება, რისთვისაც ვიღებთ ზომებს.

სიკვდილიანობა საავადმყოფოებში მწოლიარეთა შორის 1926 წელში უდრიდა 1,9 პროცენტს, ხოლო 27 წელში—2,1 პროცენტს, რაც დიდათ არ უნდა ჩაითვალოს.

ამბულატორიული დახმარება 1922 წელში მიიღო 416 ათას დაზღვეულმა, ხოლო 1927 წელში—1613 ათასმა დაზღვეულმა. ბინაზე საექიმო დახმარება გაეწია—26 წ. 65 ათ. დაზღვეულს, 27 წ—81 ათასს.

ვერ არის შესაფერისად მოწესრიგებული გადასაზიდი საშუალების საკითხი. უბნებში ექიმებს თავის დროზე არ აწვდიან დრეზინებს, რაც აბრკოლებს [illegible] საექიმო დახმარებას.

ექიმთა რიცხვი რკინის გზებზე 1913 წელში უდრიდა 36-ს, 1927 წელში—207. თვითმპყრობელობის დროს რკ. გზებზე არც ერთი კბილის ექიმი არ იყო, ამჟამად არის—88. 1927 წელში კბილის ექიმებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 141 ათას დაზღვეულს.

მალარიის წინააღმდეგ საბრძოლველად 1921 წ. დავხარჯეთ 92 კილოგრამი ხინა, 22 წ. - 262 კილოგრამი, 23 წ. 288. 1921 წელში მალარიით დაავადებულთა რიცხვი უდრიდა 61 პროცენტს, 27 წელში ეს რიცხვი 16 პროცენტამდე შემცირდა, მაგრამ მალარიის სავსებით აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ჰიდროტექნიკური მუშაობის გაფართოებით.

ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ გვაქვს საუცხოვო სანატორიუმი ლიბანში, მაგრამ ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლა მომავალში უნდა იწარმოოს ადგილობრივ დისპანსერების და ღამისა და დღის სანატორიუმების გახსნით. ამ მიზნით ჩვენ ბაქოს და თბილისში საუცხოვოდ მოწყობილი დისპანსერები გვაქვს. სწარმოებს სათანადო მუშაობა ვენერიულ სნეულებათა წინააღმდეგაც.

ბავშთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად ჩვენი ბიუჯეტიდან იხარჯება საგრძნობი თანხა. გავხსენით ბავშთა საკონსულტაციო პუნქტები თბილისში, ბაქოში, განჯაში, და ლენინაკანში, ბავშთა ბაგები—თბილისსა და ბაქოში. ამასთან ერთად 1300 ბავშვი მიმდინარე წელში გავგზავნეთ კურორტებზე. მომავლისათვის ბავშთა ჯანმრთელობის დასაცავად უფრო მეტი გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული.

—:—

ამხ. შავერდოვის მოხსენებით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. დიკის მოხსენება ამიერ-კავკ. რკინის-გზელთა დამზღვევი სალაროს საქმიანობაზე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა ამხ. მამედოვის მოხსენება დამზღვევი სალაროს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიხსნა კამათი ამხ. შავერდოვის და დიკის მოხსენებათა გარშემო.

ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგაცია თბილისში

გუშინ ახალგაზრდათა კომინტერნის დელეგატებმა დაათვალიერეს თბილისის წარმოებები და სხვადასხვა საალმშენებლო სამუშაოები.

დილას დელეგაცია ესტუმრა რკ. გზის მთავარ სახელოსნოებს, სადაც დელეგატები გაეცნენ მოზარდთა მუშაობის პირობებს და მათ ყოფა-ცხოვრებას. მთავარ სახელოსნოებში სტუმრებმა დაყვეს 2 საათზე მეტს. შემდეგ დელეგაცია ესტუმრა თბილისის ტრამვაის სამმართველოს, სადაც დაათვალიერეს ტრამვაის პარკი და სახელოსნოები.

დელეგაციამ დაათვალიერა თბილისის მაუდის ფაბრიკის საალმშენებლო სამუშაოები. ფაბრიკის აგებისა და ქსოვილთა წარმოების პერსპექტივებზე სტუმრებს განმარტებები მისცეს ადგილობრივმა სპეციალისტებმა.

დღეს დელეგაცია დაათვალიერებს ზაჰესს და ქალაქის ზოგიერთ კულტურულ დაწესებულებებს. საღამოს დელეგაციის წევრები დაესწრებიან კომკავშირის აქტივის საქალაქო კრებას.

საშემოდგომო თესვა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულებს

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის და საკონტროლო კომისიის კოლეგიამ დაავალა თავის რწმუნებულებს ადგილებზე, რათა მათ მიიღონ გადამჭრელი ზომები თესვის კამპანიაში შემჩნეულ დეფექტების გამოსაშკარავებლად და აღმოსაფხვრელად, როგორიცაა, მაგალითად: ადგილებზე თესლისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების თავის დროზე მიუწოდებლობა, ცუდი ღირსების თესლის მიწოდება, გამოუსადეგარ იარაღ მანქანების გადაგზავნა, კლასიური ხაზის დამახინჯება თესლის, იარაღ-მანქანების და სესხის განაწილების საქმეში და სხვა.

საკონტროლო კომისიის რწმუნებულებმა ადგილობრივ დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ მიმდინარეობს თესვის კამპანია, რაგვარი მოთხოვნილებაა თემებიდან სათესლე მარცვალზე, იარაღ-მანქანებზე, ტრაქტორებზე და რამდენად აკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას, როგორ მიმდინარეობს კონტრაქტაციის მიზნით წარმოებული მოსამზადებელი მუშაობა, როგორიაა დაყენებული კოლექტ. მეურნეობებისა და სამანქანო ამხანაგობებისადმი დახმარების გაწევის საქმე, როგორ ტარდება პარტიის და ხელისუფლების ხაზი სესხის განაწილებისა და გლეხობისადმი დახმარების გაწევის საქმეში: კოლექტიურ მეურნეობათა და სამანქანო ამხანაგობებს მოთხოვნილებათა პირველ რიგში დაკმაყოფილება, სესხის მიწოდება უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობებისადმი და აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთათვის. სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამქირავებელი პუნქტების მუშაობა და სხვა.

ამ მიზნით რწმუნებულებმა თავიანთი მუშაობა უნდა შეუთანხმონ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს და 9 ოქტომბრამდე საკონტროლო კომისიას მიაწოდონ ინფორმაცია მაზრაში საშემოდგომო თესვის კამპანიის მსვლელობაზე, დეფექტების აღნიშვნით და რწმუნებულთა მიერ მიღებულ ღონისძიებებით.

ცალკე ღირსშესანიშნავ დეფექტებზე და შეცდომებზე, რის გამოსწორებისათვის საჭირო იქნება ც. საკ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ჩარევა, რწმუნებულებმა ამის შესახებ უნდა აცნობონ ტელეგრაფით. შემდეგში კი ყოველ კვირაში ერთხელ მიაწოდონ ინფორმაცია საშემოდგომო თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ

აფხაზეთში

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად რესპუბლიკანურმა კომისიამ აფხაზეთს გადაუგზავნა 60.000 მანეთი, აქედან 10.000 მანეთი მუშა-საქონლის შესაძენად, 45.800 მანეთი სათესლე მასალისათვის და 4.200 მანეთი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაძენად.

აფხაზეთის სახკომსაბჭოს დადგენილებით ამ დღეებში აფხაზეთში მოეწყო საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩამტარებელი კომისია. კომისიამ გამოარკვია, თუ როგორია მოთხოვნილება სათესლე მასალაზე, მანქანებზე და მუშა საქონელზე. საჭიროა 245 ტონა საშემოდგომო პურეულის თესლი, 30 ტონა საკვები ბალახის თესლი და 500 კილო ფესვნაყოფიანი მცენარეების თესლი, რისთვისაც საჭიროა 129.000 მანეთის კრედიტი. თესლის გასაწმენდი მანქანების შესაძენად და 100 უღელი ხარის საყიდლად საჭიროა დაახლოებით 45.000 მანეთი.

ყოველივე ამის შექმნა დაევალა აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო კავშირს, რომელმაც უკვე [illegible] ჩრდილოეთ კავკასიაში ბოსტნეულის და პურეულის თესლი.

გლეხების მიერ საშემოდგომო პურეულის სათესლე მასალის მოთხოვნა ამტკიცებს, რომ აფხაზეთში იწყებენ საშემოდგომო პურეულის თესვას, რასაც დღემდე ამ მხარეში ადგილი არ ჰქონია.

ჭვავისა და ხორბლის კულტურის შემოღება აფხაზეთის მეურნეობაში სცვლის მისი სოფლის მეურნეობის მთელ სტრუქტურას.

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმის გაფართოვებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

ალმასკომის წარმოება - დაწესებულებებში ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ჩატარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დოლიძემ, მოხსენების შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა ალმასკომის წარმოება-დაწესებულებებში ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ჩატარებული იქნეს ახალ საბიუჯეტო წლიდან. ჩამორჩენილ ჯგუფების დაწინაურება მოხდეს ადმინისტრატიულ - საორგანიზაციო ხარჯების შემცირების საშუალებით.

დამატებითი შეღავათები

ჯანმრთელობის განყოფილების სამკურნალო დაწესებულებებში დამატებითი შეღავათები შემოღებული იქნეს მომავალი წლის 1-ლ იანვრიდან.

ლუდის ახალი ქარხანა

თბილისის ლუდის ახალი ქარხნის აგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ფარნიევმა. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ლუდის ქარხანა ააგოს ახალი პროექტით. ძველი პროექტით ქარხნის აგება ჯდებოდა 461.000 მანეთი და ქარხნისათვის საჭირო მოწყობილობანი შეძენილი უნდა ყოფილიყო უცხოეთში. ახალი პროექტით ქარხნის აგება დაჯდება 383.000 მანეთი და მისი მოწყობილობა დამზადებული იქნება საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებში, მოწყობილობის უდიდესი ნაწილი კი ადგილობრივ—თბილისში. საზღვარგარეთ შეძენილი იქნება მხოლოდ 38.775 მანეთის აპარატები. ვედრო ლუდი აქციზით (ბოთლებში) ეღირება 2 მ. 98 კ, უბოთლოთ 2 მ. 57 კაპ. ვედრო. ქარხანა ამუშავებული იქნება 1930 წლის იანვარში. პრეზიდიუმმა ნება დართო ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას პროექტის დამტკიცებამდე შეუდგეს წინასწარ სამუშაოს ქარხნის ასაგებ ადგილზე. საფინანსო წინადადება მიეცა განყოფილებას მისცეს საჭირო კრედიტები მუშაობის დასაწყებათ.

ახალი წყალსადენი

ახალი წყალსადენის გამოსაყვანად წინასწარ მუშაობაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად პრეზიდიუმმა დაადგინა კომუნალურ განყოფილებას დამატებით მიეცეს 20.000 მანეთი.

მედსანშრომის მუშაკთა მეშვიდე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

30 სექტემბერს დილის სხდომაზე ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა შრომის სახ. კომისარი ამხ. ს. თოდრია. ამხ. თოდრიამ თავის მოხსენებაში დაახასიათა შრომის ორგანოების დამოკიდებულება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და მოიყვანა ცნობები, თუ რა საქმიანობა იწარმოა შრომის კომისარიატმა მედიკო-სანიტარულ დაწესებულებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ.

1-ლ ოქტომბერს გაიმართა ყრილობის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქნა რეზოლიუციები და პრაქტიკული წინადადებები ყველა მოსმენილ მოხსენებათა გარშემო. რეზოლიუციების მიღების შემდეგ არჩეულ იქნა კავშირის ახალი ცენტრალური გამგეობა 25 კაცის შემადგენლობით და სარევიზიო კომისია 5 კაცის შემადგენლობით.

დასასრულ ყრილობას სიტყვით მიმართა ამხ. ბაგრატ მაჩაიძემ და ალ. ჯიჯეიძემ. ორატორებმა აღნიშნეს ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა და უსურვეს ახალ ცენტრ. გამგეობას ენერგიული მუშაობა ყველა არსებული დეფექტების გამოსასწორებლათ.

სარეწაო კოოპერაციის ზრდა

საქართველოს ეკონომ-საბჭოსთან არსებულ საკოოპერაციო სამმართველოს კოლეგიამ ამ დღეებში განიხილა და დაამტკიცა შემდეგი ახალი სარეწაო კოოპერატივები.

თბილისის მაზრაში დამტკიცებულია 16 სარეწაო-კოოპერატიული ამხანაგობა: ოზურგეთის—3, ახალსენაკის—2. შორაპნის—2, კახეთის—1, ახალციხის—1, ზუგდიდის მაზრაში სოფ. ფახულანში ფეხსაცმ. მკერავი სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობა. გორის მაზრაში—2, ქუთაისის მაზრაში—ხარაზთა, ფეხსაცმელების მკერავების ავეჯის დამამზადებელთა ექვსი სარეწაო კოოპერატიული ამხანაგობა, აჭარისტანში—ხეზე მომუშავეთა სარეწაო კოოპერატიული ნადი.

ამას გარდა კოლეგიამ განიხილა და დაამტკიცა ახალ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების წესდებები.

„მოჯამაგირის ხმა“

ერთი წელიწადია, რაც გამოდის სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშათა კავშირის ყოველკვირეული ორგანო, გაზეთი „მოჯამაგირის ხმა“. „მოჯამაგირის ხმა“-ს ტირაჟი პირველ ხანებში იყო სამი ათასი, მაგრამ დღეს მისი ტირაჟი გაიზარდა 10.000-მდე. ეს იმას ნიშნავს, რომ გაზეთი საკმაოდ შეიჭრა საკავშირო მასაში — სასოფლო-სამეურნეო მუშებში და მოჯამაგირეების ფართო ფენებში.

გაზეთმა ერთი წლის განმავლობაში შესძლო 320-მდე მოჯამაგირე კორესპონდენტის გაერთიანება და მათი ჩაბმა გაზეთის მუშაობაში. „მოჯამაგირის ხმა“-მ ერთი წლის განმავლობაში თავის ფურცლებზე მოათავსა 1.100 კორესპონდენცია მოჯამაგირეთა და სასოფ. სამ. მუშების ყოფა-ცხოვრებიდან. ამ კორესპონდენციების მიხედვით პასუხისგებაში მისცეს 100 კაცი — მოჯამაგირეების ექსპლოატატორები.

„მოჯამაგირის ხმის“ ინიციატივით, იქ, სადაც უხდება მუშაობა მოჯამაგირეთა შედარებით დიდ რაოდენობას, დაარსებულ იქნა კედლის გაზეთები, ჩატარებულ იქნა მოჯამაგირე კორესპონდენტთა თათბირი. დაარსდა გაზეთის ხმა-მაღლა მკითხავი ჯგუფები და სხვა.

ერთი წლის განმავლობაში გაზეთ „მოჯამაგირის ხმა“-მ ბევრი რამ გააკეთა. მაგრამ გასაკეთებელი მას ჯერ კიდევ ბევრი აქვს, რომელსაც იჭვს გარეშეა, „მოჯამაგირის ხმა“-ს რედაქცია შესძლებს, რითაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს კავშირს შეასრულოს დასახული ამოცანები, პარტიისა და ხელისუფლების მიერ მიცემული დირექტივები.

მკითხველი

პროფკავშირების მონაწილეობა 5 წლიანი გეგმების შედგენაში

საკავშირო პროფსაბჭომ სპეციალურ წერილში წინადადება მისცა ადგილობრივ პროფესიონალურ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხუთწლიანი გეგმების დამუშავების ყველა სტადიებში და საქმეში ჩააბან მუშათა ფართე მასები.

ვინაიდან დრო ხუთწლიანი გეგმების დასამუშავებლად ძლიერ ცოტა დარჩა, საკავშირო პროფსაბჭო წინადადებას იძლევა, რომ პროფორგანიზაციების მუშაობა ამ მიმართულებით შეთანხმებული იქნეს საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ დაწესებულ ვადებთან. საკავშირო პროფსაბჭო აფრთხილებს თავის ორგანოებს, რომ დაგვიანება ხუთწლიანი გეგმების განხილვის საქმეში გამოიწვევს იმას, რომ ადგილებზე შეკრებილი მასალები გამოუყენებელი დარჩება. ხუთწლიანი გეგმების შედგენის პირველი სტადია სამეურნეო ორგანოებმა ჩაატარეს პროფორგანიზაციების უმნიშვნელო მონაწილეობით.

ამრიგად,—აღნიშნავს საკავშირო პროფსაბჭო თავის წერილში,—განსახილველად წარმოსადგენი ციფრებს წინასწარი ხასიათი აქვს და მნიშვნელოვან შესწორებებს საჭიროებენ. ცალკე წარმოებებისა და ტრესტების მიხედვით შეკრებილ მასალების ყურადღებით დამუშავება წარმოადგენს გეგმების დამუშავების მეორე სტადიის მიზანს.

კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს წინადადება მიეცა მისცენ ადგილებს გარკვეული დირექტივები გეგმების განხილვის წესისა და ვადების შესახებ. გეგმებში ადგილებზე მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული კონკრეტული მასალები იმ ღონისძიებების შესახებ მრეწველობის რეორგანიზაციისა და ტეხნიკური რეკონსტრუქციისათვის, რომელთა განხორციელება რეალურად შესაძლებელია. საკავშირო პროფსაბჭო კავშირების ყურადღებას მიაქცევს იმაზე, რომ აუცილებელია ხუთწლიანი გეგმების განხილვაში ჩაბმულ იქნენ ინჟინერ-ტეხნიკოსთა სექციები, საანგარიშო საქმის მუშაკთა გაერთიანებანი და სპეციალისტების მთელი მასა.

თავის წერილში საკავშირო პროფსაბჭო მიუთითებს ნაკლზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა წარსულში ხუთწლიანი გეგმების შედგენის დროს. სამეურნეო ორგანიზაციები ცდილობდნენ დაეფარათ თავიანთი წარმოებების სამეურნეო სიძლიერე, მალავდნენ მიღწევებს წარმოების ზრდაში და თვითღირებულების შემცირებაში. ასეთი მიდგომა ხუთწლიანი გეგმების შედგენისადმი,—აღნიშნავს საკავშირო პროფსაბჭო,—მავნებელია: ის ფარავს სახალხო მეურნეობის უფრო სწრაფი განვითარების ტემპის შესაძლებლობას. საჭიროა, რომ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა არ დაუშვან კაპიტალური ხარჯების გაზვიადება იმ მიზნით, რომ განვითარებულ იქნეს „თავის“ წარმოებათა მუშაობა სხვა ფაბრიკა-ქარხნების საზიანოდ.

პროფკავშირებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ გეგმების განხილვას უშუალოდ წარმოებებში. გეგმაში შეტანილი უნდა იქნეს საწარმოო თათბირების და ცალკე მუშების სასარგებლო წინადადებების მაქსიმალური რაოდენობა. სამეურნეო ორგანიზაციების პროექტებიც საწარმოო თათბირებზე უნდა იქნას განხილული.

მრეწველობის ხუთწლიანი განვითარების გეგმები საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმზე განხილული იქნება 25 ოქტომბერს. ამ დროისათვის პროფ. ორგანიზაციებმა უნდა წარადგინონ შესაფერი მასალები.

მესამე საკავშირო ავიო-ლატარია

საკავშირო ფინსახკომმა საბოლოოდ დაამტკიცა მესამე საკავშირო ავიო-ლატარიის მოგებათა შემუშავება.

სულ იქნება 16.000 მოგება, ღირებული 300.000 მანეთად. მთავარი მოგება — დედამიწის გარშემო მოგზაურობა 4 თვის განმავლობაში, მარშრუტით, რომელსაც მომგები აირჩევს, ეს მოგება ღირს 10.000 მანეთი. შემდეგ მიდის ერთი მოგზაურობა დედამიწის გარშემო (უფრო ხანმოკლე ვადით), ღირებული 5.000 მან. და ერთი მოგზაურობა ამერიკაში — 2.000 მანეთი; ერთი მოგზაურობა მარშრუტით—მოსკოვი — ტოკიო — მოსკოვი ღირებული 2.000 მანეთად. ორი მოგზაურობა მოსკოვი—პარიზი—მოსკოვი—1.350 მან. თითეული; ორი მოგზაურობა მოსკოვი—ვენა—მოსკოვი—1.200 მან. თითეული; ერთი მოგზაურობა ვოლგაზე (200 მან. თითეული) —1.200 მან.; ორი მოგზაურება მოსკოვი—ბერლინი—მოსკოვი—1.100 მან.; ერთი მოგზაურობა მოსკოვი—ქაბული (ავღანისტანი) — მოსკოვი—1.100 მან.; ერთი მოგზაურობა მოსკოვი—პრაღა—მოსკოვი—1.100 მან.; ერთი მოგზაურობა მოსკოვი—ალჟირი—მოსკოვი 2.000 მან.; ორი მოგზაურობა მოსკოვი—კენიგსბერგი—მოსკოვი სამი მოგზაურობა მოსკოვი—რიგა—მოსკოვი 100 ადგილი სანატორიუმებში, ღირებული 200 მან. თითეული; 50 მოგზაურობა ვოლგაზე (200 მან. თითეული; 50 ექსკურსია კავკასიაში ნავი, 3 მოტოციკლეტი; 2 მოტორიანი ნავი ერთი აერო-მარხილი; ერთი გლისერი; 100 ველოსიპედი; 60 ფოტო-აპარატი; 100 თოფი; 300 საათი' 200 ბინოკლი; 400 რადიო-მიმღები აპარატი; 800 საფუტბოლო ბურთი; 1.200 გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი; 400 შახმატი დაფებით; 100 მფრინავი მოდელი; 3200 გაფრენა ქალაქებზე და სხვ.

ნოემბერში მთელ საბჭ. კავშ. დაიწყება ბილეთების გაყიდვა. მოგებათა რაოდენობა წინანდელთან შედარებით გადიდებულია 44 პროცენტით. შარშან ერთი მოგება მოდიოდა 271 ბილეთზე, ახლა კი—250-ზე. სულ ლატარია შესდგება 4.000.000 ბილეთიდან. თითეული ბილეთი ღირს 50 კაპ. ტირაჟი განზრახულია მომავალი წლის ივნისში მოსკოვში.

შრომის ინსპექციის მუშაობა

აფხაზეთსა და აჭარისტანში

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა შრომის ინსპექციის მუშაობის გამოკვლევა აფხაზეთსა და აჭარისტანში.

აფხაზეთში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომის ინსპექციის ორგანოების მუშაობას სასოფლო-სამეურნეო წარმოებებსა და სოფლის მეურნეობებში. გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები ინსპექციის მუშაობაში. ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად და მუშაობის გასაცხოველებლად გამომუშავებულ იქნა სათანადო ღონისძიებები და დირექტივები. ინსპექციის ორგანოებს წინადადება მიეცა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შრომის პირობების გაჯანსაღებას სასოფლო მეურნეობაში რვა საათის სამუშაო დღის დაცვას კულაკურ ტიპის მეურნეობებში და მოჯამაგირეთა უფლებრივ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამასთანავე საჭიროდ იქნა ცნობილი აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოებას წინაშე, რათა მოჯამაგირეთა დაცვის საქმეში ჩაბმული იქნან სოფლის საბჭოებიც, რისთვისაც ამ უკანასკნელთ მიეცეს საჭირო ინსტრუქციები და დირექტივები და დაურიგდეს სათანადო ლიტერატურა.

აფხაზეთის დამზღვევ ორგანოების წინაშე უნდა დაისვას საკითხი მოჯამაგირეთა დაზღვევის ახალი წესების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობის შესახებ და უნდა იქნეს მიღებული ზომები დამზღვევ სალაროების დავალიანების დასაფარავად.

აჭარისტანში მეტი ყურადღება მიექცა შრომის ინსპექციის ორგანოების მუშაობას მშენებლობის დარგში.

გამოირკვა, რომ სამუშაოებზე ადგილი აქვს სამუშაო დღის ხანგრძლივობას ნარდით მუშაობის დროს, ხელფასის გაცემის დაგვიანებას, ხშირ უბედურ შემთხვევებს და სხვ.

შრომის ინსპექციის ორგანოებს წინადადება მიეცა მიიღონ ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად, ყურადღება მიაქციონ სამუშაო დღის მოწესრიგებას, მუშების საბინაო პირობებისა და უშიშროების ტეხნიკის გაუმჯობესებას და სხვ.

მარგანეცის დამუშავების პერსპექტივები

(საუბარი პროფ. გრიგოროვიჩთან)

პროფესორმა გრიგოროვიჩმა, რომელიც მოწვეულია ჭიათურაში ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების საკითხის შესასწავლად, საქართველოში მარგანეცის მრეწველობის პერსპექტივების შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საბჭოთა კავშირში მარგანეცის მრეწველობის უმდიდრესი რაიონებია ჭიათურის და ნიკოპოლის რაიონები. ჭიათურის რაიონი პირველ ხარისხოვანი მარგანეცის რაიონადაა მიჩნეული მთელ მსოფლიოში. ჯერ კიდევ საერთაშორისო იმპერიალისტური ომის დაწყებამდე მაშინდელი რუსეთის იმპერიიდან გატანილი მარგანეცის რაოდენობა უდრიდა საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნილების 40 პროცენტზე მეტს. მაგრამ ომისა და რევოლიუციის პერიოდში მარგანეცის გატანა შესამჩნევად შემცირდა და ამან გამოიწვია ის, რომ უცხოეთში (ინგლისი, ჩრდ. ამერიკა, შვეცია და სხ.) საგრძნობლად გაადიდეს დაბალი ხარისხის მარგანეცის ამოღება.

1921 წლიდან უცხოეთის ბაზარზე კვლავ ჩნდება საბჭოთა კავშირიდან გატანილი მარგანეცი, რომლის ექსპორტი ყოველწლობით მატულობს. ეს გარემოება იმის დამადასტურებელია, თუ რა დიდი მოთხოვნილებაა ჩვენს მარგანეცზე უცხოეთის ბაზარზე და რამდენად ძნელია უცხოეთისთვის ჩვენი მარგანეცის ექსპორტის გარეშე მუშაობა.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე საზღვარგარეთ გვქონდათ უმთავრესად მარგანეცის მადანი, ხოლო გადამუშავებული სახით, ე. ი. ფერო-მარგანეცი უცხოეთის ბაზარზე აქედან არ გადიოდა. მადნის გატანაზე უფრო გაცილებით ხელსაყრელია ფერო-მარგანეცის, ანუ „გადადუღებული მარგანეცის“ გატანა. ამიტომ ს. მ. უ. საბჭომ გადაწყვიტა ჭიათურაში ააგოს ფერო-მარგანეცის ქარხანა. ფერო-მარგანეცის წარმოება ხელსაყრელი იქნება, იმიტომ რომ ქარხანა იმუშავებს ზაჰესისა და რიონჰესის ზედმეტი, ე. წ. სეზონური იაფი ენერგიით. წინასწარი გამოანგარიშებით სეზონური ენერგის თვითეული კილოუატ-საათი დაჯდება 0,5 კაპ.—0,75 კაპეიკამდე. ჭიათურის ქარხანა ყოველწლიურად დაამუშავებს 18—22 ათას ტონამდე ფერო-მარგანეცს. მიმდინარე ხუთი წლის ბოლოს ამუშავებული იქნება აგრეთვე დნეპროსტროის ჰიდრო ელსადგური, სადაც განზრახულია ფერო-მარგანეცის მეორე ქარხნის აგება. ეს ქარხანა წლიურად მოგვცემს 50—60 ათას ტონა პროდუქციას.

საბჭოთა კავშირის ლითონის მრეწველობას ყოველწლიურად ესაჭიროება დაახლოვებით 70 ათასი ტონა ფერო-მარგანეცი. აქედან ამჟამად საზოგადოება „იუგოსტალი“ ამზადებს 30 ათასამდე ტონას. ჭიათურის ქარხნისა და დნეპროსტროის ქარხნების ამუშავების შემდეგ შესაძლებელი იქნება საზღვარგარეთ გავიტანოთ ყოველწლიურად 25—30 ათასი ტონა ფერო-მარგანეცი, ხოლო გარდა ამისა შესაძლებელი იქნება აგრეთვე მარგანეცის მადნის გატანაც.

ამგვარად ჩვენში ფერო-მარგანეცის წარმოების დაწყება ყოველმხრივ ხელსაყრელი იქნება.

ახალი ალავერდობა კახეთში

წელს ალავერდობას რამოდენიმე ათასი კაცი დაესწრო სხვადასხვა კუთხიდან: იყვნენ კახელები; თუშები; ფშავხევსურები, ქისტები; ლეკები; თათრები და სხ. ბოლო დროს ალავერდობას ხალხი ეტანება არა იმდენად ცრუმორწმუნეობის გამო, რამდენად იმიტომ, რომ აქ ხდება საქონლის გაცვლა-გამოცვლა სოფლის და სოფელს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის.

გლეხები ისმენენ ლექციას სურათების გამოფენაზე

ეს გარემოება კახეთის ალმასკომმა საუცხოვოდ გამოიყენა და ძველი ცრუმორწმუნეობის, ლოთობის, თავპირმტვრევის ბუდე გადააქცია მასების კულტურულ გამოფხიზლების ცენტრად, ჩარჩ-ვაჭრებს დაუპირდაპირა კოოპერატივები, ცრუმორწმუნეობას ხელოვნება. აქ ერთ დღეში გეგმაზე გაშენდა „ქალაქი“ ქუჩებით და უბნებით. მოეწყო გამოფენა მრეწველობის ნაწარმოებთა, აგრეთვე მეხილეობის, მეჯოგეობის, პირუტყვთა და ფრინველთა გაშენების და სხვა დარგებიდან, დამსწრენი ერთობოდენ სახალხო მუსიკით, ცეკვით, ტანვარჯიშობით, კინოთი, რომელიც მთელი ღამე მუშაობდა.

ყველაფერ ამან ისე მიიზიდა ხალხი, რომ ქეიფისათვის არავის ეცალა და არც ერთი მთვრალი კაცი არავის უნახავს. საინტერესო იყო ხელოვნების და ცრუმორწმუნეობის ბრძოლა; ეკლესია თითქმის სავსებით ცარიელი იყო, თვით მღვდლებიც კი იძულებული შეიქნენ ადრე მიეტოვებიათ წირვა-ლოცვის ცერემონიები. ხალხი ხატების მაგიერ დაეწაფა სამხატვრო სტუდიას, მუშა და გლეხ მხატვართა კოლექტივის ნახატებს, ინტერესით ათვალიერებდა მათ და ყურადღებით ისმენდა სათანადო განმარტებას. თუშის ქალები დაინტერესდენ ხალიჩების ქსოვილებით და მათ შინა-მრეწველობიდან ამოღებულ სურათებით, რომელიც მუშა მხატვართა კოლექტივი უფასოდ [illegible]. მეორე დღეს ხალხი, დატვირთული ახალი ცხოვრების შთაბეჭდილებებით, დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

მოსე მხატვარი.

სამეურნეო გამოფენა ალავერდში

ქრონიკა

ამხ. ს. ჯუღელის დაბრუნება შვებულებიდან.

საქ. მიწად-მოქმედების სახ. კომისარი ამხ. ს. ჯუღელი დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

3 ოქტომბერს ამხ. ს. ჯუღელი მიემგზავრება მოსკოვში მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის ბიუჯეტის საკითხის მოსაგვარებლად.

უცხოელი ტურისტები საქართველოში

უცხოეთის სანაოსნო კომპანიები („ზიუდ-ამერიკა“, „ჰამბურგ-ამერიკის ხაზი“, ინგლისური საზოგადოება „როიალ მეილ“) მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა სავაჭრო ფლოტის სამმართველოსთან ამერიკელ და ევროპიელ ტურისტთა ახალი პარტიების ჩამოყვანის შესახებ საბჭ. კავშირში 1929 წ. უცხოელ ტურისტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (ათას კაცამდი) ჩამოვა საქართველოში. ბათომში მათ მოიყვანს გემი „კაპ-პოლონიო“ ან „მონტე-სერვანტესი“ (რომელიც „კრასინმა“ გადაარჩინა დაღუპვას). ტურისტები ბათომიდან ჩამოვლენ თბილისში, აქედან სამხედრო გზით გაემგზავრებიან კავკავში, იქიდან-მინერალურ წყლებზე და ბაქო-თბილისის გავლით ისევ ბათომში დაბრუნდებიან. ბათომში დაბრუნების შემდეგ ტურისტები დაათვალიერებენ შავი ზღვის სანაპიროებს, ინახულებენ კიევს, მოსკოვს, ლენინგრადს, დაბრუნდებიან შავის ზღვის ერთ-ერთ ნავსადგურში, საიდანაც სპეციალური გემით დაბრუნდებიან უცხოეთში.

დასაზღვევი დახმარების დარიგება წარმოებებში

საკავშირო შრომის კომისარიატმა გამოსცა ახალი დადგენილება დასაზღვევი დახმარების გაცემის წესის შესახებ.

დასაზღვევი დახმარება გაცემული იქნება უშუალოდ წარმოებებში, თუ იქ მუშაობს არა ნაკლებ სამასი კაცისა.

ავადმყოფები თავის ავადმყოფობის ფურცელს გადასცემენ საქარხნო კომიტეტში. დამზღვევ სალაროს აგენტი შემოივლის საქარხნო კომიტეტებს, შეაგროვებს ასეთ ფურცლებს და დაარიგებს ფულს.

ასეთი წესის შემოღება, დადგენილების ძალით, შეიძლება იმ წარმოებებშიც, სადაც მუშების რიცხვი არ აღწევს 300-დი, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭიროა კავშირისა და დამზღვევ სალაროს შეთანხმება.

შრომის პირობების გამოკვლევა

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ ჩაატარა, აფხაზეთის ზოგიერთ წარმოებებში შრომის პირობების გამოკვლევა.

უმაღლეს ტიპის სკოლებში

თბილისის აღმასკომის პოლიტგანი აცხადებს ყველა იმ პირების საყურადღებოთ, რომელნიც დაშვებულნი არიან გამოცდებზე უმაღლეს ტიპის სკოლებში შესასვლელად, რომ გამოცდები იწარმოებს 4 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე შემდეგ სკოლებში: მე-4 შრომის სკოლაში (ავლაბარი, პეტრე-პავლეს ქ., № 16) და მე-43 შრომის სკოლაში (ენგელსის ქ., № 50). გამოცდებზე დაშვებულნი ცნობების მისაღებათ უნდა გამოცხადდენ პოლიტგანში ა. წ. 4 ოქტომბერს, დილის 9 საათზე.

თბილისის აღმასკომში

- ფანერის ქარხანა თბილისის აღმასკომმა გადასცა ს. მ. უ. საბჭოს.
- ტრამვაის საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 150.000 მანეთი.

სხვადასხვა

- მუშათა უნივერსიტეტში დღეიდან დაიწყება მეცადინეობა.
- საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ღარიბეს გლეხთათვის სესხის დასარიგებლად გადასდო 20.000 მან.

ხელოვნების ქრონიკა

მოსკოვში გაიმართა უმაღლეს სამხატვრო ინსტიტუტის სამხატვრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა სურათების გამოფენა, რომელზედაც, სხვათა შორის, გამოფენილია საქართველოს სამხ. აკადემიის კურსდამთავრებულ თამარ თავაძის სურათები. „იზვესტია“-ს რეცენზენტი ფ. როგინსკაია სწერს, რომ „მხოლოდ თამარ თავაძის ნამუშევარში შეიძლება იგრძნო თრთოლვა ნამდვილად მხატვრული ძიების“-ო.

— „ნატა“. დაიბეჭდა და გამოვიდა სეზმან ერთაწმინდელის მოთხრობა თანამედროვე სოფლის ცხოვრებიდან „ნატა“. 32 გვ. ფასი 15 კაპ. გამოცემა საქ. თავდაცვა-ავიოქიმის საზოგადოების.

თბილისის საბჭოს სექციებში

სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაში

თბილისის აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრენ დანარჩენ სექციების წარმომადგენლები და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ამხ. საკიანი.

თბილისის ბაზრების მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა გ. ჩიკვაიძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს მთელ თბილისში აქვს 180 სხვადასხვა სავაჭრო პუნქტი. გარდა იმისა, რომ ამ სავაჭროების რიცხვი მეტად მცირეა, მათი უმრავლესობა გახსნილია მხოლოდ ცენტრალურ რაიონებში, ასე რომ გარეშე უბნები მთლიანად კერძო ვაჭრებს უჭირავთ.

თბილისში სულ არის 7801 დარაბა, აქედან 6336 დარაბა უჭირავს კერძო ვაჭრებს, 678 კოოპერაციას. 475 სახელმწიფო-სავაჭრო ორგანიზაციებს და 302 სხვადასხვა არტელებს თუ ვივარაუდებთ, რომ 6336 დარაბიდან შინა მრეწველებს და ხელოსნებს უჭირავთ 10 პროცენტი, დავინახავთ; რომ ამჟამად თბილისის სავაჭროების 72 პროცენტი კერძო ვაჭრების ხელშია.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც სექციის წევრებს გარდა მონაწილეობა მიიღო შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში ამხ. საკიანმა და შინამრეწველ-ხელოსანთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. აივაზოვმა.

კამათის შემდეგ სხდომამ დაადგინა მოხდეს თბილისის ბაზრების, მასიური გამოკვლევა ყველა სექციების მონაწილეობით, როგორც ცენტრში, ისე გარე-უბნებში. გამოკვლეული იქნება ბაზრების, როგორც სანიტარული, ისე სავაჭრო მდგომარეობა. გამოკვლევის შემდეგ კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალებათ გახსნან ახალი სავაჭროები და მიიღონ ზომები ბაზრის დასაპყრობათ. გამოკვლევა დაიწყება 8 ოქტომბრიდან და გასტანს თვენახევარს.

გამოკვლევაში მონაწილეობას მიიღებს 150 კაცამდე, რომლებიც გამოკვლევის ჩასატარებლად განაწილებულნი იქნებიან რაიონების მიხედვით.

საფინანსო სექციაში

საფინანსო სამრეწველო სექციამ მოისმინა ინჟ. მიროშნიკოვის საინფორმაციო მოხსენება თბილისში ახალი ლუდის ქარხნის აგების შესახებ. მომხსენებელმა გააცნო სექციის წევრებს ქარხნის პროექტი და ქარხნის აგების მნიშვნელობა. სექციამ დამაკმაყოფილებლად სცნო მოხსენება და დაადგინა მიუთითოს ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას, რომ ქარხანა აგებულ იქნეს განზრახულ ვადაში და მიიღოს ზომები, რათა ქარხნის აგებას ხარჯთ-აღრიცხვის ზევით არ დასჭირდეს ახალი თანხების დამატება, რასაც ხშირათ აქვს ადგილი.

ინსპექციის კომისიების სხდომა

მ.-გ. ინსპექციის სექციას თავის წევრებიდან გამოყოფილი ჰყავს რამდენიმე კომისია, რომლებიც მიმაგრებულნი არიან სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებზე. კომისიებში სექციის წევრების გარდა შედიან მუშათა აქტივის წევრებიც.

გუშინ მ.-გ. ინსპექციის სექციის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამ კომისიების მუშაობის ანგარიში. გამოირკვა, რომ ზოგიერთი კომისიები ვერ მუშაობენ სათანადოდ. გარდა ამისა ერთ წარმოებაზე მიმაგრებულია სხვა სექციების კომისიებიც, რაც ქმნის ერთგვარ პარალელიზმს და ართულებს მუშაობას. კომისიების მუშაობის გასაცხოველებლად შესაფერი ღონისძიებების გამომუშავება მიენდო სექციის ბიუროს.

კომუნალურ სექციაში

კომუნალურმა სექციამ განიხილა წყალსადენის აბონენტების აღრიცხვისა და გადასახადის შეტანის წესი. სექციამ მიზანშეწონილად სცნო თბილისში წყალსადენის აბონენტების აღრიცხვისა და წყალზე გადასახადის აკრეფის საქმეში შემოღებული იქნეს ლენინგრადში არსებული სისტემა. ამ სისტემის შემოსაღებათ თბილისის აღმასკომის სავეგმო კომისია ამჟამად იმუშავებს შესაფერ პროექტს.

სასამართლო

ქურდი ცოლ-ქმარი

გასული წლის 7 ოქტომბერს ქ. გორში გასტეხეს სამხედრო-სამომხმარებლო კოოპერატივის სარდაფი, რომელიც გაუქმებული კარებით ურთიერთობდა № 54 მაღაზიას. სარდაფიდან ქურდები შეიძრნენ მაღაზიაში. გასტეხეს სალარო და გაიტანეს 2.941 მანეთი.

ეს ამბავი მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და კოოპერატივის თანამშრომლებმა.

დაიწყო კვლევა-ძიება. ძნელი გახდა ბოროტმომქმედთა აღმოჩენა.

ერთმა გარემოებამ ჩააფიქრა საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენლები.

კოოპერატივის ყოფილმა თანამშრომელმა ალექსანდრე რუმიანცევმა წინა დღეებში ნებაყოფლობით თავი გაანება სამსახურს და სწორედ იმ ღამეს, როცა ქურდობა მოხდა, ბარგი აიკრა და მეზობლებს გამოეთხოვა.

ცოლმა ნადეჟდამ მეზობლებს აუხსნა სასწრაფოდ გამგზავრების მიზეზი: დეპეშა მივიღეთ და სასწრაფოდ უნდა გავემგზავროთ ტაშკენტშიო.

ამ უეცარმა გამგზავრებამ საფუძვლიანი ეჭვი დაბადა. გაგზავნილ იქნენ მილიციის თანამშრომლები „ტაშკენტში მიმავალ მგზავრების“ დასაძებნად.

რუმიანცევი თავისი ცოლითურთ აღმოჩენილ იქნა ქალაქ ივსკში, სადაც კიდევ ბლომად აღმოაჩნდათ ჯიბეზე გორის კოოპერატივიდან გატაცებული ფული.

დაპატიმრებული ცოლ-ქმარი დააბრუნეს უკან და მოათავსეს გორის გამასწორებელ სახლში.

მათი გასამართლება მოხდა ქ. გორში. ალექსანდრე რუმიანცევს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, ხოლო მის მეუღლეს ნადეჟდა რუმიანცევას, რომელსაც დაუმტკიცდა ხელის შეწყობა ქურდობაში, სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქ. უზენაეს სასამართლოში.

უზენაესმა სასამართლომ საქმეში დართულ მასალების განხილვის შემდეგ უშედეგოდ დასტოვა მსჯავრდადებულთა საჩივარი.

—:—

შურის ძიება

სენაკის მაზრის სასამართლომ გაარჩია ტრიფონ დიმიტრის ძე ჩიქობავას საქმე.

ტრიფონ ჩიქობავა ემტერებოდა მეფის ოქმის მცხოვრებ მათე კინწურაშვილს იმის გამო, რომ უკანასკნელმა რაღაც უკმაყოფილების ნიადაგზე სცემა ტრიფონის უნცროს ძმას.

ტრიფონ ჩიქობავას გადაწყვეტილი ჰქონდა სამაგიეროს გადახდა და ეძებდა შესაფერ მომენტს.

ერთ დღეს, როცა კინწურაშვილი თავის ქალიშვილს მოჰყვებოდა სოფლის შარა-გზაზე, ჩიქობავა დაუხვდა კინწურაშვილს და სამჯერ ესროლა რევოლვერი.

ერთი ტყვია კინწურაშვილს მოხვდა მუცელში და უსულოდ დაეცა ძირს.

ტრიფონ ჩიქობავას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 4 წლით და უფლების აყრა 2 წლის ვადით.

გორ.

ბოროტმოქმედება „მკერავში“

გუშინ შინა ვაჭრობის კომისარიატში შესდგა სხვადასხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების გაფართოებული სხდომა, რომელზედაც სააქციო საზოგადოების „მკერავი“-ს მუშაობის გამოკვლევის შესახებ მოხსენება გააკეთა ვაჭრობის ინსპექტორმა მ. კამალოვმა.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, სააქციო საზოგადოებას „მკერავს“ ამჟამად ფაბრიკის გარდა აქვს 3 მაღაზია; პლეხანოვის პროსპექტზე, რუსთაველის პროსპექტზე და მადათოვის კუნძულზე. ამ მაღაზიებში იყიდება „მკერავი“-ს მთავარ ფაბრიკაში შეკერილი ტანისამოსები. ამავე მაღაზიებს აქვთ საკუთარი სამკერვალო სახელოსნოები, რომლებიც ღებულობენ კერძო შეკვეთებს.

ამ დღეებში ჩატარებული იქნა ამ მაღაზიების მუშაობის გამოკვლევა და აღმოჩნდა შემდეგი: „მკერავი“-ს სამივე მაღაზია ღებულობს ინდივიდუალურ შეკვეთებს და კერძო პირებს ტანისამოსს უკერავენ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებიდან მიღებულ ძვირფას მატერიებიდან.

გარდა ამისა შეკერვაში ღებულობენ 300-500 პროც. მეტს, ვიდრე ღებულობს ცენტრალური ფაბრიკა. შეკერვაში მიღებული ზედმეტი საფასურიდან პროცენტები ეძლევა მკერავებს.

გამოირკვა, რომ მაღაზიების სახელოსნოებს შეკვეთებს აძლევენ კერძო ვაჭრები და სპეკულიანტები, რომლებიც მაღაზიების სახელოსნოებში შეკერილ ტანისამოსს შემდეგ ორმაგ ფასებში ჰყიდიან.

აღსანიშნავია, რომ კერძო ვაჭრებს აღნიშნული სახელოსნოები ტანისამოსს უკერავდენ ისეთ მატერიებიდან, რომლის დიდი ნაკლებობაა და რომელთა შეძენა კერძო ვაჭრებს არ შეუძლია სახელმწიფო და კოოპერატიულ მაღაზიებში.

ამრიგად „მკერავი“-ს მაღაზიები ფაქტიურად დახმარებას უწევდნენ კერძო ვაჭრებს და საშუალებას აძლევდენ მათ სპეკულიაციის მიზნით შეეძინათ ძვირფასი მატერიებიდან შეკერილი ტანისამოსი.

სხდომამ დაადგინა, მიღებული იქნეს ზომები დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად და „მკერავი“-ის სამივე მაღაზია გადაეცეს მუშკოოპს.

შემთხვევები

ქურდის დაჭრა

1 ოქტომბერს მოქ. იპოლიტე რთველაძემ ღამით თავის ბინაში შეისწრო უცნობი პირი, რომელიც ტომარაში აგროვებდა სხვადასხვა ნივთებს. დაინახა თუ არა ქურდმა რთველაძე, მოინდომა გაქცევა მაგრამ რთველაძემ დაიჭირა. წინააღმდეგობის გაწევის დროს რთველაძემ დანით დასჭრა ქურდი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. ის აღმოჩნდა ცნობილი ქურდი რეციდივისტი ფეოდორ სლავიანეცკი.

ცოლის დაჭრა

გუშინ, საღამოს იარ იაკობ-ოღლიმ (მცხოვრები ზურაბოვის ქ. № 34) დანით მძიმეთ დასჭრა თავისი ყოფილი ცოლი მალქან საღიმოვი. დამნაშავე შეპყრობილია. დაჭრილი მოთავსებულია 1-ლ საავადმყოფოში.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მანგლისის სატყეოს გამგე გიორგი ნოდია, რომელსაც ბრალდება 3.500 მანეთი სახაზინო ფულის გაფლანგვა;—დააპატიმრეს რუბენ სუქიასოვი, აშოტ აგასიანი და ასატურ გრიგორიანი, რომლებმაც მოქ. ბერუჩაშვილს ამოაცალეს 19 მანეთი;—ქურდობისათვის შეიპყრეს ალექსანდრე ხუციშვილი.

ქურდობა

1 ოქტომბერს გაქურდეს მამედ ქაჯიევის ბინა (კომუნალური ქ. 38), წაიღეს 200 მ ნივთები; — ივანე არჯევის ბინიდან (ფრთას ქ. 280) მოიპარეს 260 მან.

—:—

განმარტება

ჩვენი გაზეთის მე-224 ნომერში შემთხვევებში ბონდარენკოს 6 წლის ბავშვის გაუპატიურების შესახებ მოთავსებული ცნობა ეხება მიხეილ გიორგის ძე ზუბიაშვილს (1-ლი ლუდის ქარხნის მუშას), ცნობაში მოხსენებული ბოროტმოქმედი—მიხეილ ზუბიაშვილი არის მცირე წლოვანი, რის გამო მისი საქმე გადაცემული აქვს არა სრულ წლოვანთა საქმეების განმხილავ კომისიას.

რკინის გზაზე

რატომ მოხდა კატასტროფა

მიმდინარე წლის აგვისტოს დასასრულში, ხაშმა-ჩარხის გადასარბენზე სამგზ. მატ. № 4 დაეჯახა კამეჩს, რასაც მოჰყვა მატარებლის კატასტროფა. კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა 14 მგზავრი. დაიმსხვრა რამოდენიმე ვაგონი და სხვა. საერთოდ, აღნიშნული კატასტროფა რკინის გზას დაუჯდა 15.000 მან.

ამ დღეებში, აღნიშნული შემთხვევა გაარჩია შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ, რომელმაც გამოარკვია შემდეგი:

კამეჩი, რომელმაც გამოიწვია მატარებლის კატასტროფა, მოულოდნელად გამოვარდა ბუჩქიდან. ასე, რომ მემანქანეს მოესპო მატარებლის სასწრაფოდ გაჩერების შესაძლებლობა.

ორთქლმავალს, წინ ჰქონდა საქონლის გადასაგდები ფარი რითაც მან შესძლო კამეჩი გადაესროლა განზე, მაგრამ კამეჩი იბრძოდა და ამიტომ ხელმეორედ მოხვდა საფოსტო ვაგონის ქვეშ. რამაც გამოიწვია მატარებლის მარცხი.

მიღებულია ზომები კამეჩის პატრონის შესაპყრობათ და პასუხისგებაში მისაცემად.

საგზაო კომისიამ, მოძრაობის უზრუნველსაყოფად ასეთ შემთხვევებისაგან წინადადება მისცა გზათა განყოფილებას, რათა ამ უკანასკნელმა აწარმოვოს პერიოდულათ ხაზის გაწმენდა ყოველგვარ ბუჩქებისაგან.

დაჯახება

სადგ. დუვანში შესვლის დროს მატ. № 201 დაეჯახა „ვაგონეტკას“.

დაჯახების დროს ვაგონეტკა დაიმსხვრა და ორთქლმავალს დაუზიანდა წინა ნაწილები.

ადამიანების უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. სწარმოებს კვლევა-ძიება.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროტოაქტინიუმი

92 უმარტივეს ნივთიერებათა რიცხვს (ელემენტიდან), რომლებიდანაც შესდგება დედამიწა, ეკუთვნის ელემენტი პროტოაქტინიუმი.

იგი აღმოაჩინეს 1918 წელს (ამრიგად წრეულს 10 წელიწადი სრულდება მისი აღმოჩენის დღიდან) ერთდროულად გერმანელმა და ინგლისელმა მეცნიერებმა. პროტოაქტინიუმი ძლიერ მცირე რაოდენობით მოიპოება დედამიწის ქერქში და რადიუმის მსგავსად მხოლოდ იმ მადნებში არის, რომელიც ურანს შეიცავს. ურანის შემცველი ერთი ტონა მადნი საშუალოდ იძლევა 129 მილიგრამ (დაახლოებით ერთ მერვედ გრამ) პროტოაქტინიუმს იმ დროს, როცა ურანის ამ რაოდენობაში ორჯერ მეტი რადიუმი მოიპოება—343 მილიგრამი. თუმცა რადიუმიც იშვიათი ელემენტია, მაგრამ კაცობრიობის განკარგულებაში უკვე არის რამდენიმე ასეული გრამი რადიუმი, პროტოაქტინიუმი კი ჯერ-ჯერობით ძლიერ მცირე რაოდენობით არის მოპოვებული. ამ რამდენიმე ხნის წინად მიღებული იქნა 2 მილიგრამი პროტოაქტინიუმი, მაგრამ ამისათვის საჭირო შეიქნა რადიუმისა და ურანის წარმოების 200 კილოგრამ ნარჩენების გადამუშავება.

პროტოაქტინიუმი—რადიო-აქტიური ნივთიერებაა, ე. ი. მისი ატომები იშლება და წარმოშობა ახალი ელემენტების ატომები. ამ პროცესის დროს ხდება განსაკუთრებული სხივების გამოყოფა. პროტოაქტინიუმის ატომების დაშლა ძლიერ ნელა ხდება. მაგ. მილიონ ატომიდან ნახევარი იშლება 20.000 წლის განმავლობაში, მეორე ოციათას წელიწადში იშლება დარჩენილი ატომების ნახევარი—250.000, შემდეგ 20.000 წელში—125.000 ატომი და ასე. დაშლის დროს წარმოიშობა მონათესავე ელემენტი აქტინიუმი, რომელიც აგრეთვე რადიოაქტიურია.

საქ. შრომის სახ. კომისარიატში

განათლების დარგში მომუშავეთა შრომის ხელფასის შესახებ

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების პროექტი, არდადეგებისა და შვებულებების დროს განათლების მუშაკთა შრომის ხელფასით დაკმაყოფილების შესახებ. აღნიშნული დადგენილება ახლო მომავალში გამოქვეყნდება პრესაში.

გადაწყვეტილებათა სასწრაფოდ შესასრულებლად

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატმა და მუშათა-გლეხთა ინსპექციის კომისარიატმა გამოსცეს დადგენილება, რომლის თანახმად, სასამართლო და ადმინისტრატიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან შრომის კანონების დარღვევის ირგვლივ გამოტანილ გადაწყვეტილებები ორი დღის ვადაში აუწყონ შრომის ინსპექტორს (დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა).

რადიო-გადაცემა

დღეს, 3 ოქტომბერს, თბილისის ოთხ კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: მორზეს ანბანის ახსნა განმარტება (რუსულ ენაზე). მუშათა რადიო გაზეთი (ქართულ ენაზე), ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოხსენება „ჭუნთრუშა და მასთან ბრძოლა“ (ქართულ ენაზე), საუბარი ბიოლოგიაზე (ქართულ ენაზე), მუსიკალური ანტრაქტი, წითელ არმიელთა გაზეთი (რუსულ ენაზე), გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 3 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან:** კონსტანტინე კობიაშვილი; ელენე ზახარიევა, გრიგოლ ივანოვი, ალექსანდრე ალიბეგაშვილი, ეფრემ გლაზოვი, ელენე ემილიანცი, ნიკოლოზ ბრეგაძე, პალონა არშაკოვი, სოფიო ლაზუტკინა; იოსებ ოსეფაანი, ზაქარია ბიძინაშვილი, ონისიმე ყანდარელი. **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** ფ. ფალავანდიშვილი, ალექსანდრე ბალდოევი, ნიკოლოზ თარხნიშვილი, გეორგ. საფაროვა, გარეგინ სარაჯევი; ამბროსი ბათმანიშვილი; თამარ კობიაშვილი; ნინო უშვერიძე; **ახალგაზრდათა სექციიდან:** მიხეილ მურადაშვილი, რუბენ მარტიროსოვი, **შავ მუშათა სექციიდან:** ბაგრატ ნურიჯანოვი, ხაჩატურ ასატუროვი, ანნა ციციკოვა, სანდრო მამულაშვილი, ვართან ტარმუდოვი, სტეფანე მირუაშვილი; აკაკი მიქელაძე, ირაკლი ბიუკაევი; ლეონიდ ქაჯაია, ელიოზ ნარიმანაშვილი, თედორე ცინცაძე ფერონიკ მალხაზიანი, ანდრო ცხუბაევი, **მედსექციიდან:** პორფილე მილორავა, ნადეჟდა საინოვა.

ნარევი

„ბრაზილიის კონსულის შვილი“

გაზეთი „ბედნოტა“ შემდეგს იუწყება: ნიკოლაევში ანდრე მარტის სახელობის ქარხნის კოლექტივის ხარატმა ალექსანდრე სერბინმა გადასწყვიტა ფეხით ემოგზაურა მარშრუტით ნიკოლაევი-ვლადივოსტოკი-ნიკოლაევი. მან შესაფერი შუამდგომლობა აღძრა მელითონეთა კავშირის ნიკოლაევის განყოფილების წინაშე, რომელმაც მას დახმარება აღმოუჩინა.

სერბინი გაუდგა გზას და გზაში გადასწყვიტა თავი გაესაღებინა ბულგარელ მუშათ, რომელიც დედამიწის გარშემო მოგზაურობდა ფეხით. მას დაუჯერეს. მეორე ქალაქში სერბინმა თავი გაასაღა აფრიკელ მუშათ გვარად—სერბინცი. აქაც დაუჯერეს.

ყაზანში სერბინი თავის თავს ასაღებს ბრაზილიელად, რომლის მამა კონსულად არის ჩინეთში. დაუჯერეს. სერბინი უფასოდ ცხოვრობს და სადილობს ყაზანის სასტუმროში. „უცხოელის“ განკარგულებაში 11 დღის განმავლობაში იმყოფებოდა სპეციალური ავტომობილი. გამგზავრების დღეს სერბინს გაუმართეს ბანკეტი, რომელზედაც მას საჩუქრად მიართვეს საათი.

არანაკლები პატივისცემით შეხვდნენ ცრუ-უცხოელს პეტროპავლოვსკში. აქ სერბინი უკვე ბრაზილიელი მუშაა. სასტუმროში სერბინი ცხოვრობდა საგუბერნიო აღმასკომის ხარჯზე და მის განკარგულებაში იყო ორი ავტომობილი. ქალაქის აღმასკომმა აჩუქა მას რეზინის პლაში, საგუბერნიო პროფსაბჭომ კი დახმარების სახით მისცა 30 მანეთი.

ზლატოუსტში სერბინი თავის თავს ასაღებს ამერიკელ მუშათ. ზლატოუსტის ქალაქის საბჭომ ამერიკელს აჩუქა კოსტიუმი, პროფკავშირმა კი—50 მანეთი. სარაპულში და სვერდლოვსკში სერბინი კვლავ გადაიქცა ბრაზილიელ მუშათ, მიიღო უფასო ოთახი და სადილი სასტუმროში, პროფკავშირთა საბჭოდან კი 40 მანეთი ფულად.

უფაში ბაშკირეთის განათლების კომისარიატმა მის განკარგულებაში გამოჰყო სპეციალური ინსპექტორი, რომელიც „უცხოელ სტუმარს“ აცნობდა ბაღებსა და მუზეუმებს. სახაზინო ცხენით, მილიციონერის თანხლებით სერბინი დასეირნობს სოფლებში „გასაცნობათ“. მეორე დღეს კი იმავე მილიციონერის თანხლებით სერბინი გაგზავნეს... გამასწორებელში, რადგან ზლატოუსტის სისხლის სამართლის მილიციას ამ დროისათვის უკვე გამოერკვა „უცხოელი სტუმრის“ ნამდვილი ვინაობა.

შეშლილი გამომძიებელი

გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამომძიებელმა გასცა განკარგულება მთელ რიგ პირების დაპატიმრების შესახებ. ასეთ მრავალრიცხოვან ხალხის დაპატიმრებამ გაოცება გამოიწვია. როცა გამომძიებელმა გასცა განკარგულება ქალაქის თავისა და პოლიციის უფროსის დაპატიმრების შესახებ, გამოირკვა, რომ გამომძიებელი ჭკუაზე შეშლილიყო.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე აგიტპროპ მუშაობის ცენტრ. კაბინეთში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება **საინსტრუქციო თათბირი** იმ ამხანაგების, რომლებიც რაიკომების მიერ გაწვეული არიან უჯრედებში ამხ. ბუხარინის მოხსენების — **„საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები“**— დასამუშავებლად. მომხ. ამხ. ბედია. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

ლენინის რაიკომიდან: კანთარაძე, ფატტერი, გეეიკი, ხითაროვი, ბოიკოვი, შაროვი, ლევინი, არუტიუნოვი, დოიჯაშვილი, ცაბაძე, ბეჟანოვი, კოველიძე, პერეუშინი, სპირიდონოვი, იმედაძე, დანდუროვი, ამოსოვი, პევცოვი, მშველიძე, აკიმოვი, მგელაძე (საგზაო კომიტეტი), სირაძე, შავერდოვი, (ა.-კ. რკ. გზ. ჯანმრთ. განყ.), კვანტალიანი, ხუბოვი, ქუვალეოვა, გუდავაძე, გიორგაძე, ტატულოვი, ჩხენკელი, თოფურიძე, სანაძე, დოლიძე (32 შრ. სკოლა), ბოგდანოვი (46 შრ. სკოლა), ძიძიგური (4 შრ. სკოლა), გოგუა (4 შრ. სკოლა), აბრამოვი (რკინის გზის 5 სკოლა), იობიძე (რკინის გზის მუშფაკი), ბახტაძე (რკინის გზის მუშფაკი), კულიჯანოვი, ვაჭარაძე (საგზაო კომიტეტი), რონზანი, საყვარელიძე, ჯარგალაჯევა.

ქალაქის რაიკომიდან: ნ. მხითაროვი, (6 სტამბა), ნიკოლოზ ნიკიტინი (6 სტ.), პიტკარსკი (6 სტ.), კომარევსკი (6 სტ), რახმანი (როზა ლუქსემბურგის სახ. თამბ. ქარხან.), მირზაბეკიანი, ქყონია (5 სტ.), მთვარელიძე (ქართ. მუშფაკი), პოვარენკო (ც. პ. სკოლა), პოლოსოვი (ც. პ. სკ.), პიასეცკი (რუსული მუშფაკი), ცსატკინი (რუსული მუშფაკი), სამხალო (სახ. პოლიტ. ინსტ.); ალ. მიქელაძე (სახ. პოლიტ. სამმ.), გრიგოლ შელია (სახ. პოლიტ. სამ.), აგრბა (სახ. პოლიტ. სამ.), მარო ლომინაძე (განათ. კომისარიატი), დომენტი ცხაკაია (გან. კ.-ტი), შურა დუდუჩავა (სამხ. აკადემია), ვ. ბერაძე (შინ. საქ. სახ. კომისარიატი), მელნიკოვი (ა.-კ. ცაკი), ზებედა ტრაპაიძე (საქ. ფინსახ. კ.), გ. მგალობლიშვილი (საქ. ფინსახკ.), გრ. კარახანიანი (ა.-კ. ფინს.), კონსტ. დავითოვი (აკ. ფინს.), მიხ. აგამალოვი (აკ. ფინსახ.), ლ. ლობჯანიძე (ფინსახ.), ალ. კაჭარავა (ფინსახ.), ვალიკო ტალახაძე (ფინსახ.), კირ. ბესელია (ფინსახ.), კაპიტონ მელიქიძე, ნოე ლეჟავა (ა.-კ. მუშგლეხინი), ხუმარიანი (ა.-კ. მუშგლეხინი), [illegible] მესხი (აღმასკომი), პოლიკარპე ტყაბლაძე (აღმასკომი), სტიოპა აკოპოვი (აღმასკომი), კარკლინი (გარეშე საქმეთა სახ. კომისარ. რწ.), პროკოფი მეგრელიშვილი (საქ. სახკომსაბჭო), ვლადიმერ ცაგარელი (კოლექ. მეურნ. ცენ. სამმ.), სტიოპა სტეპანოვი (საქ. სახკომსაბჭო), ნიკოლოზ ნასიძე (საქ. სას.-სამ. ბანკი), ივანე რახნინი (ა.-კ. სას.-სამ. ბანკი), კურასბედიანი (ქალაქის ბანკი), ალაკუმოვი („მუზპრედ“), გრეკოვი (გზათა სახ. კომ. რწმ. სამ.), გრიგორიანი (ა.-კ. ცენტრ. სტატ. სამ.), არამ-ოღლი (ა.კ. ცენტრ სტატ. სამ.), ეპიფანე გოგილაძე (მიწათმოქ. სახ. კომ.), სიმონ ჯუღელი (მიწადმოქ. სახ. კომ.), კონსტ. კანდელაკი („სახმედვაჭრობა“), ღენტორ რუხაძე, გ. მირიანაშვილი (წითელი ჯვარი), ვართან დოშოიანი (სომხ. მუშფაკი), ემანიანი (სომხ. მუშფაკი), არამ გიკი (სომხური მუშფაკი), პავლე დერმიჩევი, დავით ხარაძე (ა.-კ. პროფსაბჭო), ანგელ ჩუკი (რეზინოტრესტი), კორნ. ქაცარავა (სახ. განათლების განყოფ.), კარაპეტ ბერიძე (სახ. განათლების განყოფ.), ალ. იაშვილი (ა.-კ. შრომის სახ. კომ.), ნაკათოევი (ა.-კ. შრომის სახ. კომ.), მ. იაგნეტინსკი, ნიკოლოზ ტინტიკოვი (საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი), კრაუკლიჩი, ბირბკოვი (ტელსი), უფეტელი (ა.-კ. პროფსაბჭო), პოდოლსკი (ა.-კ. პროფსაბჭო), შტიკოვი, ბელიაევი, სიხარულიძე („მუშა“-ს რედაქცია) ანდღულაძე (მე-5 სტამბა), დ. კანდელაკი (განათ. სახ. კომ.), მალ. ტოროშელიძე (სახ. უნივერსიტეტი), მურზა გუსეინოვი (ა.-კ. ფინსახკომი), შ. პაპიკაშვილი (იუსტ. კ.-ტი), აბთიძე (პროფსაბჭო), ფესიუკი (სახელ. ბანკი), ხუციევი (პოლიტგანის სტამბა), ჩხარტიშვილი (პოლიტ. განათ. მთავარი სამმართველო), როტნიკოვი (კოლოფის ფაბრიკა), სერაპიონ ლომიძე (საქ. სახ. დაზღ.), ვანო ჯაფარიძე, ბაირის ბელოზეროვი (ც. კ.), თამარა ადამიძე, რამიშვილი, ხრისტოლიუბოვი (განათლების განყ.), ერისთავი (მუშკოოპი) ხვედელიძე (მუშკოოპი), დუდაევი მუშკოოპი), კუხარავა (ფოსტა), აშოტ საკიანი (საქ. ვაჭ. სახ. კომის.), გურსკაია, რავიჩი, სეფი (ა.-კ. კომუნ. უნივ.), ლუჩინსკაია („ზარია ვოსტოკა“), ბეკრეევი („ზაკსოუზი“), მამაცაშვილი (ლუდის ქარხანა), ელენტი (ა.-კ. მებამბეობის კომიტეტი), ბიბინეიშვილი (სახელგამი), მთვარელიძე (ბინათ კავშირი), მატონი (ბინათკავშირი), სტეპანოვი (ა.კ. სახ. დაზღ.), ასრიევი (აღმასკომი), ელიაშიანი, ჩეოჟეშვილი (ც. კ.). კონდ. გობეჯიშვილი (ა.-კ. სოფლქ. კომიტეტი), იანოვი (ა.-კ. სოფლქო კომ.), გოლდბაუმი (ა.-კ. მუშგლეხინი), მიხ. კოგანი (ა.-კ. კომ. უნივ.), ხაჭაპურიძე (ა.-კ. კომ. უნივერს.), ვასილიევა (ა.-კ. სოფლქო კომ), სადოვნიკოვი, სილ. თოდრია (საქ. შრომის სახ. კომ.), გ. ელიაიაედაშვილი, ნ. კიკნაძე („კომუნისტი“-ს რედ.), ბიუსკინი („ბოეცი“), კვანტალიანი (ფოსტა-ტელ. სახ. კომ.), მინასიანი (სახ. პოლიტ. სამ. მე-8 პოლკი), ვ. მდივნიშვილი, ბ. მირიმანოვი (ც. კ.), ჯაფარიძე, მამულოვი (ც. კ.) ნ. კალატოზოვი, ანა აგანიანი (ც. კ.), ი. [illegible]ტაძე (იუსტ. კომ.-ტი).

„26“-ის სახელობის რაიონიდან: — ყურულაშვილი, შახსუვაროვი, სკანდაროვი, ხანდაკაროვი, ატრიანი, გასიან საბრო, ხალილოვი, ბაბაჯანოვი, ომაროვი, ადამიანი, პოლოსიანი, საკიანი, ნუცუბიძე, სოსიანი, ლომთათიძე, ყაზახიშვილი, ბედია, დელიბაშვილი, ლიოზნანსკაია, ბეჟანოვი, ნ. საკოვი, შირვანსკი, ტ. ანდრიასიანი, ოსიპოვი, ტერუნოვი, ს. შავერდოვა, მაქსიმოვი, სურხატიანი, ისრაელოვი, მელიქი, შტრიკოვი, პერჩიანი, ჰელიძე, იუზბაშევი, მაკალსკი, ხვედელიძე, ნარიმანოვი, შაბდინაროვი, შაველოდოვი, არუტინოვი, არტ. მინასიანი, პისეცკი, იანკოტრიპენვი, ალაჯავა, მანუციანი, ვ. პოლოსიანი, სტ. ვარდანიანი, შოგირაძე, იაკუბოვი, ბაგიროვი, მალამიანი, აზარაშვილი, ხარიკიანი, აკოპოვი (საბჭ. სავაჭრ. დაწ. მუშ. კავშირი), ცეცხლაძე, მანუკიანი, ნაჯაფოვი.

თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი
იაკოვლევი.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი მიმღებ კომისიის სხდომაზე (რაიკომის შენობაში, სოლოლაკის ქ. № 7), დღეს, 3 ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე იწვევს შემდეგ ამხანაგებს: მიხეილ ამირანიშვილი; არამ მანუკოვი; შალვა ესებუა; ესტატე შაუტაშვილი, ასო ამადოვი, არუთინ მკრტჩიანი, ცოვინ აკოპოვა, კარაპეტ ოვანესოვა; სარქის ავეტისიანი; კატიბა საიადოვი; ივანე მურანოვი, პეტრე ბა[illegible]; [illegible]კოვი; თედორე კომისარენკო; პეტრე შერემინი; ალექსანდრე [illegible]; ვალენტინ ბარსკოვი; ივანე ნედუმოვი; ივანე ლაზარევი, ივანე ემელიანოვი, ილია ფანცხავა, სერგო ქუთათელაძე; ბიქტორ კაჭარავა, ნინო ღარიბაშვილი; ფილიპე ნაროუშვილი, ალექსანდრე კარპოვი, არტაშ ოსიპოვი, სერგო ზოგორიენკო; არტაშეს მარქაროვი; კონსტანტინე ჩურგულია, პეტრე ზუმბაძე; გეორგი საკოვი; სერგო ნიკორო; სევერიანე ჭკუასელი; ივანე თავშავაძე, ბახვა ფრიალკოვსკი, ალექსი სუმბაევი, ედუარდ დუმლერი, ბიქტორ კრილოვი, კაჩერმინი, ოგანეს აროთანოვი; სერგო ასრიბეკოვი.

—:—

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე ა. კ. კომუნისტ. უნივერსიტეტში შესდგება იმ პარტუჯრედების მდივნების თათბირი, რომელზედაც მიმაგრებული არიან ა.-კ. კომ. უნივერსიტეტის სტუდენტები. დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კომპარტიის ცეკას და თბ. კომიტეტის აგიტპროპ. მუშაობის ცენტრ. კაბინეთი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რომელთაც დაასრულეს პროპაგანდისტთა კურსები, დააბრუნონ წაღებული წიგნები: აბაშიძე (მე-30 შრ. სკოლა), აბაშიძე (მთ. საქალოსნ.), ათაბეგოვი (მთ. სახ.), ბაგრატ ბაღდასაროვი („ზაკპოგრუზ“), დავიდოვი, ისხანიანი, კაზაროვი (კალინინის სახ. ქარხანა), კოლესნიკოვი, მელიქაძე, მარჩუკი (მთ. სახელოსნ.), მაისურაძე, ოგანოვი, ონიკაშვილი, პეტროსიანი, სართანიანი, ტიგრანიანი (მთავარ სახ.), ტოტაძე, პეტრე ფომინი (სასტ. „ორიანტი“), ხორბოლაძე, შოთა ჩხაიძე (მთ. სახ.), შვეცოვი, იურჩენკო.

—:—

მიმღებ კომისიის წევრები: ბერუაშვილი, კზიროვი, პატარაია; დავიდოვი, ფომინი, კარახანიანი, კვიტაშვილი; სტეფანოვი; ბაიანდუროვი და ჯმუხაძე.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 3 ოქტომბერს დღის 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს სამკურნალო, პედაგოგიურ და აგრონომიულ ფაკულტეტების უჯრედების პარტ-კანდიდატებს გამოცხადდნენ დღეს, საღამოს 4 საათზე ბიურო კოლექტივში დაუგვიანებლივ, თან უნდა იქონიონ ყველა პარტიულ საბუთები. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ აღნიშნულ უჯრედების მდივნები.

—:—

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომში, მიმღებ კომისიაში. ფანცხავა ილია, ქუთათელაძე სერგო, კაჭარავა ბიქტორ, ღარიბაშვილი ნინა და ნაროუშვილი ფილიპე.

—:—

სახ. უნივერსიტეტის სამკ. ფაკ.-თან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დაიწყო კომკავშირის წევრ-კანდიდატების აღრიცხვა ა. წ. 1 ოქტომბრიდან. ამიტომ ყველა კომკავშირელი როგორც ძველი, ისე ახლები ვალდებულნი არიან გატარდნენ აღრიცხვაზე. ამხ. ირ. ლორთქიფანიძესთან. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს 12 საათიდან 2 საათამდე.

—

ოთხშაბათს 3 ოქტომბერს დღის ათ საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში უნდა გამოცხადდნენ თათბირზე შემდეგი პროლეტ. მწერლები: ბუხნიკაშვილი, მაშაშვილი, ქიქოძე; ზომლეთელი, ზარიძე; ნაროუშვილი, ფეოდოსიშვილი, ბობოხიძე; ბუხნიკაშვილი ა., კარსანიძე; ქაჯაია ვ., ქაჯაია პ.

—:—

ოთხშაბათს 3 ოქტომბერს საღამოს ექვს საათზე ც. კ. აგიტპროპბეჭდ. განყ. შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: კანდელაკი, თოხაძე, მიქაძე, დუდუჩავა, იმედაძე, მხითაროვი; მეგრელიძე; ბუჯიაშვილი, ბედია, დიასამიძე, პოლოსოვი, დადიანი, ხოფერია, ხუციევი, ბაირამოვი და პოლუმორდვინოვი.

—:—

თბ. სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტთან არსებული ა. ლ კ. კავშირის უჯრედის ბიურო იუწყება, რომ დღეს, 3 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 საათზე შესდგება ბიუროს სხდომა სახ. უნ. შენობაში.

—:—

თბილისის სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. ბიურო იუწყება, რომ ორი ოქტომბრიდან სწარმოებს უჯრედის ყველა წევრ კანდიდატთა აღრიცხვა; ამიტომ ვალდებულია ყველა უჯრედის წევრ-კანდიდატები გამოცხადდნენ აღრიცხვაზე გასატარებლათ ამხ. გორდაძესთან. აღრიცხვა იწარმოებს 15 ოქტომბრამდე.

სახკინმრეწველობის კინოები

განთიადი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი **სპარტაკი**
არფასტო	მხატვრული საუკეთესო სურათი „მეჟრაბპომ-რუს“-სა **ადამიანი იშვა** დადგმა რეჟ. ჟელიაბუჟსკის მთავარ როლებში: მოსკვინი, მასალიტინოვა, ტიხომიროვა
სოლეი	
პალასი	
მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში **ნამდვილი მამაკაცი**
აპოლო	მედი ხრისტიანსი მხატვრულ სურათში **ლურჯი სისხლი**
დარბაზი	მსოფლიო საუკეთესო სურათი მარჩელა ალბანის მონაწ. **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
პროლეტარი ავლაბარი	ცნობილი ტრიუკისტი-სპორტსმენი რიჩარდ ტელმეჯი სურათში **მე დეტექტივი ვარ**

ანონსი: მალე კაზაკები ლ. ნ. ტოლსტოის მოთხ. მიხედ. 0—23

„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორისათვის
საჭიროა გაზეთის
გამავრცელებელი აგენტები
მსურველებმა დაწერილებითი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას, რუსთაველის პროსპ. № 34, დილის 9 ს.—4 საათამდე.
4—2

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ცეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 1655

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 6 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2 მველების ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. მირიანაშვილის მოძრავ ქონებას: ვენურ სკამებს, მაგიდებს, სპილენძეულობას, ღვინოს, ღვინის კასრებს და მრავალ სხვა ნივთებს შეფასებულს 1510 მანეთად, სურსათ-გემოვნების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 29 სექტემბერს 1928 წ. თარიღით, № 5384 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 4384

ქ. თბილ. მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ა. გიორგაძე

ამით აცხადებს, რომ ის 4 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 70 კლარა ცეტკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. იაკობ ცეკვაშვილის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაფს, კამოდს, ტუალეტის სარკეს, ხალიჩას, რბილ ავეჯს და სხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 216 მანეთად, მოქ. ვალერიან გიორგობიანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის სანოტარო კანტორისაგან 7 სექტემბერს 1928 წ. თარიღით, № 113 გაცემულ აღსრულებითი წარწერისა. 4376

ს. ს. ს. რ.
სახელმწიფო გამომცემლობა
„სახელგამი“

დამზადებულია და საქართველოს სახელგამის მაღაზიებში იყიდება სახელმძღვანელოები და სასწავლო ხელსაწყოები (რვეულები, კალმისტარები, კალმები და სხვ.) წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებისათვის. სამაზრო აღმასკომებმა, პროფორგანოებმა ცეკებმა და საზოგადოებამ—„ძირს წერა-კითხვის უცოდინარობა“ დროზე უნდა მიმართონ განცხადებებით საქართველოს სახელგამს: რუსთაველის პროსპექტი, № 22, ტელ. №№ 3—22, 11—07.

სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის:
1) „ნაპერწკალი“—ტყეშელაშვილი (წ.-კ. უცოდინართათვის).
2) „შრომა“—თორაძე და ჩიქობავა (მცირე მცოდნეთათვის).
3) „მათემატიკის სამუშაო წიგნი“—ჩარექიშვილი (მცირე მცოდნეთ.)

სომხური სკოლებისათვის:
1) „აშხატანკ“—ისრაელიანცი.

თურქული სკოლებისათვის:
1) „სავად-ბუკვარ“ (წ.-კ. უცოდინართათვის).
2) „შინგა-დორგუ“ (მცირე მცოდნეთათვის).

საქართველოს სახელგამის გამგეობის თავმჯდომარე ბიბინეიშვილი.
საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის პოლიტგანათლების მთავარი სამმართველოს გამგის მოადგილე ჩხარტიშვილი.
ნ. 1654

2 დღე
ნ. 1656

განათლების სახალხო კომისარიატი
გაიხსნა ქართული ენის და საქმის წარმოების
პრაქტიკული კურსები
კურსებზე ასწავლიან საქმისწარმოებას შრომისა და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების თანახმად (მდივნობას, ოქმობრივ საქმისწარმოებას, საქმიანი ქაღალდების შედგენას და სხვ...)
ცნობების მიღება კურსებზე შესვლის შესახებ შეიძლება ყოველდღე საღამოობით 6—8 საათამდე.
რუსთაველის პროსპექტი № 33.
43[illegible]1 კურსების გამგე: კოლეგია.

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე, ერთ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 3—1 4378

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი —11—78. 25—1.

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ბუტბუტებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი
თოდაძე
დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). ცისტოსკოპია, დიატერმია. თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ექიმა
ს. ი. ვოლოხმა
განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის —8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმა
ი. ვ. ხანდამოვა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით და ვადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან. (25—1)

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—19

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12-ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი ივ. გველესიანი
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელსმ. 6—22 4364 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა. ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ექიმი
ანასტასია ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) კამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიას ქ-ჩა), 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

დაკარგვა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 8777 ივანე რომანის-ძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 4377

დაკარგვა: საწევრო წიგნაკი № 26599 მოცემული მუშკოოპის მიერ სამსონ ივანეს-ძე სვანის სახელზე, ჩ. გ. 4375

დაკარგვა: პირადობის მოწმობა არტემ სულხანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4380

დაკარგვა: პროფ. წიგნაკი № 23061 ნიკოლოზ სპირიდონის-ძე ფუტკარაძეს, სახელზე, ჩ. გ. 4379

დაკარგვა ქვით. № 50 გაცემული ივნის 1928 წ. ქალაქ. კომუნალურ 9 ბანკის მიერ ჩ. გ. 4386

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 3—11 და სასურსათო ბილეთი № 2747 გრიგოლი მაქსიმეს ძე ვაშაკიძის სახელზე, ჩ. გ 4389

დაკარგვა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 42, მოცემული ხოქალაქევის სამხედრო მაგიდის მიერ ერასტო არზიანის სახელზე, ჩ. გ. 4382

დაკარგვა: სამხ. აღრიც. ბარ. გაცემული აკაკი ბლიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4383

დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 0856501, რკ. გზ. კავშ. წიგნაკი № 24505, რკ. გზ. პირადობის მოწმობა № 2, პერონის პროპუსკი რკ. გზ. № 1284, ბიულეტენი რკ. გზ. საავადმყოფ., რევოლვერი „ნაგანი“ რეგისტრაციაში გატარებული № 12487 და რევოლვერის ნებართვა № 455 ივანე ათინაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4388

დაკარგვა: ცხენის ნაყიდობის მოწმობა, მიღებული საჭამიასერის აღმასკომიდან, და ხე-ტყის საჭრელი ბარათი № 178, მიღებული ჩოხატაურის სატყეო რაიონის გამგისაგან ბესარიონ ივანეს ძე სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. 4384

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.